ISSN 0206-2828 7-9 2015

# ECONOMICS

# ეკონომიკა



1918

მეცნიერება, პრაქტიკა, გამოცდილება

# ეკონომიკა


**ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი**

„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный рецензируемый и реферируемый научный журнал

“ECONOMICS ” - Monthly International reviewed and refereed scientific journal

**№ 7-9, 2015**

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან

Journal published since 1918



რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე ე. ბარათაშვილი; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; ზ. ვაშაკიძე; მ. კაკულია; დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ი. მესხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (უკრაინა); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (**რუსეთი**); დ. ქავთარაძე (**რუსეთი**); რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ღავთაძე; გ. ყუფუნია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; ლ. ჩიქავა; მ. ჯიბუტი, რ. ჯაბნიძე.

**ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)**

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бараташвили Е., Вашакидзе З., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джабнидзе, Т., Кавтарадзе Д. (Россия), Какулия М., Карбон Д. (**Италия**), Когуашвили П., Купуния Г., Курараташвили А,. Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Месхия Я., Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (**США**) Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О., Схиртладзе А., (**Украина**); Самадашвили У., Федорова Т. (**Россия**), Чикава Л., Читанава Н., Шубладзе Г., Шенгелия Т., Циклаури Ж.

**REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)**

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; E. BARATASHVILI; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; Z. VASHAKIDZE; M. KAKULIA; D. KARBON (**ITALY**); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; I. MESKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (**USA**); U. SAMADASHVILI; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (**UKRAINE**); A. SKHIRTLADZE; T. FEDOROVA (**RUSSIA**); D. QAVTARADZE (**RUSSIA**); R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; L. CHIKAVA; M. JIBUTI; R. JABNIDZE.



**თბილისი** - 2015

# შინაარსი

## ეკონომიკური რეფორმა:
## ანალიზი, პრობლემები, პერსპექტივები

**გურანდა თორდია -** ტურიზმის განვითარება -
სიღარიბის დაძლევის ფაქტორი-----------------------------------6

## ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

**მედეა ქავთარაძე, ნათია ბეჟანიძე -** პირდაპირი უცხოური
ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე ----- 17
**რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია -** მეცნიერულ-
ტექნიკური ცოდნის დაბალი დონე-ეკონომიკური ზრდის უმთავრესი
შემაფერხებელი ფაქტორი კრეატიული ეკონომიკის პირობებში --- 31
**ეთერ თაკალანძე -** სოციალურ-ეკონომიკური თეორიის პრობლე-
მებზე მრავალწლიანი კვლევითი მუშაობის შედეგების შესახებ -- 44
**იულია თედეევი -** კორპორაციები და მათი
ადგილი თანამედროვე ეკონომიკაში --------------------------------- 62
**რუსუდან პაპასკირი -** საქართველოს ეკონომიკა
ინოვაციებსა და ტექნოლოგიებში გარღვევას მოითხოვს ----------- 72

## ფინანსები, ბანკები, ბირჟები

**ლაშა (ზურაბ) მურჯიკნელი -** საჯარო საფინანსო და სამეურნეო
საქმიანობაში რისკების აუცილებლობა და მნიშვნელობა ----------- 80
**რუსუდან პაპასკირი, ბაქარ ბერუაშვილი -** ეკონომიკის
ზრდას საინვესტიციო რესურსების მობილიზება სჭირდება -------- 92

## დარგობრივი ეკონომიკა

**რამაზ გახოკიძე, პაატა კოლუაშვილი -** საქართველო –
მეტალურგიის და ოქროს წარმოების სამშობლო ------------------ 102
**ჟუჟუნა წიკლაური - შენგელია, ნათია შენგელია,
რევაზ შენგელია, -** აუდიტისა და აუდიტორული დასკვნის
მნიშვნელობა და როლი ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღებაში --- 120

## ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

**Жанна  Толордава, Вахтанг Антия, Реваз Шенгелия, Жужуна Циклаури-Шенгелия -** Консалтинг в сфере информационных технологий ------------------------------------------ 128
**ვაჟა ზეიკიძე -** კორპორაციული მართვის სრულყოფა ჯანდაცვის სისტემაში---------------------------------- 138
**თამარ ვანიშვილი -** პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება ორგანიზაციულ კულტურასა და მენეჯმენტში-------------------------------------------------------- 145
**იულია თედეევი -** კორპორაციული კონფლიქტების კლასიფიკაცია და მათი გადაჭრის გზები ---------------------------- 157

## მსოფლიო ეკონომიკა

**ნესტან ჯაჭვლიანი, ნანა ლობჟანიძე, სალომე ლომსაძე, ამზა ჩარგაზია -** ეკონომიკური გლობალიზაციის გავლენა სამოქალაქო დაპირისპირებებზე------------------------ 167
**გუგა ბერძენიშვილი -** BREXIT- ბრიტანეთის შესაძლო გამოსვლა ევროკავშირიდან: ეკონომიკის გაძლიერება თუ მისი სტაგნაცია -- 181
**ნინო ფუტკარაძე -** გლობალიზაცია და ენობრივი პროცესები ---- 190

## ხსოვნა

**გახსენება – ღვაწლმოსილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ლეო ჩიქავას ხსოვნა** -------------------- 196

# CONTENT

**ECONOMIC REFORMS: ANALYZE, PROBLEMS AND PERSPECTIVES**

**Guranda Tordia -** DEVELOPMENT OF TOURISM - AS A FACTOR OF POVERTY REDUCTION---------------------------------- 6

**MODERN PROBLEMS OF ECONOMICS**

**Medea Kavtaradze**, **Natia Bejanidze -** THE IMPACT OF FOREIGN DIRECT INVESTMENTS ON THE ECONOMIC GROWTH OF GEORGIA --------------------------- 17

**Revaz Shengelia, Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia -** THE LOW LEVEL OF SCIENTIFIC-TECHNICAL KNOWLEDGE - THE MAIN ECONOMIC GROWTH HINDERING FACTOR IN THE CONDITIONS OF CREATIVE ECONOMY ----------------------- 31

**Eter Takalandze -** ABOUT THE SCIENTIFIC RESEARCH FINDINGS OF MANY YEARS WORK ON SOCIO-ECONOMIC THEORY PROBLEMS... ------------------------------------------------------ 44

**Iulia Tedeevi -** CORPORATIONS AND THEIR PLACE IN MODERN ECONOMY----------------------------------- 62

**Rusudan Papaskiri -** GEORGIAN ECONOMY REQUIRES BREACH IN INNOVATIONS AND TECHNOLOGIES----- 72

**FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS**

**Lasha (pat. Zurab) Murjikneli** - THE NECESSITY AND IMPORTANCE OF RISKS IN PUBLIC ECONOMIC AND FINANCIAL ACTIVITY------------------------------------------------- 80

**Rusudan Papaskiri, Bakar Beruashvili** - ECONOMIC GROWTH NEEDS MOBILIZATION OF INVESTMENT RESOURCES- 92

**SECTORAL _ECONOMY**

**RAMAZ GAKHOKIDZE, PAATA KOGHUASHVILI -** GEORGIA - HOMELAND OF METALLURGY AND GOLD PRODUCTION ------- 102

**Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia, Natia Shengelia, Revaz Shengelia -** THE IMPORTANCE AND ROLE OF AUDIT AND AUDIT REPORT IN BUSINESS DECISION-MAKING ----------- 120

## BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

**Zhanna Tolordava,Vakhtang Antia, Revaz Shengelia, Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia -** CONSULTING IN INFORMATION TECHNOLOGY ---------------------------------------- 128

**Vazha Zeikidze -** IMPROVEMENT OF CORPORATE GOVERNANCE IN THE HEALTH SYSTEM ------------------------------- 138

**Tamar Vanishvili -** TAKING INTO ACCOUNT OF THE PERSON'S SOCIAL- PSYCHOLOGICAL FACTORS IN ORGANIZATIONAL CULTURE AND MANAGEMENT ------------ 145

**Iulia Tedeevi -** CLASSIFICATION OF CORPORATIVE CONFLICTS AND THE WAYS OF THEIR SOLUTION------------------ 157

## WORLD ECONOMY

**Nestan Jachvliani, Nana Lobjanidze, Salome Lomsadze, Amza Chargazia -** THE INFLUENCE OF ECONOMIC GLOBALIZATION ON CIVIL CONFLICTS-------------------------------- 167

**Guga Berdzenishvili -** BREXIT- GREAT BRITAIN'S POSSIBLE EXIT FROM EU: ECONOMIC STRENGTHENING OR ITS STAGNATION?... --------------------------- 181

**Nino Putkaradze -** GLOBALIZATION AND LANGUAGE PROCESSES ------------------------------------------------190

## MEMORIES

**To the Memories of the Respected Scientist and Public Figure Leo Chiqava** -------------------------------------------- 196

# ტურიზმის განვითარება-სიღარიბის დაძლევის ფაქტორი

**გურანდა თორდია**
საქართველოს დავით აღმაშენებლის
სახელობის უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის
სკოლის დოქტორანტი

## რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში განხილულია ტურიზმის განვითარება, როგორც სიღარიბის დაძლევის ფაქტორი. ნაჩვენებია ტურისტული ინდუსტრიის როლი სიღარიბის, როგორც სოციალური პრობლემის გადაწყვეტაში. განსაკუთრებით იზრდება ტურიზმის მნიშვნელობა განვითარებად ქვეყნებში. თანამედროვე მსოფლიოს გამოცდილება ადასტურებს, რომ ტურიზმის, როგორც დარგის განვითარება, ყოველმხრივ ხელს უწყობს სიღარიბის დაძლევას. ეს ხდება ეკონომიკის დივერსიფიკაციით, მომიჯნავე დარგების განვითარების ხელშეწყობით, დასაქმების ფართო შესაძლებლობების გამოყენებით, ისეთი რესურსების ამოქმედებით, როგორებიცაა კლიმატური პირობები, კულტურული მემკვიდრეობა, ბიომრავალფეროვნება და სხვ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარება ჩვენს ქვეყანაში, სადაც მწვავედ დგას უმუშევრობის პრობლემა. სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებული ტურიზმის განვითარება უნდა მოხდეს მიზნობრივი პროგრამებით, რომელთა შემუშავებაშიც აქტიურად უნდა ჩაერთოს ღარიბი მოსახლეობა. ტურიზმის მეშვეობით სიღარიბის შემცირების 10 პრინციპი ნებისმიერმა მთავრობამ უნდა გამოიყენოს ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებათა გათვალისწინებით. ტურიზმის განვითარების სტრატეგია არ შეიძლება სხვა დარგებისაგან

იზოლირებულად განხორციელდეს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებას.

**საკვანძო სიტყვები:** ტურიზმი, ტურიზმის განვითარება, სიღარიბის შემცირება, დასაქმება, მეთოდოლოგია, მიზნობრივი პროგრამა, დივერსიფიკაცია, პოლიტიკა.

## შესავალი

სიღარიბე, როგორც მრავალმხივი(პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, მორალური, ფსიქოლოგიური და სხვა) მოვლენა არსებობდა და არსებობს ყველა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფარგლებში და მას სამართლიანად უწოდებენ კაცობრიობის მარადიულ პრობლემას (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონსტიტუციის მიხედვით, სიღარიბე ნებისმიერ ადგილას წარმოადგენს საფრთხეს საყოველთაო კეთილდღეობისათვის) [1,გვ.2].

აღსანიშნავია, რომ დღეს საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევამ ამ პრობლემის გადასაჭრელად გარკვეული შედეგები გამოიღო. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 1981 წ. განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის 52%-ის შემოსავალი დღეში 1,25 აშშ დოლარზე ნაკლები იყო, 1990 წლის ანალოგიურმა მაჩვენებელმა 43 % შეადგინა. 2011 წლის მონაცემებით კი, ის17%-ს გაუტოლდა, [2]რაც 1 მილიარდ ადამიანს აღემატებოდა. ამ პროცესში მნიშვნელოვანია ტურისტული ინდუსტრიის როლი.

## ძირითადი ნაწილი

მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სიღარიბის დაძლევას ხელს შეუწყობს ისეთი ეკონომიკური და ორგანიზაციული ფაქტორის კომპლექსურად გამოყენება, როგორიცაა ქვეყანაში ტურიზმის განვითარება. როგორც 2011 წ. გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა

განაცხადა, ღრმა ეკონომიკური გაურკვევლობის პირობებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურიზმის პოტენციალის გამოყენება, რათა მოხდეს სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობების გენერირება და შემცირდეს განსხვავება მდიდრებსა და ღარიბებს შორის.

თანამედროვე პირობებში ტურიზმი, მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი უდიდესი სექტორი, წარმოადგენს უცხოური ვალუტის შემოდინების მთავარ წყაროს განვითარებადი ქვეყნების მესამედისათვის და ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ნახევრისათვის (სადაც ტურიზმზე მოდის მშპ-ს 40%-მდე და ექსპორტის 8%-მდე). [3]მცირე კუნძული-სახელმწიფოების შემთხვევაში მასზე მშპ-ს 25 % მოდის. [4] მსოფლიოს ყველაზე ღარიბი 50-ზე მეტი ქვეყნისათვის ტურიზმი წარმოადგენს მნიშვნელობით პირველ, მეორე ან მესამე ეკონომიკურ სექტორს. მეტიც, ტურიზმი არის მომსახურების ერთადერთი ინდუსტრია, რომელიც აჩვენებს დადებით სავაჭრო ბალანსს განვითარებულ ქვეყნებთან მიმართებაში. [5]

ნიშანდობლივია, რომ საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობა ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში (ძირითადად აფრიკისა და აზიის რეგიონებში) იზრდებოდა საშუალოდ 11 %-ით წელიწადში 1990-2009 წლებში. [6,გვ.6]

2014წელს, ტურიზმზე მოდიოდა მსოფლიო ექსპორტის დაახლოებით 6%, მომსახურებით მსოფლიო ვაჭრობის 30 %, კერძო მომსახურების 11%, მსოფლიო ინვესტიციების 4,3 %, რაც 814,4 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. პროგნოზების თანახმად, ინვესტიციები ტურიზმის სფეროში გაიზრდება ყოველწლიურად 4,6%-ით მომდევნო 10 წლის განმავლობაში და 2025 წ. 1,336 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდება. [7] 2014 წ. შემოსავლებმა საერთაშორისო ტურიზმში (3,7%-იანი ზრდის შედეგად), შეადგინა 1,245 მილიარდი აშშ დოლარი.

აღსანიშნავია, რომ ტურიზმის პირდაპირმა კონტრიბუციამ **მსოფლიო მთლიან შიდა პროდუქტში 2014წ.** 3,5% შეადგინა, ხოლო მთლიანმა კონტრიბუციამ 7,581 მლრდ აშშ დოლარი, ანუ მსოფლიო მშპ-ს 9,8%. არასტაბილური მაკროეკონომიკური

გარემოს მიუხედავად, მოსალოდნელია ტურიზმის ინდუსტრიის ზრდის გაგრძელება საშუალოდ 4%-იანი ტემპით (უახლოეს მომავალში მთლიანი შიდა პროდუქტის 10%-ს, ანუ დაახლოებით 10 ტრილიონ დოლარს გაუტოლდება).

თანამედროვე მსოფლიოს ტურისტულ ინდუსტრიაში 255 მილიონზე მეტი **ადამიანი მუშაობს,** რაც მსოფლიო მასშტაბით დასაქმების 8.7%-ს შეადგენს. 2022 წლისათვის აღნიშნულ სექტორში მოსალოდნელია შექმნილი სამუშაო ადგილების 328 მილიონამდე ზრდა (რაც მთლიანი დასაქმების 10%-ს მიაღწევს.) [8]ნიშანდობლივია, რომ 2014 წლის მონაცემებით 11 სამუშაო ადგილიდან მსოფლიოში 1 ტურიზმის სექტორზე მოდის.2014 წელს ტურიზმისა და მოგზაურობის სფეროში შეიქმნა 2,1 მლნ სამუშაო ადგილით მეტი, ვიდრე წინა წელს. ხოლო მომიჯნავე სფეროების ჩათვლით - 6,1 მლნ ადგილი. შესაბამისად, მთლიანი კონტრიბუცია დასაქმებაში გაიზარდა 2,3%-ით და შეადგინა 9,4%. პროგნოზების თანახმად, ეს მაჩვენებელი გაიზრდება წელიწადში საშუალოდ 2,3%-ით და 2025 წლისათვის მსოფლიოში სამუშაო ადგილების 10,7 % უზრუნველჰყოფს. [9]

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ანალიზი ადასტურებს, რომ ტურიზმი სრულიად სამართლიანად აღიარებულია სიღარიბესთან ბრძოლის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად.აღნიშნული მიდგომა პირველად გაჟღერდა 2002 წ. სიღარიბის დაძლევის მსოფლიო ფორუმზე იოჰანესბურგში, ხოლო 2003 წელი გაეროს მიერ გამოცხადდა „ტურიზმის მეშვეობით სიღარიბის დაძლევისწლად.“ მეტიც, ათასწლეულის განვითარების პირველი მიზნის-2015 წლისათვის სიღარიბის ნაწილობრივი შემცირების მისაღწევად, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ შექმნა პროექტი ST-EP („მდგრადი ტურიზმი სიღარიბის შემცირებისათვის“). ეს პროექტი მოიცავდა ღონისძიებებს ადგილობრივ, რეგიონულ და სახელმწიფო დონეებზე. აღსანიშნავია, რომ ეს პროექტები ფართო სპექტრით იყო წარმოდგენილი: ადგილობრივ მოსახლეობას ასწავლიდნენ მეწარმეობას, სუვენირების დამზადებას, გასაღებას, მომსახურების აღმოჩენას. გარდა ამისა, განსაკუთრებით ღარიბ რაიონებში

ხსნიდნენ ბიბლიოთეკებს, რითაც ხელს უწყობენ ათასწლეულის განვითარების მეორე მიზნის მიღწევას-საყოველთაო განათლების გავრცელებას. ST-EP-ის მნიშვნელობა და წვლილი სიღარიბესთან ბრძოლაში იმდენად თვალსაჩინო გახდა, რომ 2013 წ. მას საერთაშორისო ორგანიზაციის სტატუსი მიენიჭა.

როგორ უწყობს ხელს ტურიზმი სიღარიბის დაძლევას?

ტურიზმი აძლევს საშუალებას ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს მოახდინონ ეკონომიკის დივერსიფიკაცია; ტურიზმს, ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით აქვს უფრო მეტი შესაძლებლობა ხელი შეუწყოს მომიჯნავე სფეროების განვითარებას, მაგ. კვების პროდუქტების წარმოების, სამშენებლო ბიზნესის და ა.შ. გარდა ამისა, ტურიზმმა შეიძლება ბიძგი მისცეს ახალი დარგების გაჩენას.

ტურიზმში არსებობს დასაქმების უფრო მეტი შესაძლებლობა ქალების, ახალგაზრდების, ეთნიკური უმცირესობებისა და დაბალი კვალიფიკაციის მქონე ადამიანებისათვის, ვიდრე ეკონომიკის ნებისმიერ სფეროში.

ტურიზმის განვითარება დაკავშირებულია ნაკლები ინვესტიციების განხორცილებასთან, ვიდრე სხვა დარგები. დარგის განვითარებისათვის საჭირო ინფასტრუქტურის გამოყენება ხდება არამარტო ტურისტების, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. ამასთანავე, ტურიზმის მეშვეობით შესაძლებელია ადგილობრივი ადათ-წესების, ცხოვრების სტილისა და ტრადიციული არქიტექტურის შენარჩუნება.

ტურიზმი „იყენებს" განვითარებადი ქვეყნების ისეთ რესურსებს, როგორებიცაა კლიმატი, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, ბიომრავალფეროვნება და ლამაზი პეიზაჟები. მაშინ, როდესაც ეს რესურსები ქმნიან კონკურენტულ უპირატესობას ტურიზმისათვის, ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებისათვის ხშირად შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენენ.

ამასთანავე, ტურიზმს, როგორც სიღარიბის დაძლევის მთავარ ინსტრუმენტს გააჩნია ნეგატიური ასპექტებიც:

**არაპროგნოზირებადობა და რყევები მოთხოვნაში**. როგორც ცნობილია, ტურიზმი ძალიან მგძრნობიარეა ეკონომიკური,

გარემოსდაცვითი, სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების მიმართ, რომლებიც გავლენას ახდენენ ტურისტის სურვილსა და შესაძლებლობებზე იმოგზაუროს. სოციალური დაცვისა და დაზღვეულობის არარსებობის შემთხვევაში სწორედ ღარიბი მოსახლეობა ზარალდება ყველაზე მეტად ტურისტული მოთხოვნის შემცირების შემთხვევაში.

**ტურიზმისათვის დამახასიათებელია სეზონურობა.** ამ პრობლემის დაძლევა მოითხოვს ტურიზმის ინტეგრაციას ეკონომიკური აქტივობის სხვა სახეებთან მოსახლეობისათვის საარსებო წყაროს უზრუნველყოფისათვის მთელი წლის განმავლობაში. (მაგალითად, MICE, ანუ საქმიანი ტურიზმის განვითარება).

**ტურიზმი გავლენას ახდენს სიცოცხლისათვის აუცილებელ რესურსებზე,** როგორებიცაა წყალი, ბიომრავალფეროვნება და ა.შ. კონკურენციის პირობებში, შეიძლება მოხდეს გარემოს დეგრადაცია და რესურსების არამდგრადი გამოყენება.

**ღარიბების ჩართულობის დაბალმა ხარისხმა** შეიძლება გამოიწვიოს ტურისტული შემოსავლების კონცენტრირება მოსახლეობის უფრო განათლებულ და მაღალი შემოსავლის მქონე ფენაში.

როგორია ტურიზმის, როგორც სიღარიბის დაძლევის ფაქტორის მექანიზმი, რომლის გამოყენებითაც ღარიბებმა შეიძლება სარგებელი მიიღონ ტურიზმისაგან?

დასაქმება ტურისტულ საწარმოებში;ღარიბების მიერ მომსახურებისა და საქონლის მიწოდება ტურისტულ საწარმოებში; მომსახურებისა და საქონლის პირდაპირი გაყიდვები ვიზიტორებზე; მცირე/მიკრო საზოგადოებების ფარგლებში ტურისტული საწარმოების შექმნა; ტურიზმისაგან მიღებული მოგების გადანაწილება ტურისტულ საწარმოებზე; ინვესტირება ინფრასტრუქტურაში.[10,გვ.25]

ჩვენი ქვეყნის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სიღარიბის პრობლემამ საქართველოში მწვავე ხასიათი შეიძინა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2014 წ. საქართველოს მოსახლეობის 77,9%-თვის დღიური შემოსავალი არ აღემატებოდა 5 დო-

ლარს, ხოლო 42,5%-თვის 2,5 დოლარს. ევროპა-ცენტრალური აზიის 21 ქვეყნიდან საქართველო უსწრებს მხოლოდ სომხეთს (79,7%), ყირგიზეთსა (79%) და ტაჯიკეთს (85,1%). ამასთანავე, საქართველოს მოსახლეობის 42,5% ხარჯავს დღეში 2,5 დოლარს, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია რეგიონში. აღსანიშნავია, რომ რეგიონის მასშტაბით საქართველო, ასევე ყველაზე მცირე დინამიკას აჩვენებს სიღარიბის შემცირების კუთხით ქვეყანაში. საქსტატის მონაცემებით, 2014 წ. სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობდა საქართველოს მოსახლეობის 11,6 %. აღსანიშნავია, რომ ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ბოლო 7 წლის განმავლობაში და 1,9%-ით მეტია წინა წელთან შედარებით. [11]

სიღარიბის დაძლევისათვის დასაქმების პრობლემის გადაჭრა გადამწყვეტია, რადგან უმუშევრობის დონე პირდაპირ პროპორციულ კავშირშია სიღარიბის დონესთან. საქსტატის მონაცემებით, 2014 წ. უმუშევრობის დონემ საქართველოში შეადგინა 12,4%, რაც 2,2%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. დასაქმებულთა 60,2 % თვითდასაქმებულია.

აღნიშნული პრობლემების სიმწვავე ქვეყანაში, ასევე ტურიზმის მრავალმხრივი პოტენციალი ამ კუთხით, აუცილებელს ხდის სწორედ სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებული ტურიზმის განვითარებას. სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებული ტურიზმი (Pro-Poor Tourism) არ არის ტურიზმის კონკრეტული სექტორი ან პროდუქტი, ის წარმოადგენს მიდგომას მოსახლეობის ღარიბი ფენების კეთილდღეობის გაზრდისათვის. რასაკვირველია, შესაბამისი პოლიტიკის განსაზღვრა და სტრატეგიის შემუშავება ქვეყნის მთავრობამ უნდა მოახდინოს. გასათვალისწინებელია, რომ ტურიზმის პოტენციალი სიღარიბის დაძლევის კუთხით დამოკიდებულია კონკრეტული ადგილის სპეციფიკაზე. აუცილებელია იმ სარგებლის ციფრებში გამოსახვა, რომელსაც მიიღებს კონკრეტული ადგილის ღარიბი მოსახლეობა; ექნება თუ არა ტურიზმის განვითარებას უარყოფითი შედეგები, როგორიცაა მაგალითად თევზაობისათვის განკუთვნილი სანაპიროების მიუწვდომლობა. „გადაფა-

რავს“ თუ არა ტურიზმისაგან მიღებული სარგებელი ზემოაღნიშნულ დანაკარგს და ა.შ.

ტურიზმს, სიღარიბესა და შემოსავალს შორის არსებული კორელაციის გამოსავლენად, ინდოეთის ტურისტულად განვითარებულ 18 შტატში ჩატარდა კვლევა. მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები: 18-დან 10 შტატში დაფიქსირდა სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის ზრდა 2001-2002-2003/2004 წლებს შორის [11]. ასეთი შედეგების მიზეზად ასახელებენ იმას, რომ სიღარიბის დონე უფრო მაღალია ინდურ სოფლებში, ხოლო ტურიზმი უფრო მეტად ვითარდება ქალაქებში. ამ მაგალითიდანაც კარგად იკვეთება სახელმწიფოს როლი სწორი ტურისტული პოლიტიკის განსაზღვრაში.

ქვეყნის მთავრობამ უნდა გააცნობიეროს ტურიზმის განვითარების შესაძლო შედეგები (პერსპექტივა). სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებული ტურიზმის განვითარების სტრატეგია უნდა განხორციელდეს შესაბამისი მიზნობრივი პროგრამებით. მათ შემუშავებაში აქტიურად უნდა ჩაერთოს ღარიბი მოსახლეობაც. ადგილობრივი საზოგადოებისათვის ეკონომიკური სარგებლის გაზრდის ყველაზე კარგი საშუალება არის კავშირის გაღრმავება(ინტეგრაცია) ტურიზმსა და ადგილობრივ ეკონომიკას შორის.

აღსანიშნავია, რომ საყოველთაოდ აღიარებულია ტურიზმის განვითარებით სიღარიბის შემცირების ათი პრინციპი[12]

1. ტურიზმის ყველა სახეობა და ასპექტი შეიძლება და უნდა იყოს მიმართული სიღარიბის შემცირებისაკენ;
2. ყველა მთავრობამ უნდა განიხილოს სიღარიბის შემცირება ტურიზმის ძირითად მიზნად და ასევე ტურიზმი განიხილოს სიღარიბის შემცირების შესაძლო ინსტრუმენტად;
3. ტურისტული ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობა და ეკონომიკური წარმატებულობა უმნიშვნელოვანესია სიღარიბის შემცირებისათვის: წინააღმდეგ შემთხვევაში ღარიბები ვერ მიიღებენ სარგებელს;
4. ტურისტული ბიზნესის წარმომადგენლებმა უნდა შეაფასონ თავიანთი ქმედებების შედეგები საზოგადოებაზე და ეძ-

ებონ ღარიბების სარგებლის გაზრდის გზები;

5. ტურისტული დანიშნულების ადგილების მართვისას მთავარი მიზანი უნდა იყოს სიღარიბის შემცირება: ეს მიზანი უნდა ხორციელდებოდეს სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების მეშვეობით;

6. უნდა იყოს გაცნობიერებული დანიშნულების ადგილებში ტურიზმის ფუნქციონირების ყველა ასპექტი; როგორ ნაწილდება მიღებული შემოსავალი და სარგებელი ტურიზმისაგან;

7. ტურიზმის განვითარების დაგეგმვა და განვითარება უნდა მოიცავდეს ინტერესთა ფართო სპექტრს, ადგილობრივი საზოგადოების აქტიური მონაწილეობის გათვალისწინებით;

8. უნდა იყოს გათვალისწინებული ტურიზმის განვითარების ყველა შესაძლო შედეგი ადგილობრივ საზოგადოებაზე, მათ შორის აწმყოსა და მომავალში, ადგილობრივ და გლობალურ დონეებზე შესაძლო გავლენა ბუნებრივ და კულტურულ რესურსებზე;

9. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ღარიბების მონაწილეობით არსებული პროექტების სიცოცხლისუნარიანობას; გარანტირებული იყოს ბაზარზე გასვლის შესაძლებლობები;

10. უნდა ხორციელდებოდეს სიღარიბეზე ტურიზმის გავლენის მუდმივი მონიტორინგი.

## დასკვნა

ამრიგად, მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ტურიზმი სიღარიბის დაძლევის მნიშვნელოვანი ფაქტორია. იმისათვის, რომ ტურიზმისაგან მიღებულ იქნას მეტი ეკონომიკური და სოციალური სარგებელი, საჭიროა ტურიზმის, როგორც დარგის კომპლექსური განვითარება ქვეყნის ბუნებრივ-საწარმოო და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებების გათვალისწინებით. სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს ტურიზმის განვითარების სტრატეგია (მიზნობრივი პროგრამა), რომელიც ეტაპობრივად განხორციელდება.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/@ed_dialogue/@sector/documents/publication/wcms_162268.pdf

2 .http://www.worldbank.org/en/topic/poverty/overview

3. http://www.unwtostep.org/

4.http://step.unwto.org/content/tourism-and-poverty-alleviation-1

5.http://businessperspectives.org/journals_free/ppm/2007/PPM_EN_2007_01_Muhanna1.pdf

6.http://unwto.org/sites/all/files/pdf/undp_discussion_paper_tourism_and_poverty_reduction_strategies_in_the_integrated_framework_for_least_developed_countries.pdf

7.World Travel and Tourism Council.Travel&Tourism Economic Impact 2015 World

8.World Travel&Tourism Council,Travel&Tourism Economic Impact2012

9.World Travel and Tourism Council. Economic Impact of Travel&Tourism, 2015 Annual Update Summary

10. „Sustainable Tourism and Poverty Elimination“ UNWTO ST-EP Foundation, 12 years of putting ideas into actions

11.http://geostat.ge/?action=page&p_id=187&lang=geo

12.http://ecgi.ssrn.com/delivery.php?

# DEVELOPMENT OF TOURISM-AS A FACTOR OF POVERTY REDUCTION

**GURANDA TORDIA , PHD student**
**David Aghmashenebeli University of Georgia,**
**School of Economics and Business**

## RESUME

Tourism development as a factor for poverty alleviation and the role of tourism industry as a social problem-solving tool is discussed in the following article. The importance of tourism is especially growing in the developing countries. The tourism sector development has in the past shown to contribute to poverty reduction through economic diversification, promoting the development of related fields, providing a wide range of employment opportunities by using the resources such as cultural heritage, climate conditions, biodiversity and so forth. The development of tourism is especially important for our country due to the severity of unemployment. The unemployed and poor population must be directly involved in these tourism-development programs. Ten principles for poverty reduction through tourism must be used by governments while taking into account the features of the national economy as tourism development strategy cannot be implemented in isolation from other economic sectors. Therefore, the most important factor for the country is socio-economic development policy implementation through unified methodological approach.

**Key words:** tourism, tourism development, poverty reduction, employment, methodology, target programs, diversification, politics.

# პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე

**მედეა ქავთარაძე**
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის
ასოცირებული პროფესორი

**ნათია ბეჟანიძე**
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

## რეზიუმე

კვლევის მიზანია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ანალიზი და მათი როლის განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის (მშპ) მაჩვენებელზე. საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რამდენადაც იგი წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან მასტიმულირებელ ფაქტორს. როგორც მრავალ პატარა ქვეყანას, ისე საქართველოს, არა აქვს საკმარისი საკუთარი სახსრები მოახდინოს დიდი რაოდენობის ინვესტირება წარმოებისა თუ მომსახურების სფეროში. ამავე დროს ზუსტადაც რომ მსხვილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წამოდგენს სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევის წინაპირობას. ამდენად, საქართველოს ეკონომიკისათვის აუცილებელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება, ხოლო შესაბამისი ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნა განსაზღვრავს ამ პროცესის ეფექტიანობას.

სტატიაში წარმოდგენილია 2014 წელს საქართველოში გან-

ხორციელებული პუი-ის ანალიზი, როგორც ცალკეული ქვეყნე-ბის, ასევე ეკონომიკის დარგების მიხედვით. აღიშნულია, რომ მთლიანად გასული წლის შედეგების მიხედვით, საქართველო-ში განხორციელებული პირდაირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1 758 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველოსთვის მიზანშე-წონილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება ის-ეთ დარგებში, რომლებიც საექსპორტო პროდუქციის ფართო-მასშტაბიან წარმოებაზეა ორიენტირებული და შესაძლებელია ქვეყნის ფარგლებს გარეთ მისი მომგებიანი რეალიზაცია. პირ-დაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება პრიორიტეტულ დარგებში ხელს შეუწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეკონომიკურ ზრდას.

**საკვანძო სიტყვები:** პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ეკონომიკური ზრდა, ბიზნესგარემო.

## შესავალი

ინვესტიციები წარმოადგენს ფინანსური გადაწყვეტილებე-ბის ყველაზე რთულ სფეროს. ხშირად ამბობენ, რომ აქ აუცილ-ებელია გაგაჩნდეს განსაკუთრებული ინტუიცია, რომ მიიღო წარმატებული გადაწყვეტილება. პირდაპირი უცხოური ინვეს-ტიციები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ რა ოდენობით თანხების მოზიდვა ხდება ქვეყნის ეკონომიკაში, როგორ ხდება მათი გახარჯვა, რამდენად მიმზიდველია ქვე-ყანა საინვესტიციოდ და რომელ დარგებშია მაღალი მოგების მიღების შესაძლებლობები.

## ძირითადი ნაწილი

საქართველოს ტრანსფორმაციულ ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დიდ როლს თამაშობს. ერთი მხრივ, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შეუძლიათ გადაწყვიტონ საინვესტიციო რესურსების დეფიციტის პრობლემა ქვეყანაში, ისინი ხელს უწყობენ კონკურენციის დონის ზრდას, ასტიმუ-

ლირებენ ადგილობრივ ფირმებს მოიძიონ საკუთარი კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზები, რაც ასევე მომგებიანია მომხმარებლისთვისაც. პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით შესაძლებელია მოწინავე ტექნოლოგიებისა და ბიზნეს-პრაქტიკის შემოტანა, რაც გულისხმობს არა მარტო ტექნოლოგიურ განვითარებას და ბიზნეს-პროცესების ორგანიზების მექანიზმის სრულყოფას, არამედ შესაბამისი „ხარისხიანი" მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნას. ყოველივე ეს ხელს უწყობს პოზიტიურ ცვლილებებს შრომის ბაზარზე. მეორე მხრივ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასტიმულირებენ ეროვნულ ეკონომიკაში ინფრასტრუქტურული ინსტიტუტების მოზიდვას. ასეთი კომპანიები ქმნიან თავიანთ ფილიალებს საქართველოში და ახორციელებენ პირდაპირ ინვესტიციებს ქვეყნის ეკონომიკაში.

მსოფლიო პრაქტიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სხვადასხვა ხერხებს გამოიყენებენ, მათგან სტიმულები ინვესტიციების მოზიდვის ყველაზე პოპულარული მექანიზმია.

შეიძლება ითქვას, რომ ინვესტიციების დინამიკა და მათი სტრუქტურა ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანესი ინდიკატორია, განსაკუთრებით საქართველოს პირობებში, როდესაც განვითარებისთვის შიდა რესურსები არ არის საკმარისი. კერძოდ, ბიუჯეტის რესურსები შეზღუდულია, ეკონომიკური სუბიექტების დანაზოგები ინვესტირებისათვის - ძალიან მცირეა. ასეთ პირობებში სახელმწიფოს მხრიდან ინვესტორების გონივრულად მოზიდვა და ინვესტიციების განხორციელება პირდაპირ უკავშირდება ეკონომიკური სექტორის ამოძრავებას, მიძინებული დარგების გაღვიძებას, განათლებას, დასაქმების პრობლემის მოგვარებას და, რაც მთავარია, საქართველოს მოსახლეობის ბედნიერ მომავალს.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2004-2014 წლებში.

დიაგრამა 1




**წყარო:** დიაგრამა შემუშავებულია საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით.

დიაგრამა გვიჩვენებს, რომ საქართველოში საინვესტიციო ნაკადების მკვეთრი ზრდის ტენდენცია 2006 წლიდან შეინიშნებოდა. ამ ტენდენციას ძირითადად განაპირობებდა შედარებითი ფისკალური სტაბილურობა, ლიბერალური ეკონომიკური კურსი და ქვეყნის ხელისუფლების მიერ საერთაშორისო დონეზე განხორციელებული მასობრივი პიარ-კამპანიები. 2007 წელს კი ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში და შეადგინა 2,014 მილიონი აშშ დოლარი. საინვესტიციო აქტივობის თვალსაზრისით, სიტუაცია გარკვეულწილად უარყოფითად იცვლება 2008 წლიდან, მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და 2008 წლის აგვისტოში განხორციელებული რუსული აგრესიის უარყოფითი ზეგავლენის გამო. მიუხედავად ამისა, 2008 წელს ინვესტიციების წლიურმა მოცულობამ მაინც სოლიდურ ნიშნულს მიაღწია და

შეადგინა 1,565 მილიონი აშშ დოლარი. 2009-2010 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მნიშვნელოვანად შემცირდა წინა წლებთან შედარებით და, შესაბამისად, 658 და 814 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ხოლი ზრდა დაფიქსირდა 2011 წელს, როდესაც ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1117 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ანუ 2009 წელთან შედარებით 2011 წელს იგი 69,7 %-ით გაიზარდა. 2012 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 912 მლნ აშშ დოლარი იყო, რაც 18 პროცენტით ნაკლებია წინა, 2011 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. 2014 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა წინასწარი მონაცემებით 1,273 მლნ აშშ დოლარი, ხოლო დაზუსტებული მონაცემებით კი 1 758 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ანუ 2014 წელს 2013 წელთან შედარებით ზრდამ 86,6 პროცენტი შეადგინა, რაც 2008 წლის გლობალური ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ხოლო 2015 წლის II კვარტალში, წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 354.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიცების პროცენტული წილის ზრდა მშპ-თან მიმართებაშიც დაფიქსირდა 2005-2007 წლებში. 2007 წელს ინვესტიციების წილი მშპ-ში 19.8% იყო და 2005 წელთან შედარებით იგი 182%-ით გაიზარდა, ხოლო 2008 წელს კი მხოლოდ 12.2 პროცენტი შეადგინა, ანუ შემცირდა 61 პროცენტით. 2009-2011 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი ისევ ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა და შესაბამისად, 6,1 და 7,7 პროცენტი შეადგინდა, ანუ მოცემულ პერიოდში იგი 26 პროცენტით გაიზარდა. 2012-2013 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიცების პროცენტული წილი მშპ-ში შემცირდა და 5,8 % შეადგინა, ხოლო 2014 წლის მონაცემების გათვალისწინებით, იგი 10,6 % შეადგენს.

დიაგრამა 2




წყარო: http://www.economy.ge/

ჩვენი კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ 2014 წელს ეკონომიკური ზრდის წარმმართველი ფაქტორი იყო ინვესტიციები. ინვესტიციების როლი ეკონომიკურ ზრდაში სავარაუდოდ შენარჩუნდება 2015 წელსაც.

ჩვენთვის ასევე საინტერესოა, 2014 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების გამოვლენა. ქვემოთ მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს სხვადასხვა ქვეყნების მიერ საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების დინამიკას ბოლო 5 წლის განმავლობაში. საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით ნიდერლანდებმა და ჩინეთმა 2014 წელს წინა წელთან შედარებით თავიანთი ინვესტიციები ორჯერ გაზარდეს (144,2 და 142,1 %-ით შესაბამისად), აზერბაიჯანმა და აშშ კი ოთხჯერ (316,3 და 304,2 %-ით შესაბამისად). უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თურქეთმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა საქართველოში 2014 წელს გაზარდა 46,7 %-ით, მაშინ როცა 2010-2012 წლებში კლება შეადგენდა 31 და 22 პროცენტს, შესაბამისად.

მონაცემები ადასტურებენ, რომ ოთხი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2014 წელს 62 პროცენტი შეადგინა. პირველ ადგილზე ნიდერლანდები იმყოფება 21 პროცენტით, მეორეზე – აზერბაიჯანი 19 პროცენტით, მესამეზე – ჩინეთი 12 პროცენტით, ხოლო მეოთხეზე აშშ - 10 პროცენტით.

ხოლო 2015 წლის II კვარტალში, წინასწარი მონაცემებით, უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტორი ქვეყნებია: პირველ ადგილზე - აზერბაიჯანი (მთლიანი ინვესტიციების - 45.2%), საიდანაც 160.2 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, მეორე ადგილზე - ნიდერლანდები (19.1%), საიდანაც 67.7 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, ხოლო მესამე ადგილს თურქეთი იკავებს 41.0 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციით, რაც მთლიანი ინვესტიციების 11.5% პროცენტია.**[6]**

საინტერესოა, აგრეთვე, ინვესტიციების დარგობრივი მიმართულებების განხილვა. ჩვენი დაკვირვებით და საქსტატის დაზუსტებული მონაცემების გაანალიზებით, ინვესტორთა დაინტერესება 2014 წელს გადანაწილდა შემდეგ სექტორებზე: ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელდა და 433,7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის 24,6 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება მშენებლობა 316,6 მლნ. აშშ დოლარით, რაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობის 18 პროცენტია, ხოლო მესამეზე – დამამუშავებელი მრეწველობა 205,4 მლნ. აშშ დოლარით და 11,6 პროცენტით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობაში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორების ჭრილში, **2010-2014** წლების მიხედვით, მოცემულია ცხრილში (იხ. გვ. 24).

დარგების მიხედვით ინვესტიციების განაწილების მხრივ, საინტერესოა ერთი ტენდენცია – 2014 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა ენერგეტიკის დარგში 189,9 მილიონი აშშ

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2010-2014 წწ. დაზუსტებული მონაცემები. (მლნ. აშშ დოლარი). ცხრილი.**

| პირდაპირი უცხოური ინვეს-ტიციები ეკონომიკის სექტო-რების მიხედვით | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2014 2010 წ-თან, % | 2014 – 2012 წ-თან, % | 2014 - 2013 წ-თაან, % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სულ: | 814 | 1 117 | 912 | 942 | 1758,4 | 216 | 192,8 | **186,6** |
| მათ შორის: | | | | | | | | |
| ტრანსპორტი და კავშირგაბ-მულობა | 215,1 | 126,5 | 72,8 | 140,1 | **433,7** | 206,2 | 6-ჯერ | 309,5 |
| მშენებლობა | 4,7 | 48,1 | 41,8 | 49,8 | **316,6** | 67-ჯერ | 7,5ჯერ | 635,7 |
| დამამუშავებელი მრეწვე-ლობა | 175,3 | 120,3 | 167,9 | 99,8 | **205,4** | 117,1 | 122,3 | 205,8 |
| ენერგეტიკა | 21,8 | 204,0 | 179,4 | 244,7 | **189,9** | 8-ჯერ | 105,8 | 77,6 |
| უძრავი ქონება | 74,7 | 89,2 | 40,1 | 42,3 | **138,7** | 185,6 | 345,8 | 327,8 |
| სასტუმროები და რესტორ-ნები | 17,2 | 22,7 | 17,7 | -13,4 | **124,9** | 7-ჯერ | 7-ჯერ | 111,5 |
| საფინანსო სექტორი | 107,2 | 167,7 | 162,6 | 166,4 | **115,3** | 107,5 | 70,9 | 69,2 |
| დანარჩენი სექტორები | 90,3 | 266,8 | 190,8 | 212,1 | **234,0** | 259,1 | 122,6 | 110,3 |

**წყარო:** ცხრილი შედგენილია საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით

დოლარი შეადგინა, მაშინ როდესაც 2013 წელს ეს მაჩვენებელი 244,7 მილიონი იყო. ანუ ენერგეტიკის სექტორში ადგილი აქვს ინვესტიციების 23 პროცენტიან კლებას. საქართველოს ენერგეტიკა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ და საინტერესო, დიდი შესაძლებლობისა და პოტენციალის სფეროს. ასეთი შემცირების მიზეზი ისაა, რომ ბევრი პროექტი ამ სფეროში სხვადასხვა გარემოებების გამო შეჩერებულია.

ხოლო 2015 წლის II კვარტლის წინასწარი მონაცემებით, სექტორების მიხედვით საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი ისევ ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაზე მოდის, სადაც 207.4 მლნ აშშ დოლარი მოცულობის ინვესტიცია განხორციელდა (მთლიანი ინვესტიციების 58.5%), მას მოჰყვება საფინანსო სექტორი - 41.4 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 11.7%), დამამუშავებელი მრეწველობა 29.5 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 8.3%), მშენებლობა – 24.7 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციის 7.0%), უძრავი ქონება – 19.6 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციის 5.5%) და სასტუმროები და რესტორნები – 18.2 მლნ აშშ დოლარი (5.1%). **[6]**

მოცემული პერიოდისთვის საქართველოს ეკონომიკაში არსებული ვითარება ასეთია - შემცირებული ფულადი გზავნილები, შემცირებული ექსპორტი, გაუფასურებული ლარი, ეროვნული ბანკის მიერ გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები გადასახადების ზრდასთან დაკავშირებით, რომლის შესრულებასაც საქართველოს მთავრობა არ აპირებს. სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შეუსრულებლობა კი ნიშნავს იმას, რომ მთავრობამ ეკონომიკური ვითარების გაჯანსაღება სავალუტო ფონდის ტრანშის გარეშე უნდა მოახერხოს. ასეთ ვითარებაში გამოსავალი უცხოური ინვესტიციებია, რომელიც საქართველოს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი გასაღები უნდა გახდეს უახლოესი წლების განმავლობაში.

როგორც ცნობილია, უცხოელი ინვესტორი კაპიტალურ რესურსებს აბანდებს მხოლოდ სტაბილური ეკონომიკის მქონე

ქვეყნებში, რომლებიც, თავის მხრივ ,ადგილობრივი ინვესტორის ნდობითაც ხასიათდებიან. აქედან გამომდინარე, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ როდესაც საუბარია საქართველოში უცხოური კაპიტალის მოზიდვაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ მისი შემოსვლა ქვეყანაში ბევრადაა დამოკიდებული შესაბამისი ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნაზე.

მიუხედავად მრავალი პოზიტიური ცვლილებებისა (მაგალითად, საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2015 წელს 2008 წელთან შედარებით, 32-ე ადგილიდან 22-ზე გადმოინაცვლა, ბიზნესის კეთების სიადვილის მიხედვით საქართველოს რეიტინგი 2015 წელს არის მე-15 ადგილი 189 ქვეყანას შორის, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით 2014-2015 წლებში საქართველო 69-ე ადგილზე იმყოფება, მისი სარეიტინგო ქულა 4,22 შეადგენს (ზომიერი მაჩვენებელი) და ქვეყანამ პოზიცია 3 საფეხურით გაიუმჯობესა), ჩვენი ბიზნესგარემო ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებებით ხაისათდება. როგორც ვიცით, საგადასახადო კოდექსი და შესაბამისად საგადასახადო გარემო განსაზღვრავს ინვესტორთა დაინტერესებას და ფირმების მიერ წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობასაც, შიდა და მსოფლიო ბაზარზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს საგადასახადო სისტემა არის მკაცრი, პროპორციული და არადიფერენცირებული სისტემა, რომელიც კომპანიებს უქმნის მეტ დაბრკოლებებს ფუნქციონირებაში, ვიდრე ნებისმიერ მეზობელ სახელმწიფოში. აქედან გამომდინარე აუცილებელია საგადასახადო კანონმდებლობის მასტიმულირებელი როლის ამაღლება არამარტო შიდა, არამედ უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად.

## დასკვნა

ინვესტიციების მოზიდვისა და ხელშეწყობისათვის აუცილებელია ქვეყნისათვის სტრატეგიული სექტორების განვითარება და ამ სექტორებში სამეცნიერო კვლევების ჩატარება, მათ საფუძველზე კონკრეტული საინვესტიციო წინადადებებისა და პროექტების მომზადება; ინვესტორების მოზიდვის, ექსპორტის

მოცულობის გაზრდისა და ახალი ბაზრების ათვისების მიზნით, სასურველია ბაზრის კვლევა, ქართული პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით საერთაშორისო მედია საშუალებების მეშვეობით მიზნობრივი საიმიჯო სარეკლამო კამპანიების განხორციელება, საერთაშორისო გამოფენებში, ტრეიდშოუებსა და პროდუქციის წარმოსაჩენ ღონისძიებებში მონაწილეობა; ქვეყნის ცნობადობის ასამაღლებლად ბიზნესფორუმების ჩატარება, პროდუქციის გამოფენებისა და ბიზნეს-შეხვედრების ორგანიზება, საერთაშორისო კონფერენციებსა და სავაჭრო გამოფენებში მონაწილეობა; პროდუქციის ექსპორტზე ორიენტირებული ქართული კომპანიების ხელშეწყობის მიზნით ექსპორტის საინფორმაციო ცენტრის შექმნა და მცირე ბიზნესის განვითარების ცენტრების დაარსება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათი ბიზნეს საქმიანობის გაფართოებისა და ეფექტიანად წარმართვისათვის საინფორმაციო უზრუნველყოფა და კონსულტირება ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხზე.

საქართველოსთვის მიზანშეწონილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება ისეთ დარგებში, რომლებიც საექსპორტო პროდუქციის ფართომასშტაბიან წარმოებაზეა ორიენტირებული და შესაძლებელია ქვეყნის ფარგლებს გარეთ მისი მომგებიანი რეალიზაცია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება პრიორიტეტულ დარგებში ხელს შეუწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეკონომიკურ ზრდას.

აუცილებელია, სახელმწიფომ შექმნას ისეთი სამართლებრივი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ეკონომიკური სუბიექტის ზრდის თანაბარ შესაძლებლობებს და შემოსავლების სამართლიან გადანაწილებას. ინვესტიციების მოზიდვისა და ხელშეწყობისათვის სასურველია წინა წლებში შემოსული ინვესტორებისათვის რეინვესტიციის განსახორციელებლად შესაბამისი გარემოებების შექმნა და ხელის შეწყობა; საჭიროა მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტას და შეუფერხებელ ეკონომიკურ ზრდას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Dunning, J. H. (1980). Theories and Paradigms of international Business Activity [Online].Available: https://books.google.co.in/books?id=XCUWU3Q_XVMC&pg=PA138&lpg=PA138&dq=five+stage+theory+john+dunning&source=bl&ots=DfZFYX4fsy&sig=pTeteLoaHXJwOzkdUdqTmyWf0c0&hl=en&sa=X&ei=jt5FUd2HDYeTrgfSkoCgBQ&ved=0CD0Q6AEwAg#v=onepage&q=five%20stage%20theory%20john%20dunning&f=false

2. Lensink R. and Morrissey, O. Foreign Direct Investment: Flows, Volatility and Growth in Developing Countries, 2001. University of Nottingham, mimeo.

3. Jensen, C., Foreign Direct Investment and Economic Transition: Panacea or Pain Killer. *Europe-Asi Studies*, Vol. 58, No. 6, pp. 884-891, 2006

4. Imad A. Moose, foreign direct Investment. Theory, Evidence and practice,2002

5. Mello De, L.R., ‘Foreign Direct Investment-led Growth: Evidence from Time Series and PanelData’, Oxford Economic Papers, Vol. 51, pp. 133-151.1999

6. http://www.economy.ge/

7. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo

# THE IMPACT OF FOREIGN DIRECT INVESTMENTS ON THE ECONOMIC GROWTH OF GEORGIA

**Medea Kavtaradze**, Phd in Engineering Sciences,
Associated Professor, Batumi State Maritime Academy.
**Natia Bejanidze**, Phd student, Batumi
State Maritime Academy.

## RESUME

The aim of the work is to analyze foreign direct investment in Georgia and to determine its impact on the index of the country's economic growth (GDP). The work deals with Georgia's business environment and the role of foreign investment in the improvement process. It's very important for Georgia, as for the developing country, to bring foreign direct investment since it represents an important stimulating factor for economic growth. Georgia, as many other small countries, can't afford big investments in production and service sectors. While, exactly large foreign direct investments represent a prerequisite for stable economic growth achievement. Thus, it's necessary for Georgia's economy to use the maximum possibilities of FDI and the effectiveness of the process is determined by creating a favorable investment climate.

The article presents analysis of foreign direct investments in Georgia in 2014, both in individual countries and economic sectors. It is noted that according to the results of last year, foreign investment amounted to 1 758 million American USD in Georgia.

Foreign direct investments give the opportunity to developing countries to master modern technologies that strengthens the capacity of local firms and their ability to produce competitive products on the world market.

It is concluded that for Georgia it's important to invest foreign direct investment in the fields, which are oriented on the large-scale production that can be sold profitably out of the country. To invest direct foreign investment in priority sectors will contribute to improve the competitive-

ness and economic growth of the country.

Georgia's business environment is still characterized by many shortcomings. It's necessary for Government to create a legal environment that will provide equal opportunity for all economic subject growth and fair distribution of income. To promote investments it's desirable to create relevant circumstances for investors from previous year to make reinvestments. Deliberate state policy is needed, which will provide long-term solutions to the social and economic goals and objectives of uninterrupted economic growth.

**Keywords:** foreign direct investments, economic growth, business environment.

# მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის დაბალი დონე - ეკონომიკური ზრდის უმთავრესი შემაფერხებელი ფაქტორი კრეატიული ეკონომიკის პირობებში

**რევაზ შენგელია**
ემდ,სტუ პროფესორი
**ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია,**
ემდ,სტუ პროფესორი

**რეზიუმე**

ბოლო პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე ნაშრომში ნაჩვენებია, რომ კრეატიული ეკონომიკის პირობებში ქვეყნის განვითარების დონის ამაღლების უმთავრესი საშუალებაა მოსახლეობის საყოველთაო კეთილდღეობისკენ მიმართული სწრაფი ეკონომიკური ზრდა, ხოლო ასეთი ეკონომიკური ზრდის ძირითადი ფაქტორი- მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის, მისი განახლება-კვლავწარმოების მაღალი დონე. გასაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების ახალ სამ ფორმაზე, მათი პრაქტიკაში გათვალისწინების მნიშვნელობაზე საზოგადოებრივი შრომის დანაკარგების შემცირების თვალსაწიერით და წარმოჩენილია განათლების სფეროში, ცოდნის ფორმირების პროცესში მოღვაწე მუშაკთა როლი ეკონომიკაში არსებული არასასურველი მდგომარეობის გამოსასწორებლად და ქვეყნის შემდგომი წინსვლის საქმეში. მოცემულია ადამიანისეულ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების პირობითად ორ- პირდაპირ და ირიბ ინვესტიციებად დაყოფის არგუმენტაცია და გაკეთებულია დასკვნა, რომ პირდაპირი დაბანდება ადამიანურ კაპიტალში ზრდის ამ კაპიტალის მოცულობას, ხოლო ირიბი ხარჯები — ახანგრძლივებენ ამ კაპიტალის ექსპლუატაციის ვადას, აუმჯობესებენ მის ქმედუნარიანობას, ამცირებენ ავადობას და სიკვდილიანობას.

**საკვანძო სიტყვები:** მორალური მოძველება, კრეატიული ეკონომიკა. კონკურენტუნარიანი მეცნიერულ-ტექნიკური

ცოდნა, მისი დონე, ტექნიკის, მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის კვლავწარმოება-განახლების ფორმები, კონკურენტუპირატესობების მატარებელი ადამიანი, ადამიანისეულ კაპიტალში განხორციელებული პირდაპირი და ირიბი ინვესტიციები.

## ძირითადი ტექსტი

ეროვნული ეკონომიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლების უმთავარესი გზაა სწრაფი ეკონომიკური ზრდა. ასეთი ეკონომიკური ზრდის მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი კი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების მაღალი დონე, რაც იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ ქვეყანაში (კომპანიაში, დარგში და ა.შ.) ფართოდ ინერგება ახალი ცოდნა და შესაბამისად დაბალია მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების ხარისხი, მეტია კონკურენტებთან ბრძოლაში გამარჯვების შანსი. ამიტომ თანამედროვე სწრაფცვალებად კონკურენტულ სამყაროში გადასარჩენად, როგორც პროფესორი გურამ ჯოლია სავსებით მართებულად,აღნიშნავს, საჭიროა, ჯერ ჩვენ შევიცვალოთ, მუდამ ვისწრაფვოდეთ ახლისკენ, ვიაზროვნოთ და ვიმოქმედოთ შემოქმედებითად ანუ კრეატიულად. თანამედროვე პროგრესული ადამიანი არ უნდა იყოს მხოლოდ სხვისი შექმნილის მომხმარებელი. იმავდროულად უნდა ვცდილობდეთ, ვიყოთ კრეატიულებიც, რადგან ვინც არ ქმნის რაიმე ახალს, ის მხოლოდ სხვის მიერ შექმნილს იმეორებს და/ან მოიხმარს **[1.**გვ.9.**]**. სხვაგვარად, ანუ შემოქმედების განვითარების გარშე წარმოუდგენელია სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიღწევა, მითუმეტეს კრეატიული ეკონომიკის პირობებში.

კრეატიული ეკონომიკის პირობებში, განსხვავებით ტრადიციული ეკონომიკისაგან, სართოდ მორალური მოძველების და განსაკუთრებით მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების, მისი კვლავწარმოება-განახლების დონეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. აქ მორალური მოძველების ობიექტური მოვლენა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. მთავარი სპეციფიკა იმაშია, რომ თანამედროვე საერთაშო-

რისო მოთხოვნების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა (რომელსაც ადამიანი აგროვებს მთელი სიცოცხლის მანძილზე), **კრეატიული ეკონომიკის განვითარების ძირითადი ინსტრუმენტი ხდება.** დღეს მაღალ განვითარებას უფრო მეტად აღწევენ ის ქვეყნები, რომლებიც დიდ ცოდნას კი არ ქმნიან, არამედ მათთვის სასარგებლო დიდ ცოდნას იყენებენ პრაქტიკულად.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების, მისი განახლება-კვლავწარმოების **პრობლემის** ანალიზს გააჩნია ის სპეციფიკა, რომ მათი გათვალისწინებამ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივი შრომის იმ დანაკარგების დროულ აღმოფხვრას, რომლებიც წარმოიშობიან მორალურად მოძველებული ტექნიკის ფუნქციონირების, მოძველებული ცოდნის, სწავლების მეთოდების, ხერხების გამოყენების დროს. იმისათვის, რომ საზოგადოების, საწარმოს, კომპანიის დანაკარგი ასეთი ცოდნის , ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენების პირობებში კიდევ არ გაიზარდოს, ჩვენი აზრით, საჭიროა არსებული მეცნიერულ-ტეცნიკური ცოდნის ეფექტიანად ფუნქციონირების პერიოდი შეესაბამებოდეს უახლესი, უფრო სრულყოფილი ცოდნის გამოჩენის ტემპებს. ამ გაგებით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მაგალითად, მოსწავლეებისათვის, სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემა მოძველებული ხერხებით, მეთოდებით, სამეცნიერო ლიტერატურით. ამასთან, უმაღლესი სასწავლებლების მთავარი ამოცანა უნდა იყოს არა მარტო არსებული ცოდნის გადაცემა, არამედ იმის სწავლება, რომ, მაგალითად, ინტერნეტსა და ბიბლიოთეკებში არსებული ინფორმაციის ოკეანიდან საჭიროა მხოლოდ მისთვის სასარგებლოს ამოღება და გამოყენება [1.გვ.25.]

ცოდნის მორალური მოძველების ეკონომიკური შინაარსი ჩვენ დროს ჩამორჩენილ, თანამედრვე სამყაროს და განვითარებულ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ტექნოლოგიებს ვერაყოლიილ მოვლენად წარმოგვიდგენია. თანამედროვე სამყარომ დიდი ხანია დაკარგა მოსვენება, სტატიკურობა. დედამიწა თითქოს "უფრო სწრაფად ბრუნავს". გუშინდელი მოდელის ტექნიკა (მაგ.ტელეფონი, ესა თუ ის ნივთი, მექანიზმი და ა.შ. ),

დღეს უკვე მოძველებულია. იგი ვერ იმუშავებს უკეთესად თანამდროვე და განახლებულ, მოდერნიზებულ ანალოგიებთან შედარებით, რაც კომპანიებს იძულებულს ხდის გამუდმებით სრულყონ წარმოების ტექნოლოგიები, ბაზარს შესთავაზონ ახალი პროექტები, პროდუქტები, იდეები, მიდგომები და სხვა. ე.ი. აუცილებელია ასეთი ტექნიკის შეცვლა, განახლება, გაუმჯობესება. მაგრამ როცა ადამიანის მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მოძველებაზეა მსჯელობა, საჭიროა მისი გადამზადება. მაგალითად, თუ ადრეულ ეპოქებში საკმარისი იყო რაიმე ხელობის შესწავლითა ადამიანს თერძობით ან მეწაღეობით მთელი სიცოცხლის მანძილზე უზრუნველეყო საკუთარი და საკუთარი ოჯახის მოთხოვნილებანი, დღეისათვის სწრაფცვალებადი კონკურენტული სამყარო მოითხოვს ადამიანის, როგორც წარმოების მთავარი ფაქტორის კვალიფიკაციის ამაღლებას (მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მუდმივი განახლება ჩვენი დროების თანამდევი ნიშანია - ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს სხვადასხვა კომპანიებში შემოღებული გადამზადების სავალდებულო პროგრამები, რათა თანამშრომლებს შესაძლებლობა ჰქონდეთ დროულად გაეცნონ და დანერგონ ახალი სამეცნიერო მიღწევები საწარმოო პროცესებში. საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც გამოსაცემი სამეცნიერო ლიტერატურა უკვე მოძველებულია ტექნიკური პროგრესისა და ინფორმაციის კოლოსალური სისწრაფით გავრცელების შედეგად) მინიმუმ 5 წელიწადში ერთხელ **[2. გვ. 96.],** რათა ის მოერგოს თანამედროვე სამყაროს გაზრდილ მოთხოვნებსა და აჰყვეს სამყაროს სწრაფვას გაუმჯობესებისკენ. კომპანია, რომელიც ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნებს, ვერ იმუშავებს ეფექტიანად, ვერ იქნება კონკურენტუნარიანი და, ამდენად, ვერ იქნება განვითარებული, ანუ მომგებიანი. ტექნიკა, ტექნოლოგია, რომელიც მორალურად მოძველდა, ვერ უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნას. ასევეა ადამიანებიც, განსაკუთრებით პედაგოგები (მაგალითად, მორალურად მოძველებული მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მატარებელი მასწავლებელი ვერ შექმნის (აღზრდის) თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესა-

ბამის პროდუქციას (მოსწავლეს, სტუდენტს). მათთვისაც აუცილებელია მოერგონ დროს და აჰყვნენ თანამედროვე სამყაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ცოდნა განიცდის „მორალურ მოძველებას" - მათი თეორიული და პრაქტიკული მიღწევები აღარ შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნებს. ადამიანი შეიძლება ფიზიკურად კარგად გამოიყურებოდეს, მაგრამ მორალურად უკვე ვეღარ აკმაყოფილებდეს მოცემული დროისთვის არსებულ მოთხოვნებს. მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა მსგავსად ფიზიკური კაპიტალისა, მოძველებას ექვემდებარება. თუმცა აქ საქმე გვაქვს როგორც ცოდნის მოძველებასთან, ასევე ცოდნის მატარებელი ადამიანის ფიზიკური და სულიერი სიმხნევის დაცემასთან. როგორც ცნობილია,ფიზიკურ კაპიტალში განხორციელებულ ერთსა და იმავე ინვესტიციას, სხვა თანაბარი პირობებში, ასე თუ ისე თანაბარი შემოსავალი მოაქვს, მაშინ როცა ორი ადამიანი, თანაბარ პირობებში მიღებული განათლებით, სრულიად განსხვავებულ შედეგებს აღწევს. ამის მიზეზია განსხვავებანი ადამიანის ინტელექტუალურ შესაძლებლობებში, ბუნებრივ მახასიათებლებსა და გარემო პირობებში. უფრო კონკრეტულად, ადამიანის, როგორც მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მატარებლის ფიზიკური და სულიერი სიმხნევე დამოკიდებულია მრავალ სოციალურ ფაქტორზე — ჯანდაცვის, კულტურისა და დასვენების, კვების დონეზე. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვეთანხმებით სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა იმ დასკვნას, რომ გარდა განათლების სფეროში განხორციელებული ინვესტიციებისა, აუცილებელია სათანადო ყურადღება მიექცეს თავად ადამიანური კაპიტალის დაფინანსებას, რაც უცილობლად აისახება შრომის მწარმოებლურობისა და წარმოების ეფექტიანობის ზრდაში [3.] აქედან გამომდინარე ,ბუნებრივია,ყოველი სახელმწიფოს ინტერესში უნდა შედიოდეს ინვესტიციების განხორციელება "ადამიანისეულ კაპიტალში", რომელიც, გარდა ცოდნისა, მოიცავს ჯანდაცვის, კულტურის, სპორტისა და სხვა სოციალური ინსტრუმენტების ნაკრებს და რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის, როგორც ინტელექტუალური კაპიტალის მატარებლის **მორალურ განახლებას**. ამ გაგებით ადამიანისეულ კაპიტალში განხორციელებული

ინვესტიციები, სავსებით სამართლიანად, პირობითად შეიძლე-ბა ორ, პირდაპირ და ირიბ, ინვესტიციებად დაიყოს. პირდაპირს მიეკუთვნოს დანახარჯები ადამიანის განათლებასა და პროფე-სიულ გადამზადებაზე, ხოლო ირიბს - სამედიცინო მომსახუ-რებაზე და სხვა სახის სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯები. პირდაპირი დაბანდება ადამიანურ კაპიტალში ზრდის ამ კაპიტალის მოცულობას, ხოლო ირიბი ხარჯები — ახანგრძლი-ვებენ ამ კაპიტალის ექსპლუატაციის ვადას, აუმჯობესებენ მის ქმედუნარიანობას, ამცირებენ ავადობას და სიკვდილიანობას [4.გვ.52], რაც გარკვეული პერიოდის შემდეგ დიდ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგს მოგვცემს. მაგრამ ინვესტიციების ასეთ დაყოფას თუ გავიაზრებთ ეკონომიკური ზრდის თვალსაწიერით, დავინახავთ, რომ საქართველოში ამის მიღწევა საკმაოდ შორეუ-ლი პერსპექტივა იქნება, რადგან თუ გავითვალისწინებთ ცოდნის ხარისხს, ჯერ ერთი, მის განახლებას საქართველოს უმაღლესი განათლების მქონე პირები ნაკლებად ახერხებენ და მეორე, და-ბალია სოციალურ პირობები, რომლებიც, როგორც ზემოთ ავღ-ნიშნეთ, აუცილებელია ადამიანის, როგორც ცოდნის კაპიტალის მატარებლის მორალური მოძველების შესაჩერებლად. ასეთი მდგომარეობის, კერძოდ კი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების მოვლენის ობიექტურად არსებობა იმი-თაც დასტურდება, რომ ჩვენში როგორც ცალკეული ინდივიდი, ისე სახელმწიფო ყოველნაირად ცდილობს დაზოგოს სახსრე-ბი განათლებაზე და მეცნიერებაზე და ანგარიში არ გაუწიოს იმ ფაქტს, რომ იაფი და უხარისხო ცოდნიდან მიღებული ზარალი და დანაკარგები ბევრად სჭარბობს ძვირ, მაგრამ მაღალხარისხიან ცოდნაზე გაღებულ ხარჯებს. მეტიც, ხშირად თავს ვიწონებთ, რომ საქართველო იაფი მუშახელის გამო მიმზიდველია უცხოელ ინვესტიორთათვის და გვავიწყდება, რომ იაფი მუშა-ხელი დაბალ კვალიფიკაციას, დაბალ შემოსავალს ნიშნავს, დაბალი შემოსა-ვალიკი-ცხოვრების დაბალ დონეს, სიღარიბეს. ხაზგასასმელია, ისიც, რომ დაბალკვალიფიციური მუშაკი (იაფი მუშა-ხელი) და ინოვაციები, მოწინავე ტექნიკა-ტექნოლოგია შეუთავსებელი მოვლენებია, რაც ბუნებრივად აფერხებს პროგრესს და ცოდნაზე

დამყარებული კრეატიული ეკონომიკის განვითარებას.

აქიდან გამომდინარე, თუ მართლაც გვსურს ეროვნული ეკონომიკის გრძელვადიანი, მდგრადი ზრდა, ანუ საყოველთაო და დიფერენცირებული კეთილდღეობა, ინვესტირება უნდა მოვახდინოთ სუსტად განვითარებულ მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნაში, რადგანაც ინვესტირებას განათლებაში გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ფიზიკურ კაპიტალში (ახალი დაზგა-დანადგარები, შენობები, გზები და სხვა). ასე მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში განათლებასა და მეცნირებაზე გაწეული კაპდაბანდებები მშპ-ს ზრდის 40%-ით, ხოლო 5-7 წელიწადში, როდესაც ეს ინვესტიციები სრული ეფექტის მოცემას დაიწყებს, მათი უკუგება აღემატება ნავთობისა და გაზის მოპოვებაზე უკუგებას[5.გვ.40.].

ეკონომიკის მსგავსად მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნაც თვითგანახლებად სისტემას წარმოადგენს, რომელშიც პარალელურად მიმდინარეობს ახალი ცოდნის შექმნისა და არსებული ზოგიერთი ცოდნის მორალური მოძველების პროცსები. განსაკუთრებით უფრო სწრაფი ტემპით, მყისიერად მიმდინარეობს ეს პროცესები გამოყენებით მეცნიერებებში, ვიდრე საზოგადოებრივ, თეორიულ მეცნიერებებში. ასეთ პირობებში ცოდნის, განსაკუთრებით მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის წლიდან-წლამდე უცვლელი ოდენობით დატოვება, განმეორება იგივე იქნებოდა რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ინოვაციების, სიახლეების დანერგვის უგულვებელყოფა. არადა 21-ე საუკუნე ხომ ისეთი საუკუნეა, როცა ცოდნა განიხილება, როგორც ეკონომიკაში გადამწყვეტი, მისი კონკურენტუნარიანობის წინასწარი პირობა [6.გვ.11.]. **ამიტომ საზოგადოება იძულებულია სისტემატურად განაახლოს ანუ აკვლავწარმოოს** მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის (სპეციალობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილი თეორიულ-პრაქტიკული მიღწევების, ცოდნის, გამოცდილების დაუფლების) განახლება-კვლავწარმოების **პირველი-არასრული, ნაკლული შეკვეცილი ფორმის** დროს ამა თუ იმ დარგის, სფეროს მუშაკი თავის სპეციალობაში

კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას მთლიანად ვერ ფლობს (ცხოვრების განმავლობაში შეძენილმა ცოდნამ უკვე ამოწურა თავისი ზღვრული სარგებლიანობა და „მორალური მოძველების" პროცესს განიცდის), რის გამოც იგი **კონურენტუნარიანი** ვერ იქნება. ეს კი, როგორც **კონკრეტული ადამიანისთვის**, ასევე **ქვეყნისთვისაც** პრობლემას ქმნის იმ თვალსაზრისით, რომ, ერთი მხრივ, ეს მუშაკი ვერ გამოიყენებს ტექნიკური პროგრესით მიღწეულ შედეგებს და, მაშასადამე, ვერ იქნება უზრუნველყოფილი სამუშაო ადგილით და, მეორე მხრივ, ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს საკუთარი ეკონომიკური, სოციალური, ტექნიკური და ა.შ. მაჩვენებლებით.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების **მეორე-მარტივი ფორმის** დროს ამა თუ იმ დარგის, სფეროს მუშაკი თავის სპეციალობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას (ეს ცოდნა ხანგრძლივი პერიოდების მანძილზე უცვლელია) მთლიანად ფლობს, ინარჩუნებს საქმიან კონტაქტებს, დადებით იმიჯს და სამუშაო ადგილს, რის გამოც იგი **კონურენტუნარიანია** მანამ ,სანამ მის მიერ ცხოვრების განმავლობაში შეძენილი ცოდნა ამოწურავს თავის ზღვრულ სარგებლიანობას და „მორალური მოძველების" პროცესს დაექვემდებარება და ზიანს არ მიაყენებს არც თავის თავს და არც ქვეყანას.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების **მესამე - გაფართოებული ფორმის** დროს ამა თუ იმ დარგის, სფეროს მუშაკი თავის სპეციალობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას არამარტო სრულყოფილად ფლობს, არამედ დამატებითაც **აქტიურად** დამოუკიდებლად მონაწილეობს მის შემოქმედებითად (კრეატიულად) განვითარებასა და დანერგვაში (თვით უახლესი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნაც კი სწრაფად ძველდება და ის, რაც ჯერ კიდევ გუშინ ურყევ ჭეშმარიტებად მიიჩნეოდა, შეიძლება ახალ პირობებს აღარ შეესაბამებოდეს. ამიტომ სპეციალისტს სჭირდება არა პასიური, არამედ დამოუკიდებელ კრიტიკულ აზროვნებაზე დამყარებული **აქტიური** და **განვითარებადი** ცოდნა), აქვს გარემოში მიმდინარე ცვლილებების ადეკვატური შინაგანი განახლების, ადაპტირების უნარი, ასევე ფლობს თანა-

მედროვე მსოფლიო ენას, მისაღებ პიროვნულ თვისებებს, საქმიან კონტაქტებს და დადებით იმიჯს. ასეთი პირადი კონკურენტუპირატესობების მატარებელი ადამიანი კი არ ეძებს სამუშაოს, არამედ თავად **სამუშაო ეძებს მას**. ასეთი თვისებების მქონე მუშაკი კონკურენტუნარიანი იქნება არა მხოლოდ თავის ქვეყანაში, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში [7.გვ.18.]. ე.ი. მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების **მესამე ფორმის** დროს ადგილი აქვს ცოდნის განახლება-კვლავწარმოებას გადიდებული, სულ უფრო მზარდი ოდენობით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ტემპების კვალდაკვალ. ეს ფორმა უშუალოდ დაკავშირებულია **შემოქმედებითობასთან,** არატრადიციულ, არასტანდარტულ, ახლებურ აზროვნებასთან, უფრო სწორად **კრეატიულობასთან,** რადგან ასეთი ცოდნის მატარებელი მუშაკი კი არ იმეორებს / ან მოიხმარს სხვის შექმნილს, არამედ უშუალოდ ქმნის რაიმე ახალს, განსხვავებულს.

იბადება კითხვა: რა არის საჭირო იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების დაბალი დონისსავარაუდო შედეგები?

საქართველო მდიდარია ნიჭიერი, მაღალი დონის მეცნიერთა პლეადებით. ისინი არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს წამყვან ინსტიტუტებში წარმატებით მოღვაწეობენ. ეს იმედს გვაძლევს, რომ საქართველო მომავალშიც შეძლებს დააკომპლექტოს, მაგალითად, თავისი სამეცნიერო ცენტრები ღირსეული მეცნიერებით, რომლებიც შეძლებენ მსოფლიოს ტექნოლოგიების მცოდნე კადრების მომზადებას. დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობის უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში და აგრეთვე საბავშვო ბაღებშიც კი განათლების, ცოდნის შეძენის საშუალებების მაღალ დონეზე დაყენებას. ამ პრობლემების მოგვარებისათვის კი საჭიროა:

- პირველ რიგში, სახელმწიფომ იზრუნოს იმაზე, რომ მოძველებული განათლების მქონე მომსახურე პერსონალი არ დარჩეს სამუშაო ადგილების გარეშე, რადგან ეს აუცილებლად გამოიწვევს საზოგადოების დიდი ნაწილის უკმაყოფილებას და ხელისუფლებისადმი უნდობლობის გაჩენას. ამისთვის აუცილებელია

პერმანენტულად ხდებოდეს მათი გადამზადება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, უნდა იზრუნოს გადამზადების თანამედროვე ცენტრების შექმნაზე ქვეყანაში. ეს დაწესებულებები ორიენტირებული იქნება მომსახურე პერსონალის მუდმივ გადამზადებასა და მათი ცოდნის განახლება-კვლავწარმოებაზე. გადამზადების ცენტრები მუდმივად მოახდენენ მათთვის ახალი ცოდნის მიღების უზრუნველყოფას, რაც საწარმოებს, კომპანიებს, სასწავლო დაწესებულებებს და ა.შ. აღარ მისცემს იმის საფუძველს, რომ კონკრეტული მომსახურე პერსონალი სამუშაო ადგილის გარეშე დატოვონ და მიზეზად მათი დაბალი კვალიფიკაცია დაასახელონ. ასეთი პროექტის წამოწყება, აამაღლებს როგორც თავად მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციას, ასევე იმ სტუდენტთა კვალიფიკაციას, რომლებიც იღებენ განათლებას უკვე გადამზადებული მასწავლებლებისაგან.

-ასევე აუცილებელია უცხოური გამოცდილების, ცოდნის გაზიარებაც. ჩვენს ქვეყანაში უნდა ჩამოვიდნენ უცხოელი, კვალიფიციური კადრები, რათა მათ გაუზიარონ საკუთარი ცოდნა ქართველ კოლეგებს. ეს რა თქმა უნდა არ ეხება მხოლოდ სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლებსა და ლექტორებს, ასეთი ქმედება უნდა განხორციელდეს ყველა სახის საწარმოსა თუ სხვა დაწესებულებაში, რადგან ქვეყნის განვითარებისთვის არა მხოლოდ განათლების სფეროს, არამედ ბევრი სხვა სფეროს განვითარებაცაა აუცილებელი. ყველას კარგად გვესმის, რომ ეკონომიკური, სოციალური, განათლების დონით, საქართველო ვერა და ვერ უახლოვდება ევროპულ და არა მარტო ევროპულ განვთარებულ ქვეყნებს. ამისთვის კი საჭირო და აუცილებელიცაა მსგავსი პროექტების ხშირი განხორციელება. ასეთი ღონისძიების გატარებისათვის, რა თქმა უნდა, ბიუჯეტს გარკვეული თანხის გაღება მოუწევს, მაგრამ აუცილებელია ეს თანხა გამოყოს სახელმწიფომ, რადგან იგი ქვეყნის მომავალ განვითარებას და წინსვლას მოხმარდება.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის **გაფართოებული ფორმით** განახლება-კვლავწარმოება დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული. ამ მიმართულებით ინვესტიციების როლი უაღრესად დიდია. ისეთი პატარა ეკონომიკის ქვეყნის ასაღორძინებლად, როგორც

საქართველოა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შიდა ინვესტიციები. მაგრამ. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს უარი ვთქვათ უცხოურ ინვესტიციებზე.ამიტომ ხელისუფლებისათვის ეს საქმიანობა უნდა გახდეს ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი შემადგენელი ნაწილი. ამ კუთხით მთავრობაში შესამუშავებელია ადგილობრივი ინვესტიციების წამახალისებელი სტრატეგია. ამასთან სასურველია ინვესტიციები უპირატესად წარიმართოს ინტელექტუალური, ადამიანური კაპიტალის, ცოდნის განსავითარებლად. **ცოდნის ჩამოყალიბების სფეროში მორალური მოძველების საკითხი პირველ რიგში იმიტომ არის გასათვალისწინებელი, რომ სწორედ აქ, საწყის ეტაპზე იწყება მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველება და შემდეგ იგი აშკარა გამოხატულებას პოულობს საწარმოებში ფუნქციონირებად ტექნიკასა და ტექნოლოგიაში. გამომდინარე აქედან, პრობლემის მოგვარება უნდა დავიწყოთ არა წარმოების სფეროში, არამედ იდეის, ცოდნის ფორმირების პროცესში.**

## დასკვნა

ამრიგად, მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის ხარისხის ამაღალება, მისი დონის განსაკუთრებით **გაფართოებული ფორმით** განახლება-კვლავწარმოება რომელიმე ერთი ქვეყნის პრობლემა არ არის. იგი არა მარტო საქართველოს, არამედ ბევრ განვითარებად თუ განვითარებულ ქვეყანასაც აწუხებს. ნებისმიერ ქვეყანას, მაგალითად, თანამედროვე ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისათვის ესაჭიროება თანამედროვე ეკონომიკური ცოდნით, მდიდარი გამოცდილებით, შინაგანი განახლების უნარით, მსოფლიო ენით, ტექნიკითა და ტექნოლოგიით და მისაღები ადამიანური თვისებებით აღჭურვილი ადამიანები, რადგანაც ამგვარი **პირადკონკურენტუნარიანი ადამიანების გარეშე წარმოუდგენელია კონკურენტუნარიანი ფირმები, ხოლო კონკურენტუნარიანი ფირმების გარეშე-საერთაშორისო კონკურენტუნარიანი ქვეყანა** [7.გვ.17-18.]. ამიტომ საჭიროა ამ პრობლემის მოგვარებაზე ერთობლივი მუშაობა. ბუნებრივია, გლობალიზაციის პროცესი ამ საკითხის მოგვარებასაც გამოიწვევს, რადგან იგი,

ამავე დროს უწინარეს ყოვლისა, ახალი გამოცდილების, ცოდნის გაზიარებასაც გულისხმობს, რაც მითუმეტეს განვითარებადი ქვეყნებისათვის სასიცოცხლოდ საჭირო და აუცილებელია.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. იხ.: გ. ჯოლია. კრეატიული ეკონომიკა და განვითარება. თბ., 2015.
2. **ლალი ხურცია. საინვესტიციო საქმიანობის საფინანსო-საკრედიტო რეგულირება საქართველოში. დისერტაცია** ეკონომიკურ **მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 2006 წ.**
3. ლალი ხურცია. ინვესტიცია ინტელექტში — გლობალური გამოწვევა განვითარებადი ქვეყნებისათვის. ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა", №2(18), 2008.
4. Бреслав Л. Лисовик и Б. Ломова - Кадровый потенциал и пути его повышения. Человек и труд. 2003.№4.
5. ჟურნალი "კომენტარი", 2003წ. №1.
6. უ.სამადშვილი, რ.შენგელია. თანამედროვე ეკონომიკა. თბ.; 2013, გვ.11.
7. ჟურნალი "ეკონომიკა", №5-6, 2014წ.


**REFERENCES**


1. G. Jolia. Creative Economy and Development. Tb., 2015.-in Georgian Language.
2. Lali Khurcia. Financial-credit Regulation of Investment Activity in Georgia. Thesis for Gaining PHD in Economic Sciences. Tb. 2006 y.- in Georgian Language.
3. Lali Khurcia. Investment in Intellect-Global Challenge for a Developing Country. Journal "Georgian Economy", N#2(18), 2008y.
4. Breslav L. Lysovik and B.Lomova- The Potential of Human Resources and the ways of its improvement. The Person and Work. 2003.№4.-in Russian Langauge.
5. Journal "Comment", 2003w. #1.

6. U. Samadashvili, R.Shengelia. Modern Economy. Tb. 2013, p.11. in Georgian Language.
7. Journal 'Economics", #5-6, 2014y.

## THE LOW LEVEL OF SCIENTIFIC-TECHNICAL KNOWLEDGE - THE MAIN ECONOMIC GROWTH HINDERING FACTOR IN THE CONDITIONS OF CREATIVE ECONOMY

**JUJUNA TSIKLAURI-SHENGELIA, GTU, Professor,**
**REVAZ SHENGELIA, GTU Professor,**

### Resume

In the conditions of the creative economy, the main tool for the increase of a country's development level is the rapid economic growth aimed at public welfare, and the main factor for this kind of economic growth is the high level of the scientific and technological knowledge, of its update-reproduction. The particular focus is on three forms of the scientific-technological knowledge, on the importance of their consideration into practice for the reduction of public employment losses; Furthermore, there is highlighted in the field of education, the role of people working on formation of knowledge in the economy in order to improve the current situation and moving the country forward. Moreover, there are given the arguments, conditionally dividing the human capital investments into two groups: direct and indirect investments; and it is concluded that the direct investment in human capital increases the volume of this capital, and the indirect costs - lengthen the working life of this capital, improve its capacity, and reduce the morbidity and mortality.

**Keywords:** Creative Economy. Competitive scientific and technical knowledge, its level, reproduction of the scientific and technological knowledge and its updated forms, the competitive person, the direct and indirect investments in human capital.

# სოციალურ-ეკონომიკური თეორიის პრობლემებზე მრავალწლიანი კვლევითი მუშაობის შედეგების შესახებ[1]

**ეთერ თაკალანძე**
ეკონომიკის დოქტორი

**რეზიუმე:** ნაშრომში წარმოჩინებულია ძირითადი შედეგები ავტორის ინდივიდუალური, საზოგადოებრივი მეცნიერული კვლევისა, რომელიც მან ქრისტე - ს ი ტ ყ ვ ი ს (მეორედ მოსული ქრისტიანულ-მართლმადიდრბლური რელიგიური ცნობიერება) იდეოლოგიურ საფუძვლებზე დაყრდნობით, გასული 15 წლის განმავლობაში ჩაატარა; ახსნილია, ის, რომ ქრისტე - ს ი ტ ყ ვ ა არის ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რელიგიური ცნობიერება, რომელიც ქართველი ერისათვის გასულ ორიათასწლეულში რწმუნებულია და ტრადიციულ ეროვნულ ცნობიერბადაა გათავისებული, ამასთან, - რომელიც ღრმააზროვანი მინიშნებების სახით, მოიცავს სრულიად ახალ სამეცნიერო-საინფორმაციო წყაროს; **წარმოჩინებულია** თავად ეს წყარო ანუ გონისა და, ზოგადად, არსის ორიათასწლიანი ეტაპობრივი განვითარების ობიექტური სოციალური კანონზომიერება (პირობითი სახელწოდებით-„ლაზარე“); **ახსნილია**, რომ ეს უკანასკნელი, ეფუძნება რა ასტრო-ფიზიკური სისტემების ერთიანობის, მათი ურთიერთგაწონასწორების უზენაეს (ასტრო-ფიზიკურ) კანონს, სწორედ ორიათასწლიანი ეტაპობრიობით განახლებულ სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნებს განუსაზღვრავს დედამიწაზე ადამიანს, ერს, კაცობრიობას; - რომ კაცობრიობას ქრისტიანული წელთააღრიცხვის ორიათასწლეულების მიჯნაზე ა ხ ა ლ ი ს ი ტ ყ ვ ი ს მეშვეობით, განესაზღვრება არამიწიერი სოციალური ენერგიის დადებით სულიერი ძალის დაუფლების სოციალური მოთხოვნა, - მას გა-

1 ღია წერილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს ბატონ ოთარ კვესიტაძეს) . იბეჭდება ავტორის სტილის დაცვით, მისი დაჟინებული მოთხოვნით.

ნესაზღვრება ყოველ ახალ ორიათასწლეულში მიწიერი სოციალური ენერგიის დადებითი ძალის ზღვრული დონის (სალდო, ფარობითობა) ნიშნული და ექმნება სათანადო ინფორმაციული ბაზა ამ დონის ათვისების საქმიანობის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის, - ამ ახალი ფორმაციის შესაბამისად პოლიტიკურ- ეკონომიკური სისტემის განახლებისა და, მორიგი ორიათასწლიანი პერიოდით გახანგრძლივებისათვის; **წარმოჩინებულია** ისიც, რომ კონკრეტულად მიმდინარე, ახალ ორიათასწლეულში, გასული ორიათასწლეულისაგან განსხვავებით, კაცობრიობას მოეთხოვება ა რ ა მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ნიადაგზე, ხსენებული ზღვრული დონის ნიშნულის (კოეფიციენტი) 0,5 - დან 0,6 -დე ამაღლება; გამოაშკარავებულია, რომ ეს მაჩვეებელი, რომელიც, თავისთავად, პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის დემოკრატიულობის ხარისხის მახასიათებელია, უნდა იყოს ამოსავალი საერთაშორისო ურთიერთობებში სოციალური კანონზომიერების მოთხოვნების მშვიდობიანად აღსრულების თვალსაზრისით; ანუ, - იგი უნდა იყოს ორიენტირი, ამ ეტაპზე საქართველოში, არამატერიალისტური ეროვნულ - დემოკრატიული პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის აღმშენებლობის საქმეში.

**საკვანძო ტერმინები:** ადამიანური გონი, სოციალური ენერგია, ეროვნული სოციალური ენერგია, არამატერიალისტური საზოგადოებრივი ეკონომიკური ფორმაცია.

**ძირითადი ტექსტი:** ბატონო პრეზიდენტო, თქვენის ნებართვით, მეცნიერებათა აკადემიაში სოციალურ და საზოგადოებრივ მეცნიერ-პროფესიონალთა კონსილიუმის განსახილველად წარმოგიდგენთ ჩემი 15 - წლიანი კვლევითი მუშაობის შედეგს. ეს შედეგი შეეხება დამდეგ 2-ათასწლეულების გასაყარზე დედამიწის სოციალურ-ეკონომიკური ბალანსის შენარჩუნებაში ქვეყანა-საქართველოს მისიის სოციალურ მეცნიერულ-თეორიულ გააზრებისა და ამ მისიის შესრულება - არშესრულების

საქმეს. კვლევა გასული 15 წლის განმავლობაში თანმიმდევრულობითაა გამოქვეყნებული საერთაშორისო ჟურნალებში - „ეკონომიკა", „სოციალური ეკონომიკა(#6,2006 წ. #2,2007წ.)", „მიკრო-მაკრო ეკონომიკა"(#4,1997 წ.# 9, 2001 წ.), ხოლო აღნიშნული შედეგი ამ ეტაპზე ძირითადად წარმოჩენილია ჟურნალ „ეკონომიკის" ოთხ სტატიაში: 1) „ადამიანური გონის ევოლუციური განვითარების სოციალურ- ეკონომიკური გზა" [1, (1), 31] ; 2) „ქვეყანაში სისხლის მემკვიდრებითობის პოლიტიკურ- ეკონომიკური ორგანიზაციული საფუძველი მამისეული გვარის მუდმივად შენარჩუნებაა" [1, (2),]; 3) საქართველოს პოლიტიკურ- ეკონომიკური საქმიანობა დედამიწის ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას განსაზღვრავს" [1, (3), 41]; 4) „გონისა და ზოგადად არსის განვითარების ობიექტური კანონზომიერება - სახელმწიფოში ეროვნულ - ეკონომიკური რეფორმის საფუძველი", [1, (4)].

ჩვენი კვლევა ეფუძნება ა ხ ა ლ ს ი ტ ყ ვ ა ს, იმავე ქრისტე - ს ი ტ ყ ვ ა ს ანუ მეორედ მოსულ ქრისტიანულ - მართლმადიდებლურ რელიგიურ ცნობიერებას, როგორც ახალ სამეცნიერო- საინფორმაციო ბაზას [ 2].

კვლევის შედეგად დასაბუთებილია და აღნიშნულ სტატიებში მეტ- ნაკლებად წარმოჩინებულია ის, რომ: ა) ორიათასწლიანი ეტაპობრიობით დედამიწაზე საზოგადოებრივი ეკონომიკური ფორმაციის განახლების გარდაუვალობა გაპირობებულია უზენაესი (ასტრო-ფიზიკური) კანონით განსაზღვრული (ობიექტური) სოციალური კანონზომიერებით [1,(4)]; - ბ) ქრისტიანული წელთააღრიცხვით, ორიათასწლეულების გასაყარი არის ის დრო- ჟ ა მ ი, როცა უზენაესი კანონის შესაბამისად იცვლება რა დედამიწაზე სოციალური ყოფის ბუნებრივი პირობები, უნდა შეიცვალოს, განახლდეს, გამდიდრდეს ამ ახალი პირობების შესაბამისად, ადამიანური გონის, ( ე.ი. თვითონ ადამიანის, ერის, კაცობრიობის აზროვნების), განვითარების მიმართულება; - უნდა წარიმართოს აზროვნება არამიწიერი სოციალური ენერგიის დადებითი ძალის წ ა რ მ ო ე ბ ი ს შემეცნება - ათვისების გზით (მიზნით, ნიადაგზე); - უნდა მოხდეს აზროვნების

კონცენტრირება პრიორიტეტულად, არამატერიალური ფასეულობების (სოციალური ენერგია, გონი, ზნეობრივი მორალი) წარმოება - განვითარების, მიწიერი და არამიწიერი არსთაშორისი მიმართებების შემეცნებაზე; გ) წარმოჩენილია ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რელიგიური ცნობიერება (ქრისტე ხორციელი სახით, გასულ ორიათასწლეულში, ხოლო ამჯერად უკვე ქრისტე- ს ი ტ ყ ვ ი ს სახით, მეორედ მოსული ქრისტიანულ- მართლმადიდებლური ცნობიერება), როგორც სულიერი საყრდენი ანუ იდეოლოგიური ბაზა ადამიანის საზოგადოებრივი განვითარების უწყვეტობის შენარჩუნებისათვის; - ბაზა იმ მიზანმიმართული, საზოგადოებრივ-ორგანიზაციული საქმიანობის აღსრულებისათვის, რაც თავისთავად, ყოველი კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობაში, ორიათასწლიანი ეტაპობრიობით კაცობრიობისათვის განსაზღვრული გონის ( სოციალური ენერგია) დადებითი ძალის ზღვრული დონის დაუფლებას, ხოლო ამ ნიადაგზე, თავად ამ დონის ახალ - მომდევნო ორიათასწლიან ეტაპობრივ საფეხურზე ამაღლებისუნარიანობის შენარჩუნებას გულისხმობს; - გულისხმობს ამგვარი უნარიანობის განვითარების უწყვეტობის სოციალური მოთხოვნის ე რ ი ს თვითგანვითარების პოლიტიკურ-ეკონომიკურ ოგანიზაცია-მართვის საქმიანობაში 2-ათასწლიანი პერიოდულობით დაცვას; - დ) გამოაშკარავებულია, რომ ქრისტე-- ს ი ტ ყ ვ ი ს, როგორც ამგვარი იდეოლოგიური ბაზისა და, როგორც ასტროფიზიკური სოციალური კანონზომიერების გამოვლინების კონკრეტული ფორმის, დედამიწაზე - საქართველოში მოსვლა, მიღება, დამკვიდრება მოიცავს სწორედ ამ კანონზომიერების შესაბამისად, ს ა ს ძ ლ ო კაცის ფუნქციის გაპიროვნებასა და, ამგვარი სოციალური ფუნქციის მატარებელი კაცის საზოგადოებრივ მოღვაწეობას; ეს კი, თავისთავად, ახალი 2-ათასწლეულის განმავლობაში ეროვნებებისა და მთლიანად კაცობრიობის თვითგანვითარების საქმეში სასძლო კაცის ნაშრომებით ხელმძრვანელობის სოციალურ მოთხოვნაზე რელიგიური მინიშნებაა .

უფრო კონკრეტულად: სასძლო კაცმა - ქართველმა მწე-

რალმა და საზოგადო მოღვაწემ, ბატონმა აკაკი ჯორჯაძემ ქვეყნის საზოგადოებრიობაში გასავრცელებლად, 1995 წლის 09 იანვარს, 14 საათზე განაცხადა პრესკონფერენციაზე იმის შესახებ, რომ ქვეყანაში მოსულია ქრისტე- ს ი ტ ყ ვ ა და, - რომ ამ სოციალურ მოვლენასთან დაკავშირებით, სასძლო (მშობე-ლი) კაცის საზოგადუებრივი მოვალეობები აკისრია, ამასთან, რაც მთავარია, - განაცხადა ისიც, რომ საქართველოში ა ხ ა ლ ი ს ი ტ ყ ვ ი ს სახელმძღვანელოდ მიღებას აქვს ადამიანის (ერის, კაცობრიობის) საარსებო დანიშნულება [3]. ამ დროიდან, ე.ი. 21-ე წელია, რაც ეს კაცი ასრულებს ამ მოვალეობას, - სათავე-ში უდგას ქართველი ერის მიერ ქრისტე- ს ი ტ ყ ვ ი ს, როგორც ახალი, სარწმუნო ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ცნობი-ერების, სახელმწიფოებრივად აღიარების საქმეს .

სამწუხაროა ის, რომ ზემოხსენებული ა ღ ი ა რ ე ბ ი ს შე-სახებ მიღებული, სრულიად საქართველოს ეროვნული ყრი-ლობის რიგით მე-4 გადაწყვეტილების აღსრულებას შეეშალა ხელი უკვე მეოთხედ, მიმდინარე წლის 15 მაისისათვის დაან-ონსებული საერთო- ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო აქციის ჩატარების ეროვნულ საქმეს [ 1,(2), 35]; ანუ, ამ დღეს უკვე მეოთხედ, „უხ-მაუროდ“ დაფიქსირდა ქვეყანაში პრაქტიკულად არსებული სოციალურ- ეკონომიკური ვითარება, რომელიც სოციალურ და საზოგადოებრივი მეცნიერული თეორიების მიხედვით და-უშვებელია; - დადასტურდა ის, რომ სახელმწიფო ხელისუფ-ლებისათვის მიუღებელია ქვეყანაში ეროვნულ-დემოკრატიულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ იდეოლოგიაზე სახელმწიფოებრი-ობის აგების სოციალური მოთხოვნის დაცვის მიზანი, რასაც ემსახურება ეს გადაწყვეტილება და, შესაბამისად, - ეს აქცი-აც; ეს ხელისუფლება, განსხვავებით ქვეყნის მოსახლეობის იმ უმრავლესობისაგან, რომლებიც ამ ყრილობებსა და ამგვარ აქციებს აწყობენ, ისევე, როგორც წინა სამი მოწვევის სამთავ-რობო ხელისუფლები თავ-თავის დროზე, დაჟინებით იცავს კა-პიტალისტურ სისტემას; - რომ ამ სისტემის დაცვის მიზნით, ეს, ე.წ. ე რ ო ვ ნ უ ლ ი ხელისუფლება, მორიგეობით 20 წლის განმავლობაში, (ე.ი. სახელმწიფოებრივი საარჩევნო სისტემის

კონკრეტულ პიროვნებებზე თუ კონკრეტულ კაპიტალისტურ საზოგადოებრივ ინტერესებზე მორგების წესით), მსახურებენ არა ერის ნებას, - არა ეროვნული ყრილობის გადწყვეტილებებს, არამედ, სწორედ ამ ნების ი გ ნ ო რ ი რ ე ბ ი ს სისტემურ განზრახულობას, - დიქტატურის შენარჩუნებას [4]. ანუ, ეს ხელისუფლები თითქოსდა იცავენ ამ თავიანთ ანტი - ეროვნულ მიზანს, მაგრამ რეალობაში, სწორედ ამგვარი თანმიმდევრულობის კვალობაზე არის მხილებული თავად ამ სისტემის ანტი -დემოკრატიულობა; უფრო კონკრეტულად, - მხილებულია კაპიტალისტურ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემაში საზოგადოებრივი ეკონომიკურ- მეცნიერული თეორიისაგან ეკონონიკური ურთიერთობების პრაქტიკის გამიჯვნის მცდელობა (მიზანი); მხილებულია, რომ ეს სისტემა ამგვარად (არჩევნების გაყალბება, მეცნიერებისა და პრაქტიკის გამიჯვნა) უარჰყოფს ეკონომიკური მეცნიერების, კონკრეტულად, საზოგადოებრივი პოლიტიკურ- ეკონომიკური თეორიის ს ო ც ი ა ლ უ რ დანიშნულებას; ამას კი ერთმნიშვნელოვნად მივყევართ იქამდე, რომ ეს სისტემა უნდა შეიცვალოს .

სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან ეროვნული პოლიტიკური ნ ე ბ ი ს  ი გ ნ ო რ ი რ ე ბ ი ს 20-წლიანი პრაქტიკის დადასტურება ა/წ 15 მაისს, ხსენებული, საერთო- ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო აქციისათვის დაანონსებული ადგილის დილიდანვე, ხელისუფლების ცალმხრივი გადაწყვეტილების ნიადაგზე შეცვლის ფორმით დაფიქსირდა. ამისათვის კი, ამ მთავრობამ ქვეყნის სახელმწიფოებრივი ადმინისტრაციული დაცვაც „გულუხვად“ მოჭარბებულად და „ალალად“ გამოიყენა, ცხადია, - ამ დამცველთა ეროვნული ნების საპირისპიროდ [1(,2),35-37].

საქართველოში ერის ნების გამოხატულებისადმი ამგვარი დამოკიდებულება - არაეროვნული, ანტიდემოკრატიული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მ ო ძ ა ლ ე ბ ი ს 20-წლიანი პრაქტიკის გამოაშკარავების ზემომოხსენიებული ფაქტი, დიდი ეროვნული გულისწყრომის დაფიქსირება იყო, რასაც 31 მაისს ქართულ პრესაში, ბატონი აკაკი ჯორჯაძის მიერ სასძლო კაცის მოვალეობის დასრულების შესახებ განცხადება მოჰყვა

[5 ]; ამ ანტისაზოგდოებრივი სოციალური პროცესების მიმდინარეობას კი, რაც რეალობაა, უკვე მესამე თვეა, რაც საქართველოში, და არა მხოლოდ საქართველოში, განუწყვეტლივად აგრძელებს სიცოცხლის გამანადგურებელი ნაირგვარი პროცესები. მათ შორის გამორჩეულად მძიმე შედეგებითაა გამოვლენილი, თითქმის უკვე ყველა რაიონში, ასევე სხვა ქვეყნებშიაც, მოძალებული სტიქიური მოვლენები. ეს უკანასკნელი კი, როგორც ეს ჩვენი კვლევის მიხედვით ირკვევა, არის კანონზომიერი, ასტრო-ფიზიკურად, [ე.ი. დედამიწის (ადამიანი) მონაწილეობით], გაპირობებული სოციალური ენერგიის უარყოფითი ძალა, რომელიც თავისი არსით მიანიშნებს რა ადამიანურ (ერი, კაცობრიობა) უძლურებაზე და ბუნების ძალასთან მისი მორჩილების აუცილებლობაზე, კანონზომიერი მინიშნებაა; - მინიშნებაა ადამიანური (ერი, კაცობრიობა) გონის, ე.ი. მიწიერი სოციალური ენერგიის, წარმოება-განვითარების წესის (ეკონომიკა!) უკუგანვითარების მდგომარეობაზე, - ამ წესის სოციალური ენერგიის საწარმოო ურთიერთობების წესით შეცვლის აუცილებლობაზე,

ზემონათქვამში იხატება დედამიწის ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების თვალსაზრისით, საქართველოს ეროვნულ - სახელმწიფოებრივი მისია; ამაზე მიანიშნებს ქრისტე- ს ი ტ ყ ვ ი ს საქართველოში დაბადების (სასძლო კაცის ბაგედან გაცხადება) ფაქტი; ხოლო თავად მისიის ანუ ქართველი ერის საარსებო დანიშნულების ამ ეტაპზე შესრულება, როგორც ირკვევა, ძნელი სულაც არ არის; მისია კი, (როგორც ეს 20 წლის წინ პრესკონფერენციაზე სასძლო კაცმა, ბატონმა აკაკი ჯორჯაძემ განაცხადა), არის თვთონ ამ ფაქტის, როგორც ასტროფიზიკური სოციალური მოვლენისა და, მაშასადამე, - მისი, როგორც საზოგადოებრივი შემეცნების ახალი ობიექტის, ე.ი., ამ ახალი ს ი ტ ყ ვ ი ს, როგორც ს ა რ წ მ უ ნ ო რელიგიური ცნობიერების, როგორც საზოგადოებრივი განვითარების იდეოლოგიური ბაზის, საქართველოში სახელმწიფოებრივად ა ღ ი ა რ ე ბ ა; ხოლო შემდგომ ეტაპზე, რაც ამ აღიარებას უნდა მოჰყვეს, არის ამ ს ი ტ ყ ვ ი ს შესაბამისად შედგენილი „ მომავლის

პროგრამის“ [6] მიხედვით, ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფოს აღმშენებლობა; ეს მისია მოიცავს ასევე, განსაზღვრული თანმიმდევრულობით სხვა ქვეყნებშიაც ახალი ს ი ტ ყ ვ ი ს გავრცელებისა და ათვისების საქმიანობაში ქართული - სახელმწიფოს აქტიურ მონაწილეობას.

საგულლისხმოა, რომ ჩვენი გამოკვლევების მიხედვით, ზემოხსენებული ა ღ ი ა რ ე ბ ი ს დრო - ჟ ა მ ი, (რაც ქვეყანაში სხელმწიფოებრივი საარჩევნო პერიოდს უკავშირდება), საქართველოსათვის იწურება; ამ დრო-ჟ ა მ ი ს დაცვა კი არის ზემოხსენებული სტიქიური მოვლენებისაგან დაზღვევის (ერის მიერ თვითგადარჩენისუნარიანობის გამოვლინებისა და მშობლიური ქვეყნის შენარჩუნების) ერთადერთი შ ა ნ ს ი; შესაბამისად, ამ შანსის გამოყენების ერთადერთი, მშვიდობიანი გზა არის ის, რომ უახლოეს თვეებში (მიმდინარე საარჩევნო პერიოდში) მოესწროს ამ (აღიარება) საკითხზე, ქვეყნის მეცნიერ - პროფესიონალთა კონსილიუმის დადებითი დასკვნის მიღება და სახელმწიფოებრივად დაფიქსირება; რამეთუ მიგვაჩნია, რომ ამგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა ჩვენი კვლევა, რომელსაც გთავაზობთ კონსილიუმისათვის.

- მიგვაჩნია, იმიტომ, რომ, დამეთანხმებით, ისტორიული მეცნიერება (პოლიტიკა) ვითარდება საზოგადოერივი ეკონომიკური მეცნირებისა და პრაქტიკის განვითარების ბაზაზე. საზოგადოებრივი განვითარების ამგვარი სოციალური მოთხოვნა (პირობა, განსაზღვრულობა) ნიშნავს ისტორიის მეცნიერებასთან შედარებით ეკონომიკური მეცნიერების წინმსწრებ განვითარებას. როგორც ეს ჩვენმა კვლევამ გვიჩვენა, ამას განაპირობებს დედამიწაზე სოციალური პირობების ცვალებადობის 2-ათასწლიანი პერიოდულობა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ასტრო- ფიზიკურ სივრცეში დედამიწის ბრუნვის 24-ათასწლიანი ციკლის (ხანგრძლივობა) !2 ერაზე (ზოდიაქოს ნიშნის 12 თანავარსსკლავედის რიგის მიხედვით) გადანაწილებული დრო-ჟ ა მ ი ა [1,3), 47,სქემა].

ანუ, 1995 წლის 9 იანვარს, 14 საათზე დედამიწაზე - საქართველოში ქრისტე- ს ი ტ ყ ვ ი ს მოსვლით დაფიქსირდა ახ-

ალი ე რ ა ს - მერწყულის გარემოცვაში ჩვენი პლანეტის ყოფნის დრო-ჟ ა მ ი ს დაწყება; დაფიქსირდა დედანიწაზე ახალი 2-ათასწლეულის ათვლის ზუსტი თარიღი. ე. ი. დაფიქსირდა კაცობრიობის ისტორიაში და, ამასთან, ამ ეტაპზე, ქართველი ერის ისტორიაში მორიგი 2-ათასწლეულის დაწყების თარიღი, საათის, წუთისა და წამის სიზუსტით. ამ ახალ დროში განსაზღვრავს რა უკვე მერწყულის გარემოცვა დედამიწაზე სოციალურ მოთხოვნებს, ქმნის კაცობრიობის საზოგადოებრივი განვითარების ანუ ადამიანის გონის, მისი აზროვნების კეთილგონივრული განვითარების თვალსაზრისით, ახლებურ, უხილავ გარემომცველ პრობებს; ამის პარალელურად, ს ა ს ძ ლ ო კაცის ინსტიტუტის მეშვეობით, იგი ქმნის შესაძლებლობებს ამ ახალი სოციალური მოთხოვნებისა და პირობების ადამიანის მიერ შემეცნება- გაცნობიერებისათვის; - მერწყულის გარემოცვა განაპირობებს კაცობრიობის ისტორიაში განვითარების ახალი საფეხურის შემოქმედების მიზანზე ადამიანის (ერი, კაცობრიობა) აზროვნების ორიენტირების გარდაუვალობას; - ქმნის პირობებს ამ ეტაპზე, საქართველოში (და შემდგომ უკვე, სხვა ქვეყნებშიაც თანმიმევრულობით), ამ ახალი სოციალური მოთხოვნებიდან გამომდინარე, 2-ათასწლიანი საზოგადოებრივ- ეკონომიკური ფ ო რ მ ა ც ი ი ს [ანუ, განახლებული სოციალურ-ეკონომიკური საზოგადოებრივი ურთიერთობების წესის (წყობილება)] განსაზღვრა - შემოქმედებისათვის; ხოლო ამ უკანასკნელის შესაბამისად, უკვე საზოგადოებრივ- მეცნიერული პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის განახლებისათვის.

ქრისტე - ს ი ტ ყ ვ ა შ ი მინიშნებული ახალი სამეცნიერო ინფორმაციებიდან მეტადრე მნიშვნელოვანია მინიშნება იმაზე, რომ ეროვნული სულიერი ენერგის (მიწიერი წარმომავლობის სოციალური ენერგია) წარმოება-განვითარების პირობები ქვეყანაში, ადგილობრივი წყლის, მიწისა და ჰაერის ფიზიკურ - ქიმიური თავისებურებებითაა განსაზღვრული და, ამ თავისებურებათა ერთიანობასა და მთლიანობას, რაც ამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ბალანსირებული განვითარების საფუძველია, თვითონ ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფი-

ული საზღვრები იცავს; ეს არამიწიერი სოციალური პირობა, არის რა ბუნებასთან ადამიანის (ერი, კაცობრიობა) მიმართების თვალსაზრისით, ასტრო-ფიზიკური სოციალური კანონზომიერების კონკრეტული მოთხოვნა, საფუძველს ქმნის ამ ქვეყანაში (ე.ი. ყოველ ქვეყანაში) ეროვნული მამულის, ენისა, და სარწმუნოების ერთიანობის თანმიმდევრულად და მუდმივად შენარჩუნებისათვის; ეს კი, თავისთავად, ქვეყანაში ეროვნული სისხლის მემკვიდრეობითობის, ე.ი. სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის დაცვა-შენარჩუნების პრინციპზე აგებული ეროვნულ-დემოკრატიული პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის ორგანიზაცია - მართვის საქმიანობაა; ანუ, ახალ ს ი ტ ყ ვ ა შ ი ამ კონკრეტულ სოციალურ მოთხოვნაზე მინიშნება, თავისთავად, არის რა მინიშნება ყოველ ქვეყანაში ეროვნულ-დემოკრატიული პოლიტიკურ- ეკონომიკური სისტემის ორგანიზაცია- მართვის აუცილებლობაზე, არის ამ საქმიანობის ნიადაგზე, ეროვნული სოციალური ენერგიის წარმოება-განვითარების, როგორც 2-ათასწლიანი ეროვნული საარსებო დანიშნულების მხილება [ 7, 23- 37].

ზემოთ ნათქვამში წარმოჩენილია ქრისტე-ს ი ტ ყ ვ ი ს არაპირდაპირი (რელიგიური), კიდევ ერთი მინიშნება იმაზე, რომ ქრისტე- ხორციელის ცნობიერება და, კონკრეტულად, ქართული ტრადიციული, ეროვნული ცნობიერება თვითონ ამ ახალ ს ი ტ ყ ვ ა ს თ ა ნ შესაბამისია და, - მაშასადამე ქართული ტრადიციული ეროვნული ცნობიერება ზემოხსენებულ, ობიექტურ სოციალურ კანონზომიერებასთან, (რომელსაც ჩვენს კვლევაში კანონზომიერება - „ლაზარე" დავარქვით), შესაბამისობაშია; აქვეა წარმოჩენილი ის, რომ ამ კანონზომიერებასთან შესაბამისია ჩვენი ერის მამის, ილია ჭავჭავაძის სოციალური მოკვლევა ეროვნული იდეოლოგიის თაობაზე, რომელშიც ავტორის მიერ, ადამიანისათვის შემეცნება-დაცვის პირველი რიგის ობიექტად მამულეთის დასახელებით, ერის თვითგანვითარების საქმიანობაში დედაკაცთან შედარებით, მამაკაცის მეტი პასუხისმგებლობაა დაფიქსირებული; ცხადია, ეს მოკვლევა და, ასევე მე-19 -ე საუკუნის დასაწყისში, ქართველი სოციოლოგის, გერონტი

ქიქოის წიგნი „ეროვნული ენერგია“, [8], ახმოვანებენ ქვეყანაში ადამიანური (კეთილი) გ ო ნ ი ს წარმოება-განვითარების საქ-მიანობის საზოგადოებრივ- ეკონომიკურ პოლიტიკაში ასახვის იმდროინდელ მოთხოვნილებას; ანუ, აშკარავდება ქართული სოციალური და საზოგადოებრივ- პოლიტიკური მეცნიერული მემკვიდრეობითობის ამ კანონზომიერებასთან შესაბამისობა.

გონის კეთილგონივრული განვითარების ილიასეული იდე-ოლოგიის სოციალურ -მეცნიერული საფუძვლიანობის თა-ობაზე არაერთ სხვა მინიშნებასაც ქმნის ა ხ ლ ი ს ი ტ ყ ვ ა თანამედროვე ადამიანისათვის. მასში მეცნიერული ლოგიკის საფუძველზე იკითხება, მაგალითად, ის, რომ დედამიწაზე ად-ამიანის (ერი, კაცობრიობა) თვითგანვითარება, რაც ადგილობ-რივი წყლის, მიწისა და ჰაერის ფიზიკურ-ქიმიური შემადგენ-ლობებიდან გამომდინარე, უხილავი ფიზიკური თუ ქიმიური პოცესების კვალობაზე, დედამიწის გარემომცველ სივრცეში არამატერიალურ არსთა ქმნადობა-განვითარებას გულის-ხმობს, რეალობაში არსებობა-დამკვიდრების თვალსაზრისით, ამ არსთა ურთიერთზემოქმედებისა და ერთიმეორის ჩანაც-ვლების უსასრულო პროცესს მოიცავს; ამ პროცესების ჯაჭვი, ეროვნული ენის, კონკრეტულად, დედა ენა - ლ ა ზ ა რ ე ს კა-ნონებზე (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი) დაყრდნობით, ქვეყნის მიმდებარე ატმოსფეროში, ხოლო აქედან, მთლიან ატ-მოსფეროზე და ასტრო - ფიზიკურ სივრცეზე ადის მყისიერ-ად (სინათლის სიჩქარე); ეს ურთიერთჩანაცვლება, რომლითაც დროის დინების პროცესი აისახება, თავისი არსით, ასტრო-ფი-ზიკურ სხეულებს შორის მიმართებების მიმდინარეობის თვით-რეგულაციის პროცესია [ 1, (1), 40- 41] . ახალ ს ი ტ ყ ვ ა შ ი იკითხება ისიც, რომ ადამიანური ანუ კეთილი გონი, არის რა ადამიანის თვითშემოქმედების შედეგი, არის ადამიანისეული (ერი, კაცობრიობა), ე. ი. მიწიერი, სოციალური ენერგია; - რომ ამ უკანასკნელს, ისევე, როგორც ზოგადად, ენერგიას, აქვს დადებითი და უარყოფითი ძალა. ეს ძალლები, ანეიტრალებენ რა ერთიმეორეს, მოცემულ სივრცეში (ოჯახი, ქვეყანა, დედა-მიწა), სოციალური ენერგიის,( ე.ი. ადამიანური გონის, - დედა-

მიწაზე სიცოცხლის) - შენარჩუნების წყაროდ გვევლინებიან მ ხ ო ლ ო დ მაშინ თუ კი, ამ მოცემულ სივრცეში სოციალური ენერგიის დადებითი ძალის სალდო (სხვაობა) იქნება შენარჩუნებულ/ გაზრდილი. სწორედ ამ პრინციპით - ფიზიკურ ენერგიაში დადებითი ძალის პრიორიტეტული წარმოება-განვითარების პრინციპით განისაზღვრება ჩვენს პლანეტაზე მორიგ 2-ათასწლეულში სოციალური პირობების ანუ სიცოცხლის არსებობის გახანგრძლივების საკითხი. ამასთან, როგორც ამას ჩვენი კვლევა გვიჩვენებს, ამ პრიორიტეტის (დადებითი ძალის უარყოფითთან შეფარდება) ამსახველი ზღვრული დონის ნიშნული 2-ათასწლიანი ეტაპობრიობით, საფეხურებრივ ზრდას მოითხოვს, გულისხმობს, ექვემდებარება; [1, (4), 42, სქემა, 2004] . აქედან გამომდინარე, დროის ამ ეტაპზე ამგვარი გახანგრძლივების ასტრო-ფიზიკური განსაზღვრულობა, (რაც, როგორც ფაქტი, დედამიწაზე - საქართველოში ქრისტე- ს ი ტ ყ ვ ი ს მოსვლის საზოგადოებრივად გაცხადებაში გამოიხატა 1995 წელს), არის მინიშნება ამ ახალი დროის კაცობრიობასთან - ეროვნებებთან მიმართებაში, სოციალური ენერგიის ძალთა თანაფარდობის დადებითი ნიშნულის 0,5 - დან 0,6 - მდე ამაღების მოითხოვნაზე [იქვე ]. ამ ჯერზე კი კაცობრიობისათვის განსაზღვრული ეს ეროვნულ - საკაცობრიო სოციალური მოთხოვნა გამოიხატება ქართველი ერის თითგანვითარების უნარიანობის გამოცდაში; უფრო კონკრეტულად, იგი დღეს გამოხატულია ქართულ სამეცნიერო საზოგადოებრიობისათვის ამ ახალი ს ი ტ ყ ვ ი ს შემეცნება - გაცნობიერების გარდაუვალობაზე მიმანიშნებელი პირობების სახით; ეს პირობებიც გამოხატულია არა მხოლოდ რელიგიურ თუ მეცნიერულ- ლოგიკურ მინიშნებებში, რომლებზედაც ჩვენ აქ ვსაუბრობთ, არამედ, რაც მთავარია, დამეთანხმებით, გამოიხატა იგი ადამიანის ცხოვრებისეულ პრაქტიკაში, კონკეეტულად, საზოგადოებრივ ურთიერთობებში სიცრუის, ე.ი. არამეცნიერული იდეოლოგიის დაკანონებაში; ეს კი, თავის მხრივ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფუნქციის არასახელმწიფოებრივად გადაქცევაში, კაპიტალისტური პოლიტიკურ- ეკონომიკური

კრიზისული სისტემის ჩამოყალიბებაში და, აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის იგნორირება - რღვევაშია გამოხატული; ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ქვეყანაში, კონტინენტზე, დედამიწაზე ეკოლოგიური წონასწორობის რღვევის დასაწყისია. ასეთ პირობებში ქართველი ერის თვითგანვითარების უნარიანობის გამოცდა, როგორც მას საქართველოს დღევანდელი, დე-ფაქტო ხელისუფლება„პასუხობს“, გამოხატულია ქართული სახელმწიფოს (ეროვნულ-საზოგადოებრივი წარმონაქმნი), რღვევაში (დაშლის საქმიანობაში). ქართველ ერს კი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის, სწორედ ამ საქმიანობის შეჩერება და ახალ ს ი ტ ყ ვ ა ზ ე, როგორც ახალ სამეცნიერო-საინფორმაციო წყაროზე, დაფუძნებული ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგიის ბაზაზე, ახალი სახელმწიფოს აღმშენებლობა ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიულ საზღვრებში მოეთხოვება.

ალნიშნული საზღვრების მოშლისა და, შესაბამისად, ეროვნული ენისა და სარწმუნოების უარყოფის (ერთაშორისი ინტეგრაცია) მიზანი, პირდაპირ თუ ვიტყვით, კაპიტალისტურ-საზოგადოებრივი განზრახულობაა. ეს უკანასკნელი გამორიცხავს შ რ ო მ ი ს მაორგანიზებელ სოციალურ- ეკონომიკურ ფუნქციას. შრომა მშობლიურ ქვეყანაში, არის რა ადამიანის სულში შრომისმოყვარეობისა და მამულიშვილური შეგრძნებების გამაერთიანებელი ადამიანური ქმედება, არის მის სისხლში (ეროვნული გენი) ამგვარი ერთიანობის განივთების, - ეროვნული ენერგიის დადებითი ძალის წარმოება- განვითარების პროცესი. ამიტომ, შრომა (შრომისუნარიანობის საზოგადოებრივი შემოქმედება) სოციალური კანონზომიერებით განსაზღვრული, პირველი რიგის პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზაცია - მართვის საგანია. ანუ, ქვეყნის, როგორც პოლიტ-ეკონომიკური სისტემური ობიექტის ფორმირება - ფუნქციონირება დედამიწაზე ქვეყნის ადგილმდებარეობითა და მისი ფიზიკურ- გეოგრაფიული საზღვრებით განისაზღვრება. ხოლო ამ საზღვრებში მოსახლე საზოგადოებრიობის (ოჯახი, გვარი, ტომი) თვითგანვითარება კი უნდა დაეფუძნოს შ რ ო მ ი ს სო-

ციალურ-მეცნიერულ, ე.ი. ისეთ ეროვნულ-საზოგადოებრივ, ორგანიზაციას, რომელიც ორიენტირებული იქნება ეროვნულ სოციალურ ენერგიაში დადებითი ძალის სალდოს მუდმივად შენარჩუნება - ზრდის ტენდენციის დაცვაზე და, ამ უკანასკნელიდან გამომდინარე, ქვეყნის მთელს მოსახლეობაში ამგვარი სალდოს ნიშნულის 2-ათასწლიანი ეტაპობრივ-საფეხურებრივი ზღვრული დონის ათვისებაზე.

ქვეყანაში ადამიანის საზოგადოებრივი თითშეგნების წარმოება-განვითარების ორიენტირად მისი სულიერი ენერგიის დადებითი სალდოს წარმოჩინება, რაც ზემონათქვამში იკითხება, არის უკვე ახალი მინიშნება იმაზე, რომ ამგვარი სალდო ეროვნული ე რ თ ს უ ლ ო ვ ნ ე ბ ი ს შემოქმედების წყაროა, რომელიც ქმნის ამ ქვეყაში სულიერ ბაზას ადამიანის ფსიქიკაში (ეროვნული სული) საზოგადოებრივი თვითშეგნების ევოლუციური განვითარების საზოგადოებრივი პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების სისტემის შმოქმედებისა და ამ სისტემის 2-ათასწლიანი ეტაპობრიობით განახლება - განვითარებისათვის; ეს არის აშკარა მინიშნება იმზე, რომ ეროვნული გენი (სისხლი) ეროვნული წარმოება-განვითარების საქმიანობაში ძირითადია. ეს უკანასკელიც ნიშნავს იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში არამატერიალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისა და მისი შესაბამისი პოლიტიკურ-ეკონიმიკური სისტემის აღმშენებლობა დღეს მოითხოვება; ეს კი, თავისთავად, გულისხმობს იმას, რომ ყოველ ეროვნულ სისხლში, ე.ი. ამა თუ იმქვეყნის ეროვნულ სოციალურ ენერგიაში, დადებითი ძალის ზღვრულ საკაცობრიო დონემდე 2-ათასწლეულის ვადაში ამაღლება (მიზანი, ორიენტირი) თვით ამ ზღვრულ მაჩვენებელს ქმნის ორგანიზაციულ ბაზად; - ქმნის საერთაშორისო ურთიერთობების მშვიდობიანობისა და ქვეყნების მიხედვით, დედამიწის სოციალურ- ეკონომიკური ბალანსირების გარანტად .

არსებითია ის სოციალურ - ეკონომიკური ვითარება, რომ ეროვნული ტრადიციების შესაბამისად, საზოგადოებრივი ორგანიზაცია-მართვის სუბიექტები: ოჯახი, გვარი, ტომი, რომ-

ლებიც ეროვნულ საზოგადოებრიობაში კეთილგონიერების დაცვის პირველადი ორგანიზაციებია, კაპიტალისტური პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის მხრიდან არა მხოლოდ იგნორირებული, არამედ შეტევისა და დაშლის ობიექტებია; ანუ, მინიშნებულია იმაზე, რომ არამატერიალისტურ საზოგადოებრივ- ეკონომოკური ფორმაციის პირობებში ეს სუბიექტები ქვეყანაში შესაბამოს მიკრო-სამყაროთა შემოქმედების კვალობაზე, ეროვნული ერთსულოვნების შემოქმედების ძირითად ორგანიზაციებად - ქვეყნისშიდა პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების წარმოება - განვითარების ობიექტებად უნდა ჩამოყალიბდნენ. ესა და სხვა, ზემოთწარმოჩინებული მინიშნებები, რომლებიც ეროვნული ცნობიერების განმტკიცება - გამდიდრების სოციალურ გზებს წარმოაჩენენ, მიუღებელი შეიქმნა ქართული პოლიტიკური ელიტისათვის; მათი მხრიდან ა/წ 15 მაისს ჩადენილი განდგომა ეროვნული ცნობიერებისაგან - ეროვნული ყრილობის გადაწყვეტილებისა და ქართული მეცნიერული მემკვიდრეობითობის იგნორირების ფაქტის მე-4-დ დაფიქსირებამ ამხილა ქვეყნის ხელისუფალთა ფარული ანტიეროვნული ზრახვა ან / და, - მათი არაკომპეტენტურობა ქვეყანაში ადმიანის საზოგადოებრივი განვითარების საქმეში პოლიტიკური და ეკონომიკური მეცნიერული სისტემების ერთიანობის სახელმწიფოებრივად დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ქრისტე - ს ი ტ ყ ვ ი ს, როგორც სოციალური მოვლენისა და, როგორც ქართველი ერის სარწმუნო რელიგიური ცნობიერების სახელმწიფოებრივად აღიარება, ბუნებრივია, უპირველესად გულისხმობს საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებრიობაში მასზე ერთიანი აზრის ჩამოყალიბებას . ამ საქმეში თქვენი მხრიდან ინტერესის გამოვლინებისა და სათანადო ძალისხმევის იმედი გვაქვს. დამეთანხმებით, ყველა, ვინც ამ ეროვნულ-საკაცობრიო საქმეს (ჩამოყალიბება) სათანადო კომპეტენციით, ფორმითა და დასაბუთებუთებულად გამოვეხმაურებით, ცხადია, ვიცავთ არა მხოლოდ საკუთარსა თუ მშობლიურ ეროვნულ სარწმუნოებასა და ერთსულოვნებას თვითგანითარე-

ბისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური თვითმყოფადობის მუდმივად შენარჩუნების საქმეში; არამედ, რაც არსებითია, ერთდროულად ვიცავთ, ზოგადად, ადამიანურ ღირსებას, - მის კეთილგონიერებას, ე.ი. დედამიწაზე მისი არსებობის სოციალურ კანონზომიერებას.

## გამოყენებული ლიტერატურის სია


1. თაკალანძე ე., (1). „ადამიანური გონის ევოლუციური განვითარების სოციალურ-ეკონომიკური გზა", ჟ. „ეკონომიკა", N 3 – 4, 20015; (2). „ქვეყანაში სისხლის მემკვიდრეობითობის პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზაციის საფუძველი მამისეული გვარის მუდმივსდ შენარჩუნებაა", ჟ. „ეკონომიკა", N 5 -6, 2015; (3). „საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური საქმიანობა დედამიწის ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას განსაზღვრავს", ჟ. „ეკონომიკა" N 9 10, 2011; (4). „გონისა და, ზოგადად, არსის განვითარების ობიექტური სოციალური კანონზომიერება - სახელმწიფოში ეროვნულ-ეკონომიკური რეფორმის საფუძველი", ჟ. „ეკონომიკა", N 7- 8, 2004.

2. გაზ. „მეტი სინათლე", (1995 – 2002 წწ); გაზ. „მძლეველი",( 1999 – 2005 წწ.); გაზ. „საქართველოს ხსნის ეროვნული ფრონტი", (2006 -2007 წწ); გაზ. „ძველი-ახალი სიტყვა", (2008 წლიდან);

3. გაზ. „ასავალ-დასავალი", N 01, 1995წ.

4. გაზ. „მძლეველი", N 39, 2002; გაზ. „საქართველოს ხსნის ეროვნული ფრონტი", 03 ნოემბერი, 2006; გაზ. „ძველი-ახალი სიტყვა", N 15(173),2014; N 21 (173), 2015;

5. გაზ. „ძველი-ახალი სიტყვა", N21 (173), 2015;

6. ჯორჯაძე აკაკი, „მომავლის პროგრამა", თბილისი, 2015;

7. თაკალანძე ე., „დედამიწაზე სოციალური სამართლიანობის გარდაუვალობა განაპირობებს ქვეყანაში პოლიტიკურ-ეკონომკური სისტემის გარდაქმნას „ლაზარეს" შესაბამისად", ჟ. „ეკონომიკა", N 7-8, 2012;

8. ქიქოძე გერონტი, „ეროვნული ენერგია", თბილისი, 1919.

## REFERENCES

1. Takalandze E., “Socio-economic way of human intelligence evolution”, J. “Economics”, N 3 – 4, 20015; (2) “The country’s political and economic organization continuity is based on maintaining father’s family name constantly”, J. Economics, N 5 -6, 20015; (3) “Georgia’s political and economic activities determine of the Earth’s ecological balance”, J. “Economics, N 9 10, 2011. (4) “The development of mind and, in general, the essence of the objective social regularities – is the foundation of the national-economic reform in country”, J. “Economics” N 7- 8, 2004.

2. The newspaper “More light”, (1995 – 2002), the newspaper “Mdzleveli”, 1999 – 2005; The newspaper ““The Salvation National Front of Georgia” (2006 -2007); the newspaper “Old-new word” (2008-present);

3. The newspaper “Asaval-Dasavali”, N 01, 1995;

4. The newspaper “Mdzleveli”, N 39, 2002; The newspaper ““The Salvation National Front of Georgia”, 3rd Novermber 2006; the newspaper “Old-new word” N 15(173),2014; N 21 (173), 2015;

5. Jorjadze Akaki, “Future Program”, Tbilisi, 2015;

6. Takalandze E., “ The inevitability of social justice above the earth causes to transform the political-economic system of the country in accordance with “ Lazarus “; J. “Economics”, N 7-8, 2012;

7. KiKodze Geronti, „National Energy”, Tbilisi, 1919.

# ABOUT THE SCIENTIFIC RESEARCH FINDINGS OF MANY YEARS WORK ON SOCIO-ECONOMIC THEORY PROBLEMS

**ETER TAKALANDZE,**
**Phd in Economics**

## Resume

In this research there is highlighted the main results of the author's individual and socio-scientific findings, which she conducted over the past 15 years on Jesus Christ's-"WORD" (second time Christian-Orthodox religious consciousness) ideological grounds. This article explains that Christ - the word is a Christian-Orthodox religious consciousness, which Georgian nation admitted last 2 Millennium and is understood as a traditional national consciousness. At the same time, in the form of meaningful indications, includes a completely new scientific information sources; and there is represented the source of the mind and, in general, the idea of the 2 Millennium gradual development of an objective social regularities(Optional, entitled "Lazarus".). Explained that the "Lazarus", based on the Astro-physical systems together, on their mutual sovereignty (Astro-physical) laws, will define the during 2 Millennium developing new socio-economic requirements on the earth to person, nation, humanity; the mankind will be given the social demand to master of spiritual power of the positive extraterrestrial social energy on the eve of new era. It's represented that in new 2 Millennium in contrast of last 2 Millennium mankind will be required to raise the maximum level mark (ratio) 0.5 - 0.6 ranges on the basis of non-public-economic formation. This indicator should be the reference point, at this stage in Georgia, during the process of an intangible national-democratic political-economic reconstruction of the system.

**Key words:** Human intelligence; social energy, the socio-national energy, an intangible public economic formation.

# კორპორაციები და მათი ადგილი თანამედროვე ეკონომიკაში

**იულია თედეევი**
სტუ-ს დოქტორანტი

## რეზიუმე

ნაშრომში განხილულია კორპორაციის, როგორც მსხვილი ბიზნესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ადგილი და როლი თანამედროვე ეკონომიკაში. ხშირად "კორპორაცია" იხმარება როგორც "სააქციო საზოგადოების" სინონიმი, რაც ძალიან ავიწროებს მის არსს. მოცემულია ტერმინების "კორპორაცია" და "კორპორაციული მართვა" განმარტებები. დახასიათებულია დასავლეთის ქვეყნებში გავრცელებული კორპორაციის ფორმები და ის ნიშნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს საწარმო, რომ ის კორპორაციის კატეგორიას მივაკუთვნოთ.

როგორც ვიცით, ტრანსნაციონალური კორპორაციები ეკონომიკური პროფილის დიდი საერთაშორისო კომპანიებია. მათ უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრიათ მსოფლიო ეკონომიკის ფორმირებასა და გლობალიზაციის პროცესში. უდიდესია მათი წილი მსოფლიოს მთლიან შიდა პროდუქტში და თავისებურია განაწილება დარგების მიხედვით. სწორედ ამიტომ შევეხებით საწარმოთა კორპორატიზაციას, მსხვილი კორპორაციების ტრანსნაციონალიზაციას და საქართველოს ჩართულობის ხარისხს ამ პროცესებში.

__საკვანძო სიტყვები:__ კორპორაცია; ტრანსნაციონალური კორპორაცია; სააქციო საზოგადოება; აქცია; კორპორაციული მართვა; დივერსიფიკაცია;

## შესავალი

ქვეყნის ეკონომიკის ტრანსფორმაციასთან და საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად ნელ-ნელა წარმოიშვა კორპორაციული სტრუქტურები. ისინი ერთმანეთისგან გან-

სხვავდებიან ზომით, საქმიანი აქტივობით, ეფექტიანობით, ინვესტიციური მიმზიდველობით და სხვა პარამეტრებით. კორპორაციული სექტორი თანდათან ვითარდება და, ისევე როგორც დასავლეთის ქვეყნებში, საქართველოშიც ეროვნული ეკონომიკის საყრდენად იქცევა.

## ძირითადი ნაწილი

კორპორაცია წარმოადგენს საერთო მიზნის მისაღწევად გაერთიანებულ პირთა ერთობლიობას, რათა განახორციელონ ერთობლივი საქმიანობა და ქმნიან სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტს — იურიდიულ პირს. ფართო გაგებით კორპორაციად შეიძლება მივიჩნიოთ ეკონომიკური მიზნით საქმიანობისათვის შექმნილი ყველა სახის გაერთიანება. დამფუძნებლები და/ან მეწარმეები ხშირად ქმნიან საწარმოებს სააქციო საზოგადოებების ფორმით და რამდენადაც თანამედროვე პირობებში საწარმოთა ეს ფორმა სჭარბობს, ამდენად ტერმინი „კორპორაცია“ იხმარება როგორც „სააქციო საზოგადოების“ სინონიმი. თუმცა ის შეიძლება გამოვიყენოთ ასევე საფინანსო—სამრეწველო ჯგუფებისთვისაც, რომლებიც არ წარმოადგენენ სააქციო საზოგადოებებს.

“მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად. აქცია არის არამატერიალიზებული სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში. სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. სააქციო საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებისათვის. სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით (მუხლი 51) [1, გვ.25].

ეკონომიკურ თეორიაში არ არსებობს “კორპორაციის” და

“კორპორაციული მართვის” ერთი, უნივერსალური განმარტება, რომელიც აბსოლუტურად მისაღები იქნებოდა ყველა ავტორისა და მეცნიერისთვის. თუმცა, ყველაზე ხშირად კორპორაციული მართვის ქვეშ მოიაზრებენ კომპანიის მართვის და კონტროლის სისტემას, რომელიც ხელს უწყობს გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას, არეგულირებს ურთიერთობას აქციონერებს, სამეთვალყურეო საბჭოს, მენეჯმენტს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის. აღნიშნულის ჩვენთვის ერთ—ერთი საინტერესო განმარტება მოგვცა ი.ვ. პროჩანკინამ: კორპორაცია — ესაა განსაზღვრული მიზნებისათვის შექმნილი სოციალურ—ეკონომიკური სისტემა, რომელიც წარმოადგენს კორპორაციული ურთიერთობების მონაწილეთა კავშირებისა და ინტერესების ერთობლიობას, რომლის მართვის სისტემას აქვს კორპორაციული ურთიერთობების მონაწილეთა ინტერესების გათვალისწინებისა და შეთანხმების ორგანიზაციული შესაძლებლობები. კორპორაციული მართვა — მართვა, მიმართული კორპორაციული ურთიერთობების მონაწილეთა ინტერესების იდენტიფიკაციასა და შეთანხმებაზე, საშუალებას იძლევა კორპორაციული ურთიერთობების ძირითად მონაწილეთა შორის წარმოშობილი ინტერესთა კონფლიქტის ოპტიმიზაცია მოვახდინოთ კორპორაციის ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფის მიზნით [2, გვ.8].

დასავლეთის ქვეყნებში კორპორაცია სამეწარმეო საქმიანობის ფართოდ გავრცელებული ფორმაა. ის შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო. საქართველოს საბაზრო ეკონომიკისთვისაც კორპორაციები განსაკუთრებულ ეკონომიკურ აგენტებს წარმოედგენენ.

საწარმოთა და ორგანიზაციათა ერთიან სახელმწიფო რეგისტრზე დაყრდნობით საქართველოში რეგისტრირებულ სუბიექტთა რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით 2006-2013 წლებში შემდეგია (იხ. ცხრილი 1): [3, გვ.270]

რამდენადაც კორპორაცია მსხვილი სამეწარმეო ერთეულია, ის იქმნება ცალკეულ საწარმოთა და ფირმათა გაერთიანების საფუძველზე. თავისუფალი კონკურენციის პირობებში ყოველთვის ხდება ფასებისა და, შესაბამისად, მოგების მინიმიზაცია. აქე-

ცხრილი 1

| | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სუბიექტები სულ** | **301221** | **356574** | **397012** | **436749** | **483856** | **537069** | **580732** | **627656** |
| **კერძო სამართლის სუბიექტები** | **295479** | **350522** | **390904** | **430604** | **477665** | **530834** | **574458** | **621369** |
| **კომერციული იურიდიული პირები** | **62330** | **70447** | **79347** | **87260** | **98763** | **112915** | **128016** | **145688** |
| სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) | 2623 | 2683 | 2719 | 2740 | 2753 | 2758 | 2763 | 2769 |
| კომანდიტური საზოგადოება (კს) | 154 | 169 | 177 | 182 | 186 | 187 | 187 | 188 |
| შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) | 54902 | 62833 | 71617 | 79457 | 90900 | 104968 | 120007 | 137585 |
| სააქციო საზოგადოება (სს) | 2182 | 2226 | 2263 | 2301 | 2329 | 2384 | 2422 | 2474 |
| კოოპერატივი | 2469 | 2536 | 2571 | 2580 | 2595 | 2618 | 2637 | 2672 |

დან გამომდინარე, კაპიტალის მესაკუთრის მისწრაფება მაქსიმალური მოგებისაკენ იწვევს კორპორაციულ გამსხვილებას.

კორპორაცია მსხვილი ბიზნესის მთავარი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა. დაახლოებით 60 მილიონი ფირმიდან, რომლებიც მსოფლიოშია დარეგისტრირებული, მხოლოდ 10%-ია კორპორაცია, მაგრამ ისინი აწარმოებენ მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის ნახევარზე მეტს. კორპორაციებს ფორმალურად მიაკუთვნებენ 40 000 ღია სააქციო საზოგადოებას, რომელთა აქციები შეიძლება გავრცელდეს ღიად და 260 000 დახურულ სააქციო საზოგადებას. მათი აქციები ბრუნავს თვით სს-ში და პირთა წინასწარ განსაზღვრულ წრეში [4].

კორპორაციამ თავისი საქმიანობა შეიძლება განახორციელოს ერთ სფეროში ან იყოს დივერსიფიცირებული.

დასავლეთში გამოყოფენ კორპორაციის სამ ფორმას:

1. საჯარო კორპორაცია ახორციელებს აქციების ემისიასა და თავისუფალ განთავსებას. ეს მათ საშუალებას აძლევს, მიაღწიონ კაპიტალიზაციის მაღალ დონეს, მოიზიდონ მნიშვნელოვანი რესურსები;

2. ინტეგრირებული სამრეწველო ჯგუფი, სამეურნეო სუბიექტების გაერთიანება, დაფუძნებული სათაო კომპანიის მხრიდან ცენტრალიზებულ მართვაზე იმ პირობით, რომ ის ფლობს მონაწილეთა ქონებას ან ერთობლივი საქმიანობა მიმდინარეობს დადებული ხელშეკრულების ფარგლებში. ინტეგრირებულ ჯგუფში ყოველთვის არის გადაწყვეტილებათა მიღების ცენტრი;

3. საპარტნიორო კორპორაცია — მსხვილ მესაკუთრეთა, მათ შორის სახელმწიფოს, ალიანსი და პატრნიორობა.

აშშ-ში კორპორაციები ოთხ ჯგუფად იყოფა:

– საჯარო (public) — სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოები, სახელმწიფო აპარატის სხვა ქვედანაყოფები;

– ნახევრადსაჯარო (quasipublic), სახელმწიფოს კუთვნილი, რომლებიც არსებობენ გადასახადების გადამხდელთა სახსრებზე და რომლებიც აკმაყოფილებენ მოსახლეობის საერთო მოთხოვნებს (თავდაცვის, სარკინიგზო გადაზიდვების, წყლის ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურულ სფეროებში);

– არასამეწარმეო (non-profit), რომელთაც მიეკუთვნება რელიგიური ორგანიზაციები, უნივერსიტეტები, სკოლები, საქველმოქმედო ფონდები;

– სამეწარმეო (business) დაახლოებით ეკვივალენტური ღია სააქციო საზოგადოებების.

მსხვილი კორპორაციები უზარმაზარ როლს თამაშობენ თანამედროვე ეკონომიკაში:

– იზიდავენ კაპიტალს მსხვილი პროექტებისათვის და ახდენენ საინვესტიციო პროცესების აქტივიზაციას;

– ინტეგრირებული სტრუქტურების ფორმირების საფუძველი;

– განკარგავენ ახალი ტექნოლოგიების ზრდისა და ათვისების მნიშვნელოვან პოტენციალს, გვევლინებიან ინვესტიციური და ინოვაციური პროცესის მამოძრავებელ ძალად;

– ფლობენ დიდ სოციალურ პოტენციალს;

– ხელს უწყობენ ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის დაჩქარებას [5].

კორპორაციული სტრუქტურების გამსხვილების პროცესი მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს და წარმოიქმნა კიდეც მსხვილი ტრანსნაციონალური კომპნიები (კორპორაციები), რომელთა დიდი რაოდენობის საწესდებო კაპიტალი რამდენჯერმე აღემატება თუნდაც საქართველოს ეროვნულ სიმდიდრეს. მათში დასაქმებულია ათობით ათასობით თანამშრომელი და აქვთ მილიარდობით წლიური მოგება. ასეთებია: „ფილიპსი“, „ტოიოტა“, „სიმენსი“ და სხვ.

საქართველო ტრანსნაციონალურ კომპანიებში ჯერ-ჯერობით ვერ მონაწილეობს როგორც ფირმის, ასევე პიროვნების დონეზე. თუმცა ამ მსხვილ კორპორაციებს ჩვენს ქვეყანაში აქვთ თავიანთი წარმომადგენლობები, “შვილობილები”, რომლებიც მხოლოდ პროდუქციის რეალიზაციით არიან დაკავებულნი. ასეთებია: ”სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი”, “ტოიოტა კავკასია”, “რომპეტროლი”, “ენერგო-პრო ჯორჯია” და სხვ. ანალოგიური მდგომარეობაა საბანკო სექტორშიც, ამის ერთ-ერთი მაგალითია ბანკი “რესპუბლიკა”, რომლის აქციათა უმეტესობა ეკუთვნის ფრანგულ ბანკს “სოსიეტე ჟენერალი”, თუმცა მასში ქართველების წილიც სოლი-

დურია. მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოში შემოდის კაპიტალი, რომელიც კორპორაციის საკუთრებაა და ქართველებიც მონაწილეობენ კორპორაციის კაპიტალის ფორმირებაში.

ტრანსნაციონალური კორპორაციები (ტნკ) ეკონომიკური პროფილის დიდი საერთაშორისო კომპანიებია, რომლებიც კონტროლს უწევენ მსოფლიო მეურნეობის ერთ ან რამდენიმე დარგს. ასეთ კომპანიებს საწარმოები გააჩნია რამდენიმე ქვეყანაში. ტნკ-ებს უდიდესი გავლენა აქვთ მსოფლიო ეკონომიკაზე და ასევე დიდ როლს თამაშობენ გლობალიზაციის პროცესში. ტნკ-ები ყველა დარგს მოიცავს. გვხვდება როგორც წარმოებაში, ისე მომსახურებაში [6]. გლობალიზაციის პროცესმა არა მარტო ძალიან გაზარდა ტნკ-ების როლი მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში და ისინი საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ ძირითად მოთამაშეებად აქცია, არამედ მნიშვნელოვნად შეცვალა მათი სტრუქტურა და შინაარსი. მაგალითად, "ფორდ მოტორსის" მართვა და კონროლი აღარ ხორციელდება ერთი ცენტრიდან და გადანაწილებულია მთელ მსოფლიოში. ეს ცენტრები დაკომპლექტებულია ადგილობრივი კადრებით.

თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო ტრანსნაციონალური კორპორაციები (ტნკ) მსოფლიო ეკონომიკის და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების უმნიშვნელოვანესი ელემენტია. მათი ინტენსიური საქმიანობა ასახავს საერთაშორისო კონკურენციის გამწვავებასა და შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავებას. ტნკ-ების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია უზარმაზარი დანახარჯები სამეცნიერო კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე — ზოგჯერ მილლიარდ დოლარსაც კი აჭარბებს ("IBM", "Ford" და სხვ.). საერთაშორისო კორპორაცია შეიძლება ვიცნოთ მისი აქტივების სტრუქტურით. ზოგიერთი უცხოელი ავტორი საერთაშორისოს მიაკუთვნებს კომპანიებს, რომელთაც თავიანთი აქტივების 25% გატანილი აქვთ საზღვარგარეთ ("ფორდი", "ექსონი", "აიბიემ"). საერთაშორისო კორპორაციები ერთის მხრივ არის შედეგი სწრაფად განვითარებადი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა, ხოლო მეორე მხრივ თვითონ წარმოადგენენ მათზე

ზემოქმედების მძლავრ მექანიზმს.

სამრეწველო აქტივების ძირითადი ნაწილი თავმოყრილია ოთხ დარგში: ნავთობის, საავტომობილო, ქიმიური და ფარმაცევტული. კორპორაციათა აქტივობა მომპოვებელ მრეწველობაში მკვეთრად შემცირდა.

ყველაზე ინტერნაციონალიზირებული კომპანია უმსხვილეს ტნკ-ებს შორის არის შვეიცარული "ნესტლე". მისის საზღვარგარეთის გაყიდვების მოცულობა შეადგენს მთელი გაყიდვების 98%-ს. "ფილიპსისთვის" ეს მაჩვენებელია — 88%, "ბრითიშ პეტროლეუმი" — 75% [7].

უცხოურ ლიტერატურაში გამოყოფენ ტრანსნაციონალური კორპორაციების შემდეგ ნიშნებს:

1. ფირმა წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას ერთზე მეტ ქვეყანაში ახორციელებს;

2. მისი საწარმოები და ფლიალები ორ ან მეტ ქვეყანაში არსებობს;

3. მისი მესაკუთრეები სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტები არიან.

აღნიშნულ კატეგორიაში მოსახვედრად ფირმისათვის საკმარისია, რომ ერთ რომელიმე ნიშანთან იყოს შესაბამისობაში. ბევრ მსხვილ კომპანიას კი სამივე ნიშანი აქვს [8, გვ.56].

70-იანი წლების დასასრულისთვის 6 000-ზე მეტი ასეთი კომპანია იყო რეგისტრირებული — 27 000 ფილიალით. ამჟამად 80 000 კომპანიაა 800 000 ფილიალით და 75 მლნ. დასაქმებულით.

ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა მსოფლიო ეკონომიკა საერთაშორისო წარმოებად აქციეს, უზრუნველყვეს სამეცნიერო და ტექნიკური პროგრესის განვითარება ყველა მიმართულებით.

## დასკვნა

თანამედროვე პირობებში ტრანსნაციონალური კორპორაციები მსოფლიო ბაზრის ერთ-ერთ ძირითად სუბიექტად იქცა. ამჟამად ეკონომიკაში არ არსებობს არცერთი მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც ტრანსნაციონალური კორპორაციების მონაწილეობის გარეშე ხორციელდება. დიდია მათი გავლენა ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებზე. თუმცა ამ გავლენაში ბევრ დადებითთან ერთად არის უარყოფითიც.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი "მეწარმეთა შესახებ", 1994 წ. http://www.matsne.gov.ge

2. Прочанкина, И.В. Согласование интересов участников корпоративных отношений как фактор повышения эффективности управления корпорацией : Автореферат. 2009.

3. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული. 2014/საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. – თბილისი, 2014. – 274 გვ.

4. http://www.m-economy.ru/art.php?nArtId=1432;

5. Веснин В.Р. Корпоративное управление. Москва, 2008. 153 стр. http://psyera.ru/3708/ponyatie-korporacii

6. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი. თბილისი, "ლოგოს პრესი", 2004.

7. http://works.doklad.ru/view/Jom9mXBv0jY.html

8. გ. ბაღიშვილი, "საერთაშორისო შრომის დანაწილების მოდელების შემუშავება". დისერტაცია დოქტ. აკად. ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2013.

**REFERENCES:**

1. Entrepreneurs Law of Georgia, 1994. http://www.matsne.gov.ge(In Georgian Language)

2. Prochkanina I.V. ”Agreement of participants' interests in corporate relations as a factor of corporation management.” Abstract. 2009 . (In Russian Language)

3. Statistical Yearbook of Georgia: 2014/ National Statistics Office of Georgia. – Tbilisi, 2014. – 274 p. (In Georgian Language)

4. http://www.m-economy.ru/art.php?nArtId=1432;

5. Vesnin V.R. ”Corporation management”. Moscow, 2008. (p.153) http://psyera.ru/3708/ponyatie-korporacii . (In Russian Language)

6. Reference-dictionary of social and political terms, ”Logos press”, 2004. (In Georgian Language)

7. http://works.doklad.ru/view/Jom9mXBv0jY.html

8. G.Bagishvili ”Elaboration of International labor distribution models.” (Thesis to obtain a doctorate –level degree.) Tbilisi, 2013. (In Georgian Language).

## CORPORATIONS AND THEIR PLACE IN MODERN ECONOMY

**Iulia Tedeevi**
GTU, PHD Student

**Resume**

The article discusses the place and the role of the corporation, as one of the important organizational- legal form of the business in modern economy. The word ”Corporation” is often used as a synonym of ”Joint Stock Company”, but it is a very narrow expression of the word. This article gives the definitions of the terms ”Corporation” and ”Corporation management.” The author describes the corporation forms and signs in the Western countries. If these forms and signs meet all the criteria of the enterprise, we belong them to the corporation category.

As we know the transnational corporations are great international companies of economic profile. They have a very important function in formation and globalization process of the world economics. Its share is the largest in the GDP and the distribution according to the sectors is original. That's why we refer to the corporatization of the enterprises, transnationalization of the biggest corporations and the degree of Georgia involvement in this process.

**Key words**: corporation; transnational corporation; Joint Stock Company; action; corporation management; diversification.

# საქართველოს ეკონომიკა ინოვაციებსა და ტექნოლოგიებში გარღვევას მოითხოვს

**რუსუდან პაპასკირი**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

**რეზიუმე**

სტატიაში დასმულია საკითხი იმის შესახებ, საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარება რომელი სტრატეგიით – „გადმოტანის", „დასესხების" თუ „გაძლიერების" კუთხით უნდა მოხდეს. ამ მიზნით კრიტიკულად განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სამთავრობო დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ამ საკითხს ეხება. საქართველოსთვის ყველაზე მისაღებად ჩათვლილია „საქართველოს ინოვაციური განვითარების კონცეფცია" (ავტორები ნ. ძიძიკაშვილი და დ. გიორხელიძე) დაფიქსირებული ინოვაციური „გარღვევის" სტრატეგია. მას სტატიის ავტორმა უწოდა სტრატეგია – „გაძლიერება პლიუსით".

სტრატეგია ეფუძნება ქვეყანაში არსებულ ფუნდამენტურ, გამოყენებით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებსა და მათ შემდგომ განვითარებას მოსალოდნელი სამეცნიერო რევოლუციის პირობებში. ეს არის მეტად თამამი და გაბედული სტრატეგია. მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია ითაოს ეს საქმე და ამ სფეროში საქართველოს მომავალი რეალობად აქციოს.

სტატიის ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ თუ ქვეყნის მთავრობა ამ სტრატეგიას გაატარებს, მაშინ საქართველო თავისი მეცნიერული პოტენციალით მეშვიდე ტექნოლოგიური წყობის პიონერი იქნება.

**საკვანძო სიტყვები**:

პრიორიტეტები, ინოვაცია, ტექნოლოგია, ტრადიციული გარღვევა, უახლესი დასესხება, სამეცნიერო პოტენციალი, გაძლიერება.

## შესავალი

ყველასათვის ცნობილია, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს, განვითარებულის და განვითარებადის, მთავრობის ძირითადი ამოცანაა ეკონომიკის ზრდის უზრუნველყოფა და სტაბილიზაცია. ყველაზე მეტად ეს განვითარებად ქვეყნებს სჭირდება.

საქართველო განვითარებადი ქვეყანაა. დღევანდელი საქართველოს მთავარი პრიორიტეტიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გაჯანსაღება და ეკონომიკური ზრდის პოლიტიკაზე გადასვლაა. ამ სტრატეგიული ამოცანის რეალიზაცია მრავალ ფაქტორთან არის დაკავშირებული და საჭიროებს განვითარების პროგნოზირებას, ალტერნატიული მიმართულებების (სცენარების) განხილვას, გარე და შიდა ფაქტორების კომპლექსურ გააზრებას, გარდაქმნის მოსალოდნელი წინააღმდეგობების შეფასებას და, ამის საფუძველზე, განვითარების პროგრამის შედგენას და განხორციელებას. ამ პროგრამის განხორციელებით უნდა მოხდეს ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფორმირება საქართველოში.

## 1. საქართველოს დარგობრივი პრიორიტეტები.

საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღების და სტაბილიზაციის ამ ალგორითმს ყველა მეცნიერი იზიარებს. რაც შეეხება იმ საკითხს, თუ ეკონომიკის რომელი დარგების – ტრადიციული თუ ახალი – პრიორიტეტული განვითარებით მიაღწიოს საქართველომ ამ მიზანს, მათი აზრები განსხვავებულია.

საქართველოს 2001-2005 წლების ინდიკატურ გეგმაში პრიორიტეტულ დარგებად მოხსენიებული იყო ენერგეტიკა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი მრეწველობა და ტურიზმი.

ა. თვალჭრელიძის, ა. სილაგაძის, გ. ქეშელაშვილის და დ. გეგიას ავტორობით შედგენილ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამაში (თბ., 2011) საქართველოს პრიორიტეტულ დარგებად დასახელებულია სოფლის მეურნეობა, სამთო მრეწველობა, ტურიზმი, კვების მრეწველობა და მანქანათმშენებლობა [1, გვ. 237-254].

საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წელს შემუშავებულ დოკუმენტში – „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო — 2020 (პროექტი)“ – საერთოდ არ არის ნაჩვენები დარგების (ან ქვედარგების) ჩამონათვალი, რომელთა განვითარებას საქართველოს სახელმწიფო პრიორიტეტულად მიიჩნევს 2020 წლისთვის.

მეცნიერების – ნ. ძიძიკაშვილის და დ. გიორხელიძის ავტორობით შექმნილ დოკუმენტში – „საქართველოს ინოვაციური განვითარების კონცეფცია გრძელვადიან პერსპექტივაში“ (თბ., 2012) ასეთ სფეროებად მიჩნეულია: სოფლის მეურნეობა და კვების პროდუქტების წარმოება, ფარმაცევტული პროდუქციის დამზადება, ენერგეტიკა, ტრანსპორტი [2, გვ. 16]. ავტორები ამ სფეროებს მოიაზრებენ საქართველოს საბაზრო ნიშებად მომავალი საქართველოსთვის.

დარგობრივი პრიორიტეტები საკმაოდ ბუნდოვანია ქართველ მეცნიერთა ცალკეულ გამოკვლევებშიც. ამის მიუხედავად, როგორც ჩვენს მიერ აქ განხილული დოკუმენტების ავტორები, ისე სხვა გამოკვლევების ავტორებიც, ცალსახად თვლიან: განურჩევლად იმისა, თუ რა განვითარდება საქართველოში, იგი აუცილებლად უნდა მოხდეს ახალი და უახლესი ინოვაციების და ტექნოლოგიების გამოყენებით. სხვათაშორის, არა თუ ახლა, არამედ მსგავს ჩანაწერს ვკითხულობთ 2002 წლის სამთავრობო დოკუმენტში – „საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის შემცირების სტრატეგიაში“ [3, გვ. 70-73]:

„საქართველო ორიენტაციას აიღებს უახლესი ტექნოლოგიების დანერგვასა და შემუშავებაზე... მკვეთრად გაიზრდება თანამედროვე ტექნიკა-ტექნოლოგიების ხვედრითი წილი მრეწველობაში და მიღებული იქნება სპეციალური ზომები საქართველოში ახალი ტექნოლოგიების და „ნაწ-ჰოწ“-ის იმპორტისთვის. საქართველომ სრულად უნდა გამოიყენოს თავისი პოტენციალი და გახდეს სამეცნიერო და ტექნოლოგიური ლიდერი რეგიონში და აიღოს თავის თავზე ახალი სამეცნიერო იდეების და ტექნოლოგიების ადაპტაციის საქმე“. ამ დოკუმენტში, მართლაც, საუკეთესოდ იყო დეკლარირებული ამ სფეროში საქართველოს მიზანი,

მაგრამ დღეს ყველასთვის ცხადია, რომ ამ დოკუმენტში დასახული არც ერთი მიზანი არ შესრულებულა.

აქედან ჩნდება შიში იმისა, რომ ქვეყნისთვის ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საქმე, როგორც დღემდე, ისე ახლაც, არ დარჩეს მხოლოდ დეკლარირების დონეზე და იმ პირობებში, როცა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები იწყებენ VI ტექნოლოგიურ წყობაზე გადასვლას, საქართველო არ დარჩეს მეოთხე ტექნოლოგიური წყობის დონეზე.

## 2. საქართველოს ინოვაციური სტრატეგია.

ისე, როგორც ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურასთან მიმართებაში, საქართველოს ინოვაციური განვითარების ხაზითაც ჯერ-ჯერობით არ არის გამოკვეთილი ქვეყნის ცალსახა სტრატეგია. როგორც ცნობილია, ინოვაციური სტრატეგიის სამი ძირითადი მიმართულება არსებობს [4, გვ. 327]:

1. „გადმოტანის" სტრატეგია;
2. „დასესხების" სტრატეგია.
3. „გაძლიერების" სტრატეგია.

**„გადმოტანის" სტრატეგია** გულისხმობს ახალი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ათვისებას საზღვარგარეთულ მეცნიერულ-ტექნოლოგიურ და ინოვაციურ პოტენციალზე დაყრდნობითა და ძალიან ეფექტიანი ახალი ტექნოლოგიების ლიცენზიების საზღვარგარეთიდან შეძენის გზით.

**„დასესხების" სტრატეგია** გულისხმობს ინოვაციური ტექნოლოგიური პროდუქციის (რომელიც მანამდე იწარმოებოდა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში) წარმოების ათვისებას მიმღები ქვეყნის საკუთარი ინოვაციური პოტენციალის გამოყენებით.

**„გაძლიერების" სტრატეგია** გულისხმობს ახალი პროდუქციის ათვისებას ახალი და უახლესი ტექნოლოგიების, ქვეყნის საკუთარი მეცნიერულ-ტექნიკური და საწარმოო-ტექნოლოგიური პოტენციალის და საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებით.

აღნიშნულ სტრატეგიებს შორის საქართველოსთვის ოპტიმალური სტრატეგიის არჩევაა საჭირო. ამ არჩევანით წყდება საქართველოს მომავალი ბედი. დღეს საქართველო ინოვაციების

„გადმოტანის“ სტრატეგიით მუშაობს. ამ სტრატეგიას მრავალი ქართველი მეცნიერი აკრიტიკებს, რადგან ისეთი მეცნიერული პოტენციალის ქვეყანა, როგორიც არის საქართველო, არ უნდა იყოს დამოკიდებული უცხოეთზე. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის“ ავტორების ა. თვალ-ჭრელიძის, ა. სილაგაძის, გ. ქეშელაშვილის და დ. გეგიას აზრით, „ოპტიმალურ გზას საქართველოსთვის წარმოადგენს „დას-ესხების“ სტრატეგიის განვითარება... ამასთან, ზოგიერთ დარგში შესაძლებელია „გაძლიერების“ სტრატეგიის გამოყენებაც“ [1, გვ. 213]. 2013 წელს შექმნილ „საქართველოს სოციალურ-ეკონომი-კური განვითარების სტრატეგიაში (საქართველო – 2020)“ არ ჩანს, ინოვაციური სტრატეგიის რომელ მიმართულებას ვირჩევთ, და, რატომ ვირჩევთ მას და არა სხვას.

საქართველოსთვის ყველაზე მისაღებად ჩვენ მაინც მიგვაჩ-ნია ქართველი მეცნიერების ნ. ძიძიკაშვილის და დ. გიორხელიძის მიერ შემუშავებული და შემოთავაზებული ინოვაციური გარ-ღვევის სტრატეგია, რომელიც ეფუძნება ქვეყანაში არსებულ ფუნდამენტურ, გამოყენებით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებსა და მათ შემდგომ განვითარებას მოსალოდნელი სა-მეცნიერო რევოლუციის პირობებში. ამასთან, გათვალისწინებ-ული უნდა იქნას თანამედროვე მე-5 და მე-6 ტექნოლოგიური წყობის შესაბამისი სამენციერო-ტექნოლოგიური საფუძვლების შექმნის პოტენციალი“ სად იწყება [2, გვ. 11].

ჩვენი გაგებით, ინოვაციური გარღვევის ამ სტრატეგიაში იგუ-ლისხმება „გაძლიერების“ სტრატეგია პლუსით. ეს არის მეტად თამამი და გაბედული სტრატეგია, მაგრამ საქართველოს სამეც-ნიერო პოტენციალი, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენილია, ამის საფუძველს იძლევა. როგორც ჩანს, ამ სტრატეგიის ავტორების ეს შემოთავაზება სწორედ ამ საფუძველს ეყრდნობა და, ჩვენი ღრმა რწმენითაც, თუ ამ შემოთავაზებას სახელმწიფოს მხრიდან სათა-ნადო ფინანსური ხმარდაჭერა ექნება, ის აუცილებლად განხორ-ციელდება. სტრატეგიის ავტორები მთავრობას სთავაზობენ, ვი-დრე ჯერ კიდევ მთლიანად დაგვიანებული არ არის, ჩატარდეს ინვენტარიზაცია და ინსპექტირება სამამულო გამოგონებების,

მეცნიერთა ჯგუფების, კონსტრუქტორთა, ინჟინერთა და პროგრამისტთა ჯგუფების (რომელთაც ხელეწიფებათ ეფექტიანი ინოვაციური პროდუქციის შექმნა), ტექნოლოგიურ-სამეცნიერო საწარმოების – ბიო-ტექნოლოგიებში, ფარმაკოლოგიაში, ფარმაციაში, იზოტოპებში, ბირთვულ ფიზიკაში და სხვაში და, მის მასალებს დაეფუძნოს ეროვნული ინოვაციური სისტემა, რომლის მისია იქნება ქვეყნის განვითარების ინოვაციურ ტიპზე გადაყვანის უზრუნველყოფა შერჩეული პრიორიტეტების საფუძველზე.

ამ სტრატეგიის ავტორები ქვეყნის ინოვაციური განვითარების მთავარ დაბრკოლებას სუბიექტის არარსებობაში ხედავენ, ანუ სუბიექტისა, რომელიც ითავებს ამ საქმეს და ამ სფეროში საქართველოს მომავლის რეალობად გადააქცევს. ასეთი სუბიექტი შეიძლება იყოს თვით სახელმწიფო, ელიტარულ მეცნიერთა ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაცია ან სხვა რომელიმე სტრუქტურა. დღევანდელ ეტაპზე ასეთი სუბიექტი საქართველოში მართლაც არ ჩანს – სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები დაშლილია, გაუქმებულია. მეცნიერთა ჯგუფები დაშლილია. ცალკეული მეცნიერები ან იმედდაკარგულნი და ხელჩაქნეულნი, ანდა ემიგრაციაში არიან წასული. არადა, ამ საქმის თაოსნობას გერმანელი ერჰარდის ტიპის კაცის თაოსნობა სჭირდება. მან არაფრისგან უნდა შეძლოს არა განვითარებული ქვეყნების დონეზე გასვლა, არამედ – მათი გადასწრება და მომავალი თაობის – მე-7 თაობის ტექნოლოგიურ წყობაში საქართველოს ლიდერად წარმოჩენა.

ინოვაციური გარღვევის სტრატეგიის ავტორები ნ. ძიძიკაშვილი და დ. გიორხელიძე ვარაუდობენ, რომ მეშვიდე თაობის ტექნოლოგიები იქნება სოციოჰუმანიტარული ტექნოლოგიები და მათი შემუშავების და გამოყენების შესაძლებლობა სწორედ საქართველოშია. ეს შესაძლებლობა არის ქართველების კრეატიული ტვინის პოტენციალი. ამის წამკითხველს, მით უფრო მათ, ვინც იცნობს ნ. ძიძიკაშვილს და დ. გიორხელიძეს, გიჩნდება და გიბრუნდება საქართველოს არათუ გადარჩენის, არამედ მისი მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად გადაქცევის იმედი.

ღმერთმა გვისმინოს!

## დასკვნა

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკის სათანადო განვითარებისთვის ინოვაციური, ტექნოლოგიურ-ინოვაციური და ტექნოლოგიური გადაწყობა უნდა მოხდეს. ეკონომიკას არ ჰყოფნის ტექნოლოგიების „დასესხების“ და „გადმოტანის“ სტრატეგია. საჭიროა, შემუშავდეს ინოვაციური გარღვევის სტრატეგია და დაინერგოს იგი ქვეყნის ეკონომიკაში. ამ აზრის არის ყველა პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მეცნიერი, რომლებსაც ჩვენც ვუერთდებით.

## ლიტერატურა:

1. თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ., გეგია დ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, თბ., 2011.

2. საქართველოს ინოვაციური განვითარების კონცეფცია გრძელვადიან პერსპექტივაში (ავტორები ნ. ძიძიკაშვილი, დ. გიორხელიძე), თბ., 2012.

3. საქართველოში ეკონომიკური განვითარების და სიღარიბის შემცირების სტრატეგია, თბ., 2002.

4. ღუდუშაური ზ., ბალიაშვილი ე. და სხვები, მეწარმეობა, მცირე მეწარმეობა: თეორია და პრაქტიკა, თბ., 2004.

## REFERENCES:

1.Tvalchrelidze A., Silagadze A., Keshelashvili G., Gegia D., Social-Economic Development Program of Georgia, Tbilisi 2011. (In Georgian Language)

2.Innovative Development Concept of Georgia in long-term perspective (authors N. Dzidzikashvili, D. Giorkhelidze) Tbilisi 2012(In Georgian Language)

3.Strategy for Economic development and decrease of poverty in Georgia, Tbilisi 2002(In Georgian Language).

4.Ghudushauyri Z., Baliashvili E and others, Entrepreneurship, small entrepreneurship, Theory and Practice, Tbilisi 2004 (In Georgian Language)

# GEORGIAN ECONOMY REQUIRES BREACH IN INNOVATIONS AND TECHNOLOGIES

**Rusudan Papaskiri**
Sukhumi State University Associated Professor

**RESUME**

The article discusses the issue about which strategies – "take from," "cite," "strengthening" - - are used for developing Georgian economy from innovative point of view. For this purpose all important statutes are examined critically which directly or indirectly are related to the mentioned issue. Concept of Innovative Development of Georgia is considered as mostly accepted for Georgia (authors N. Dzidzikashvili and D. Giorkhelidze), which uses strategy of innovative "infringement." The author of article calls it – strengthening in plus." Strategy is based upon the fundamental, applied and testing-constructor's works available in the country and their further development in terms of expected scientific revolution. This is rather encouraging and stimulating strategy. Only Government is able to lead this process and in this field to transform the future of Georgia in reality.

The author of article makes report that if government of country reforms this strategy, then Georgia with its scientific potential will be pioneer of technology arrangement.

**Keywords:** The Priorites , Innovation, Technology, Traditional Infringement, Scientific Potential, Strenghening.

# საჯარო საფინანსო და სამეურნეო საქმიანობაში რისკების აუცილებლობა და მნიშვნელობა

**ლაშა მურჯიკნელი**
სტუ—ს II კურსის დოქტორანტი

**რეზიუმე**

სამეცნიერო სტატიაში განხილულია საჯარო საფინანსო -სამეურნეო საქმიანობაში რისკების აუცილებლობისა და მნიშვნელობის პრობლემები.ავტორის აზრით, ხშირად საჯარო საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის არახელსაყრელი მდგომარეობა, წარმოებული საქონლის და მომსახურების ფასების დაქვეითება, ეკონომიკური პირობების გაუარესება, მოთხოვნის არასტაბილურობის შედეგად მოსალოდნელი ზარალის, შემოსავლების დანაკარგების მიღება განპირობებულია საჭირო შემთხვევაში რისკების გაუთვალისწინებლობით.

რისკი არის გაუგებრობის, არასაკმარისი ცოდნის, საქმიანობის რესურსებით უზრუნველყოფის შეზღუდულობის პირობებში საჯარო საფინანსო და სამეურნეო საქმიანობაში გაბედული ნაბიჯის გადადგმა, სასურველი დადებითი შედეგის მიღწევისთვის.

რისკის მენეჯმენტის პროცესის ძირითადი ეტაპებია: რისკის პროცესის ანალიზი, რისკის, როგორც პროცესის შეფასება, რისკის მეთოდების შერჩევა და გადაწყვეტილებების მიღება.

რისკის ეკონომიკური შეფასების როლი მნიშვნელოვნად იზრდება, როცა მიიღწევა მაღალი შედეგები ნაკლები დანახარჯებით.

რისკის შეფასების შემდგომ ეტაპებს წარმოადგენს რისკის იდენტიფიკაცია, რისკული პროცესის ანალიზი და რისკის გაზომვა. რისკის იდენტიფიკაცია არის პროცესი, რომლის დროსაც ხდება მისი მოძიება და დეტალური აღწერა.

რისკის ანალიზი უნდა განხორციელდეს იდენტიფიცირებული რისკების გავლენის კარგად შესწავლის საფუძველზე, რათა კარგად განისაზღვროს, თუ როგორ უნდა იმართონ რისკები. რისკის ანალიზი გულისხმობს საერთოდ იმ ფაქტორების იდენტიფიკაციას, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ რისკის შედეგებზე.

რისკებით განხორციელებული რისკული პროცესები შეიძლება იყოს მისაღები და მიუღებელი. რისკი იმ შემთხვევაშია მიუღებელი, როცა თავად რისკი უშედეგო და უმნიშვნელოა.

*საკვანძო სიტყვები:* რისკები, იდენტიფიკაცია, რისკის მადა, კომპიუტერული მოდელირება, მატრიცა, საჯარო–სამეურნეო, საჯარო–საფინანსო, არასტაბილურობა, უკუგება, მენეჯმენტი, ენდოგენური, ეგზოგენური, ობიექტური, სუბიექტური რისკების შეფასება.

## შესავალი

უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო საფინანსო და სამეურნეო საქმიანობაში რისკებს, დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად ასეთი დიდი მნიშვნელობისა, ეკონომიკურ მეცნიერებაში რისკების არსის შესახებ ერთიანი აზრი დღესაც არ არსებობს, რაც ამ პრობლემის სირთულითაა განპირობებული. საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში, რისკების თეორიის ფუძემდებელი და პირველად შემომტანია ფრანგი ცნობილი მეცნიერი რ.კანტილიონი.

## ძირითადი ნაწილი

ყოველგვარი უთუობის გარეშე უნდა აღინიშნოს, რომ რისკების განხორციელების აუცილებლობა საჯარო საფინანსო და სამეურნეო საქმიანობაში რაციონალური მენეჯმენტის აუცილებელი პირობაა. ზოგიერთი საჯარო საფინანსო და სამე-

ურნეო ხელმძღვანელი თავიანთ მოუქნელ მუშაობას რისკთა სისტემის მცირე ფუნქციის არსებობით ამართლებს, რაც ჩემი აზრით, მათ მიერ რისკების არასაკმარისი ცოდნის შედეგია. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ რისკების განხორციელებასთან დაკავშირებული სერიოზული გადაწყვეტილებები ზერელედ, მხოლოდ ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე გარდაუვალი მარცხით მთავრდება. ჩემი აზრით, ხშირად საჯარო საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის არახელსაყრელი მდგომარეობა, წარმოებული საქონლის და მომსახურების ფასების დაქვეითება, ეკონომიკური პირობების გაუარესება, მოთხოვნის არასტაბილურობის შედეგად მოსალოდნელი ზარალის, შემოსავლების დანაკარგების მიღება განპირობებულია საჭირო შემთხვევაში რისკების გაუთვალისწინებლობით.

საერთოდ, საჯარო საფინანსო და სამეურნეო საქმიანობაში რისკები და კონკრეტულად საბანკო რისკები, როგორიცაა სავალუტო რისკი და საინვესტიციო რისკების განხორციელება, დაკავშირებულია მოსალოდნელი ზარალის მიღება–მიუღებლობასთან.

კაცობრიობის გამოცდილება მოწმობს, რომ ის ვინც დროულად რისკავს, დიდ მოგებასაც იღებს. ისტორიიდან ცნობილია, რომ დიდი პოლიტიკოსები, გაბედული მხედართმთავრები, გონიერი მეწარმეები და ინჟინრები თვლიდნენ- რისკი არც ჭირვეულებაა და არც ლამაზი ჟესტია.

საჯარო საფინანსო და სამეურნეო უწყებების ხელმძღვანელები ხშირ შემთხვევაში თავს არიდებენ რისკთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებას. ასეთი ქმედება არ შეიძლება საჯარო უწყების ხელმძღვანელმა თავის დაზღვევის მიზნით გააკეთოს, უარი თქვას მომგებიან შეკვეთაზე, გადაავადოს ახალი გადაწყვეტილების მიღება და შეაჩეროს მისი უწყების რადიკალური რეკონსტრუქცია, რომელთა შესრულებაც დაკავშირებულია დიდ ეკონომიკურ რისკთან. ამასთან, რა თქმა უნდა, გააკეთოს ყველაფერი, რათა შემცირდეს არასასურველი რისკი, მაგრამ, თუ გარდაუვალი ხდება მასთან დაკავშირებული მოქმედებები, მაშინ საჭიროა ისწავლონ გარისკვა, ანუ დაეუფლონ

რისკის მეცნიერებას, უნდა შეძლონ მკვეთრი საზღვრის გავლება გამართლებულ და გაუმართლებელ რისკს შორის, ანუ შეძლონ იმ უპირატესობით სარგებლობა, რომელსაც გვთავაზობს გონივრული რისკი. იმისათვის, რათა გონივრულად გაირისკოს, საჭიროა გაირკვეს რით არის განპირობებული რისკი და რაში მდგომარეობს მისი განხორციელების მიზეზები.

სიტყვა ,,რისკი" ესპანურ–პორტუგალიური წარმოშობისაა და ნიშნავს ,,წყალქვეშა კლდეს", ანუ საშიშროებას. რისკის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ,,მოქმედება წარმატების იმედად, ბედნიერი დასასრულის იმედით".[1] ამ განმარტებიდან ნათელია, რომ რისკზე წასვლას გვაიძულებს გარემოებებში გაურკვევლობა.

რისკის არსიდან გამომდინარე გასაგებია, რომ ის **ჯერ–ერთი,** წარმოადგენს გაურკვეველ ვითარებაში მოქმედებიდან გამოსვლის საშუალებას, **მეორე**, გარკვევას იმისა, გარისკვა კარგია თუ არა და შესაძლებელია თუ არა წარმატების მიღწევა და **მესამე**, რისკით უზრუნველიყოფა თუ არა, მოსალოდნელი დადებითი შედეგის მიღება. აქედან გამომდინარე, რისკი შეიძლება განისაზღვროს ასე: **რისკი არის გაუგებრობის, არასაკმარისი ცოდნის, საქმიანობის რესურსებით უზრუნველყოფის შეზღუდულობის პირობებში საჯარო საფინანსო და სამეურნეოსაქმიანობაში გაბედული ნაბიჯის გადადგმა, სასურველი დადებითი შედეგის მიღწევისთვის.**

რისკის გაწევის პირველი მიზეზია გარემომცველი სამყაროს შესახებ არასაკმარისი ცოდნის აღმოფხვრა, ამ სიძნელეს ადამიანი წააწყდა დიდი ხნის წინ, იმ შორეულ დროში, როცა პირველად დაიწყო გააზრებული გადაწყვეტილებების მიღება, მაშინაც გაურკვევლობა იყო დაბრკოლება ნებისმიერი წამოწყებისათვის. ბუნების კანონების არასაკმარისი ცოდნა ხელს უშლიდა სამრეწველო საქმიანობას, მეურნეობის ეფექტიან მენეჯმენტს. ადამიანებმა დაიწყეს თავისი ცხოვრებიდან გაურკვევლობის მთელი ძალღონით დაძლევა. კაცობრიობის განვითარების ისტორია, ყველაფერთან ერთად, გაურკვევლობასთან ბრძოლის ისტორიაა. მეცნიერება სულ უფრო ავიწრო-

**1 ETY MOLOGY OF RISK – ROIF SKJONG , February 25th 2005.**

ვებდა ამ გაურკვევლობის მოქმედების სფეროს. მეცნიერებაში დიდი აღმოჩენების: ასტრონომიული მოვლენების გაცნობიერებამ, მსოფლიო მიზიდულობის კანონის აღმოჩენამ და ფოლადის დნობის ტექნოლოგიის ცოდნამ, მნიშვნელოვნად შეამცირა გაურკვევლობა. იყო გაურკვევლობისაგან თავის სრულად დაღწევის მცდელობაც. გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი პ. ლაპლასი (XVIII-XIXს.) თვლიდა, რომ სამყაროში ყველაფერი განსაზღვრულია. საჭიროა მხოლოდ სამყაროს კარგად შესწავლა და გაურკვევლობა გაქრება. დღეს ასეთ შემთხვევაზე არავინ დავობს. რისკზე წარსვლის მეორე მიზეზია, საქმეში ჩაუხედაობა – როცა არ ვიცით, თუ რას გამოიწვევს ესა თუ ის ფაქტორი, ბუნებრივია ასეთ შემთხვევაში ჩნდება ,,შემთხვევითობა“. აღსანიშნავია, რომ არის რისკის განხორციელების მესამე დეტერმინანტიც – უკუგება, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია საწარმოების რესურსების უზრუნველყოფის გაურკვევლობასთან, რომელსაც ხშირად ხელმძღვანელები მიჰყავთ რისკის გადაწყვეტილების მიღებამდე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია რისკების მართვა. საჯარო საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის მენეჯმენტი რისკის გაცნობიერებულ შედეგს უნდა ამყარებოდეს, თუ გვინდა მივიღოთ განხორციელებული საქმიანობიდან შესაბამისი შედეგი. ბუნებრივია, რისკის დონის ცალკეული ეტაპის მიხედვით შეფასებით შეიძლება მიღებულ იქნეს ტაქტიკა ,,რისკის თავიდან აცილება“, თუმცა, ფირმის ან ,,კომპანიის“ სამეურნეო საქმიანობიდან რისკის მთლიანად გამორიცხვა შეუძლებელია, რამდენადაც ასეთი რისკი – ობიექტური პროცესია, რომელიც დამახასიათებელია საჯარო სამეურნეო საქმიანობის უმრავლესობისთვის.

რისკ–მენეჯმენტის თეორიის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი პოსტულატი გვაუწყებს, რომ რისკები ერთმანეთისგან დამოუკიდებელია და რისკების ბანკში შემავალი თითოეული მათგანის ფინანსური დანაკარგი არ იწვევს სხვა ეკონომიკური რისკის სარისკო შემთხვევის დადგომის ალბათობის გაზრდას. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, სხვადასხვა ეკონომიკური რის-

კი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია და მათი მართვის პროცესში თითოეულის ნეიტრალიზება ჩემი აზრით ინდივიდუალურად უნდა მოხდეს.

ალსანიშნავია, რომ მიღებული რისკების დონის შედარება, ფინანსურ ოპერაციების შემოსავლიანობის დონესთან, რისკ–მენეჯმენტის თეორიაში ფუძემდებლურ პრინციპად ითვლება. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ საჯარო სტრუქტურამ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელბის პროცესში უნდა მიიღოს სამეურნეო რისკების მხოლოდ ის სახეები, რომელთა განხორციელების შედეგი შესაბამის დონესთან შედარებით მეტია, ,,შემოსავლიანობა–რისკის“ შკალის მიხედვით. რისკის ნებისმიერი სახე, რომლის მიხედვითაც, მისი დონე ნაკლებია მოსალოდნელი შემოსავლიანობის დონესთან შედარებით ,უნდა იყოს საჯარო უწყების მიერ უარყოფილი.

საფინანსო – ეკონომიკური რისკების მართვის საფუძველია სარისკო შემთხვევის შესაძლო დადგომისას მათი ნეგატიური შედეგების ნეიტრალიზება. ამასთან, საჯარო ორგანიზაციის დანახარჯები შესაბამისი რისკის ნეიტრალიზაციისათვის არ უნდა ალემატებოდეს შესაძლო ფინანსური დანაკარგების თანხას რისკის შემთხვევის დადგომის ყველაზე მაღალი ხარისხის ალბათობისაც კი.

რისკების მართვაში გათვალისწინებული უნდა იქნას დროის ფაქტორი, რადგანაც რაც უფრო ხანგრძლივია სამეურნეო საქმიანობის განხორციელების პერიოდი, მით უფრო ნაკლებია შესაძლებლობები მათი ნეგატიური შედეგების ნეიტრალიზაციის უზრუნველყოფისათვის.

რისკის შეფასება აშკარად იძლევა შესაძლებლობას განისაზღვროს იმ დანახარჯთა მოცულობა, რომელიც დაკავშირებულია რისკის სახეების გაწევასთან.

ეკონომიკურ მეცნიერებაში დაფიქსირებულია რისკის ბუნების შესახებ მოსაზრება: სუბიექტური, ობიექტური და სუბიექტურ–ობიექტური.

რისკი, როგორც სპეციფიკური საქმინობა გაურკვევლობის პირობებში, წარმოადგენს ობიექტურ და სუბიექტურ ქცევათა

დიალექტურ ერთიანობას.

რისკი, ყოველთვის დაკავშირებულია, მისი შედეგების განსაზღვრულ ალტერნატიულ ალბათობასთან, რომელშიც ვლინდება, მისი სუბიექტური მხარე. ამასთან, რისკი მოიცავს, არა მარტო სუბიექტური, არამედ ობიექტურ მხარესაც.

რისკის მენეჯმენტის პროცესის ძირითადი ეტაპებია: რისკის პროცესის ანალიზი, რისკის, როგორც პროცესის შეფასება, რისკის მეთოდების შერჩევა და გადაწყვეტილებების მიღება.

მთავარია რისკის, როგორც პროცესის ანალიზი, რომელიც განსაზღვრავს ცალკეული რისკების ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

როგორც წესი, რისკის ეკონომიკური შეფასების როლი მნიშვნელოვნად იზრდება, როცა არსებობს ერთობლივი ალტერნატიული გადაწყვეტილებებიდან ოპტიმალურის შერჩევის საშუალება. დასაშვებია ოპტიმალური გადაწყვეტილების შერჩევა, რომელიც უზრუნველყოფს ნაკლები დანახარჯებით მაღალი შედეგების მიღწევას.

რისკის ეკონომიკური შეფასების როლი მნიშვნელოვნად იზრდება, როცა დასაშვებია მაღალი შედეგების მიღწევა ნაკლები დანახარჯებით. აუცილებელია უზრუნველყოთ ეკონომიკური პროცესების რაოდენობრივი სიდიდის განსაზღვრა და მოვახდინოთ მისი შეფასება, რისთვისაც აუცილებელია ღრმა ანალიზის განხორციელება ეკონომიკურ–მათემატიკური ანალიზის მეთოდების გამოყენებით.

ეკონომიკურ–მათემატიკური ანალიზის მეთოდები წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის ენდოგენურ და ეგზოგენურ ფაქტორთა გათვალისწინებით რეგულატორს და უზრუნველყოფს ოპტიმალურ გადაწყვეტილებათა შერჩევას და საშუალებას იძლევა მათემატიკურად გაანალიზდეს მიღწეული შედეგები.

საბაზრო ძალთა თანასწორობის ფაქტორები გავლენას ახდენენ ეკონომიკური რისკის ცვლილებებზე. არასტაბილური ეკონომიკური განვითარება და მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობის დაცემის პირობებში, დაბანდებულ კაპიტალზე მოგების დაბალი ნორმა ზრდის რისკის უარყოფით შედეგებს. მას შემდეგ, რაც მოხდება რისკის გარემოს შეფასება, შემდგომ

ეტაპებს წარმოადგენს რისკის იდენტიფიკაცია, რისკული პროცესის ანალიზი და რისკის გაზომვა.

რისკის იდენტიფიკაცია არის პროცესი, რომლის დროსაც ხდება მისი მოძიება და დეტალური აღწერა. მნიშვნელოვანია, რომ იდენტიფიკაცია იყოს კარგად ჩამოყალიბებული და გაკეთდეს ყველა რისკის მომცველი უწყვეტი პროცესის ანალიზი, წინააღმდეგ შემთხვევაში, არაიდენტიფიცირებული ე.წ. ,,გამორჩენილი“ რისკი ვეღარ დაექვემდებარება რისკის რაციონალური მენეჯმენტის პროცესს და შესაძლებელია, უარყოფითად იმოქმედოს დასახული მიზნების მიღწევაზე. უნდა მოხდეს საქმიანობის სპეციფიკისა და მიზნებიდან გამომდინარე რისკების დაყოფა, საიდანაც ნათლად გამოჩნდება რისკის წარმოშობის მიზეზები.

რისკის იდენტიფიკაცია მოითხოვს მისი მეთოდებით ზემოქმედების სწორ შეფასებას, რადგან ის იძლევა საშუალებას თავიდან აცილებული იქნას, მისი მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები.

რისკის ანალიზი უნდა განხორციელდეს იდენტიფიცირებული რისკების გავლენის კარგად შესწავლის საფუძველზე, რათა კარგად განისაზღვროს, თუ როგორ უნდა იმართონ რისკები.

რისკის ანალიზი გულისხმობს საერთოდ იმ ფაქტორების იდენტიფიკაციას, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ რისკის შედეგებზე.

რისკის საწყის ეტაპზე წინასწარი ანალიზი, გულისხმობს მსგავსი რისკების დაჯგუფებას, გაერთიანებას და დაბალი გავლენის მქონე რისკების შესაძლებლობის ფარგლებში გამორიცხვას.

შემდეგი ეტაპია რისკის დონის განსაზღვრა მასშტაბებიდან გამომდინარე, მათი დონის განსაზღვრა. ამ ეტაპის დროს სწარმოებს არა მარტო რისკების გავლენის შესწავლა, არამედ ხდება რისკების ურთიერთდამოკიდებულებებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინება.

რისკის დონე შესაძლებელია მისაღები იყოს საჯარო სამეურნეო და საფინანსო საქმიანობისათვის და ასეთ შემთხვევას რისკის მადა ეწოდება.

შესაძლებელია, განისაზღვროს არა რომელიმე კონკრეტული რისკის, არამედ კომბინირებული რისკების სახეობაც.

რისკის ანალიზი შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით, რაც დამოკიდებულია კონკრეტულ რისკის სახეზე, ანალიზის მიზანზე, ხელმისაწვდომ ინფორმაციის მონაცემებზე, რესურსებზე და სხვ.

იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს რაოდენობრივი მონაცემები რისკის შედეგზე გავლენის შესახებ, მაშინ საუკეთესო გზას წარმოადგენს რისკის რაოდენობრივი ანალიზის განხორციელება.

რისკის რაოდენობრივი ანალიზის დროს შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ალბათობის, გავლენის, კომპიუტერული მოდელირების, სტატისტიკური და სხვა ხარისხობრივი ანალიზის მეთოდები.

ხარისხობრივი ანალიზი ფართოდ გამოყენებულია საჯარო სექტორში. ასეთი ანალიზი ეყრდნობა ობიექტურ–სუბიექტურ შეფასებას და გადაწყვეტილებები მიიღება საწარმოების ხელმძღვანელთა გამოცდილების, ცოდნის, განსჯის და ინტუიციის საფუძველზე.

გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, რისკის ანალიზის პროცესში სწარმოებს რისკის მატრიცის შემუშავება, რაც იძლევა რისკის გამოვლენის საშუალებას. სამეურნეო პრაქტიკაში სწარმოებს რისკის შედეგის გაზომვა, რომელიც წარმოადგენს პროცესს, რომლის დროსაც ხდება რისკით მიღებული შედეგების განხილვა.

რისკებით განხორციელებული რისკული პროცესები შეიძლება იყოს მისაღები და მიუღებელი. რისკი იმ შემთხვევაშია მიუღებელი, როცა თავად რისკი უშედეგოა და უმნიშვნელოა.

– ზემოთ მოცემულ ტექსტში გაშუქებული საკითხების საფუძველზე შეიძლება ასეთი შნაარსის საერთო დასკვნის დაფიქსირება:

– საჯარო საფინანსო–სამეურნეო საქმიანობაში გონივრული რისკების გაწევას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს;

– რისკების განხორციელების აუცილებლობა საჯარო–საფინანსო და სამეურნეო საქმიანობაში რაციონალური მენეჯმენტის აუცილებელი პირობაა;

– საჯარო საფინანსო–სამეურნეო საქმიანობაში არახელსაყრელი ეკონომიკური მდგომარეობა განპირობებულია საჭირო შემთხვევაში რისკების გაუთვალისწინებლობით;

– რისკი არის გაუგებრობის, არასაკმარისი ცოდნის, მეურნეობის რესურსებით უზრუნველყოფის შეზღუდულობის პირობებში, საჯარო საფინანსო და სამეურნეო საქმიანობაში გაბედული, გონივრული ნაბიჯის გადადგმა სასურველი დადებითი შედეგის მიღწევისათვის;

– თუ გვინდა მივიღოთ განხორციელებული საქმიანობიდან კარგი შედეგი, მაშინ საჯარო საფინანსო–სამეურნეო საქმიანობის მენეჯმენტი რისკების გაცნობიერებულ საფუძველს უნდა ემყარებოდეს;

– რისკის შედეგების შეფასების სრულყოფილ ეტაპს წარმოადგენს რისკების იდენტიფიკაცია, რომელიც გულისხმობს, მის მოძიებას და დეტალურ აღწერას;

– რისკებით განხორციელებული რისკული პროცესები შედეგების მიხედვით შეიძლება იყოს მისაღები და მიუღებელი.

## ლიტერატურა

1. ს. როუზენი, საჯარო ფინანსები, ტომი I, თბ., 2006;

2. ს. როუზენი, საჯარო ფინანსები, ტომი II, თბ., 2006;

3. ვ. ჩანტლაძე, ფინანსური მეცნიერების საფუძვლები, თბ., 2004;

4. რევაზ კაკულია, ლელა ბახტაძე, ამირან ჯიბუტი – საჯარო ფინანსები, თბ., 2010;

5. გიორგი ხანთაძე, გიორგი ცაავა – საჯარო ფინანსები, თბ., 2013;

6. რევაზ კაკულია, გიორგი ღავთაძე – ეკონომიკური და ფინანსური რისკების მართვა, თბ., 2012;

7. ანტონ ინგოროყვა, გიორგი ცაავა – ფინანსური მენეჯმენტი, ტომი I, თბ., 2011;

8. ანტონ ინგოროყვა, გიორგი ცაავა – ფინანსური მენეჯმენტი, ტომი II, თბ., 2011;

9. Дж. Ю. Стиглиц, Экономика государственного сектора: ИНФРФ. М., 1997;

10. Миляков Н.В. Финансы: курс лекции, М., 2007;

11.Д.И. Якобсон, Экономика общественного сектора. Основы теории государственных филиалов. М., 1996г. ;

12.ETY Mology of Kisk-Rolf Sklong February 25, 2005.

**REFERENCES**

1. S. Rozen, Public Finance, tom I, Tb., 2006; (In Georgian Language)

2. S. Rozen, Public Finance, tom II, Tb., 2006; (In Georgian Language)

3. V. Chantladze, Basics of Financial Science, Tb., 2004; (In Georgian Language)

4. Revaz Kakulia, Lela Baxtadze, Amiran Dzibuti - Public Finance, Tb., 2010; (In Georgian Language)

5. George Xantadze, George Tsaava – Public Finance, Tb., 2013; (In Georgian Language)

6. Revaz Kakulia, George Gavtadze – Economic and Financial Risk Management, Tb., 2012; (In Georgian Language)

7. Anton Ingorokva, George Tsaava – Financial Management, tom I, Tb., 2011; (In Georgian Language)

8.Anton Ingorokva, George Tsaava – Financial Management, tom II, Tb., 2011; (In Georgian Language)

9.D. Iu. Stiglits, Economy of the State sector: INFRF. M., 1997; (In Russian Language)

10.Miliakov N.V. Finance: Course of lectures, M. 2007; (In Russian Language)

11. D.I. Iakobson, Economy of Public sector. Theory basics of state branches, M., 1996 ye. (In Russian Language)

12.ETY Mology of Kisk-Rolf Sklong Februaru 25, 2005.

# THE NECESSITY AND IMPORTANCE OF RISKS IN PUBLIC ECONOMIC AND FINANCIAL ACTIVITY

**Murjikneli Lasha (Zurab)**
2nd year PhD student, Georgian Technical University

**SUMMARY**

The problems of necessity and importance of risks in public economic and financial activity are discussed in this scientific article.

In my opinion, the frequent unfavorable condition of public economic and financial activity, decrease in prices of produced goods and service, worsening of economic conditions, in the result of instability, expected losses are conditioned by the unforeseen risks in necessary situation.

The risk is making a brave step in misunderstanding, insufficient knowledge, in public economic and financial activity.

The main stages of risk management process are: analysis of risk process, evaluation of risk as a process, choosing the right risk methods and then making decisions. The pre -determination of risk can play an important role during the economic evaluation , as the high results are reached with the minimal losses.

Moreover, the subsequent stages of risk evaluation are identification, analysis of risk processes and measurement of the risk. The risk identification is the process when it is searched and described in details.

Risk analysis must be done based on studying well the influences of the identified risks in order to determine how to manage those risks. In general, the risk analysis means identification of factors which may influence the risk results.

The Risk processes implemented with risks may be acceptable and inacceptable. Risk is inacceptable when risk itself is ineffective and insignificant.

**Keywords:** Risks, identification, risk appetite, computer modeling, matrix, public-agricultural, public-finance, instability, return, management, endogenous, exogenous, objective, subjective, risk assessment.

# ეკონომიკის ზრდას საინვესტიციო რესურსების მობილიზება სჭირდება

**რუსუდან პაპასკირი**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
**ბაქარ ბერუაშვილი**
სტუ დოქტორანტი

**რეზიუმე**

ყველასათვის ცნობილია, რომ ეკონომიკის განვითარება გარკვეულ ფულად დანახარჯს საჭიროებს. ეს დანახარჯი ან ადგილობრივი, ან უცხოური ინვესტიციებით ხორციელდება. როცა ქვეყანას ადგილობრივი რესურსები არა აქვს, მაშინ იგი მთლიანად დამოკიდებულია ინვესტიციების გარე წყაროებზე.

სტატიაში აღნიშნულია, რომ, მართალია, საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის საკმარისი საკუთარი ფინანსური კაპიტალი არა აქვს, მაგრამ იგი მთლიანად მაინც არ უნდა დაეყრდნოს უცხოურ ინვესტიციებს, რადგან მას ნაკლოვანებებიც გააჩნია – უცხოელი ინვესტორები ინვესტიციებს აბანდებენ არა იქ, სადაც საქართველოს სჭირდება, არამედ იქ, სადაც მეტ მოგებას მიიღებენ.

სტატიაში ჩამოთვლილია ის გზები და საშუალებები, რომლებზეც ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს ყურადღების ფოკუსირება, რათა გაზარდოს ადგილობრივი კაპიტალი. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებად შემოთავაზებულია საფონდო ბირჟის განვითარება იმ დონემდე, რომ საქართველოს კომპანიები დაინტერესდნენ იქ ფასიანი ქაღალდების განთავსებით, ხოლო მოსახლეობა – მათი ყიდვით. ამ გზით მათ დაუგროვდებათ შემოსავალიც და გაეზრდებათ დანაზოგებიც.

**საკვანძო სიტყვები:**

ინვესტიცია, ინვესტორი, უცხოური ინვესტიცია, დანაზოგები, კაპიტალის ბაზარი, საფონდო ბირჟა.

## შესავალი

საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენილობა ინვესტიციების სიმცირით აიხსნება. ინვესტიციები ეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობაა. სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ტემპების მისაღწევად ყოველწლიურად ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა მთლიანი შიდა პროდუქტის 30%-ს უნდა შეადგენდეს [1, გვ. 67]. ასეთ დროს, დღეს არსებული მდგომარეობით, საქართველოში დანაზოგის მთლიანი მოცულობა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში შეადგენს დაახლოებით 2,5%-ს.

ინვესტიციები წარმოადგენენ გაფართოებული კვლავწარმოების პოლიტიკის განხორციელების, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის და ხარისხის გაუმჯობესების, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის, მრეწველობის აუცილებელი სანედლეულო ბაზის შექმნის, სოციალური სფეროს განვითარების, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის და უმუშევრობის პრობლემების გადაჭრის საფუძველს.

## ძირითადი ტექსტი

### 1. უცხოური ინვესტიციები საქართველოში.

ინვესტიციები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ მიკროდონეზე. ისინი აუცილებელია საწარმოთა ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ბიზნეს-სუბიექტების სტაბილური ფინანსური მდგომარეობის შესანარჩუნებლად. ინვესტიციების გარეშე შეუძლებელია გამოსაშვები საქონლისა და გაწეული მომსახურების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, აქტივების შეძენა და სხვა.

ინვესტიციები ყველა ქვეყანას სჭირდება — განვითარებულსაც და განვითარებადსაც. ის განსაკუთრებით საჭიროა საკუთარი კაპიტალის უკმარისობის შემთხვევაში. ასეთი მდგომარეობა კი მრავალ ქვეყანას და, მათ შორის, საქართველოს აქვს. კაპიტალის ნაკლებობას განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნები განიც-

დიან, სიჭარბეს კი – განვითარებული ქვეყნები. ამიტომ კაპიტალი მაღალგანვითარებული ქვეყნებიდან ჩამორჩენილ, მაგრამ განვითარების პოტენციალის მქონე ქვეყნებში მიედინება. ეს ორივე ქვეყნისთვის სასარგებლოა.

საქართველო განვითარებადი, ღარიბი ქვეყანაა. მას საკუთარი ინვესტიციები არ ჰყოფნის და ამიტომ ინვესტიციების სააგენტო აქტიურად მუშაობს ქვეყნის გარედან ინვესტიციების მოსაზიდად.

1991 წლიდან, ე. ი. დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან საქართველომ ფართოდ გაუღო კარი უცხოელ ინვესტორებს. თავდაპირველად, ქვეყანაში გამეფებული ქაოსის და შიდაომების გამო, მათი მხრიდან თავშეკავება იყო. შემდეგ, ქვეყნის თანდათანობითი დალაგების კვალდაკვალ, იწყო ინვესტიციების შემოსვლა და 2008 წლის აგვისტომდე, ანუ რუსეთ-საქართველოს ომამდე, მას ზრდის ტენდენციაც კი ჰქონდა. მაგალითად, 2006 წელს შემოვიდა 1190,4 მლნ აშშ დოლარი ანუ 2,6-ჯერ მეტი, ვიდრე 2005 წელს, ხოლო 2007 წელს - 2014,8 მლნ აშშ დოლარი, ანუ 1,7-ჯერ მეტი, ვიდრე 2006 წელს [2]. 2008 წელს შემოვიდა მხოლოდ 1564 მლნ აშშ დოლარი, 2009 წელს – კიდევ უფრო ნაკლები - 658,4 მლნ და ა. შ. (ცხრილი 1).

**ცხრილი 1**

**უცხოური ინვესტიციები საქართველოში (მლნ აშშ დოლარი)** [2 ]

| | უცხოური ინვესტიციები მლნ აშშ დოლარი | დინამიკა (%-ად) | |
|---|---|---|---|
| | | წინა წელთან | 2008 წელთან |
| 2005 | 449,8 | - | - |
| 2006 | 1190,4 | 263,1 | - |
| 2007 | 2014,8 | 175,2 | - |
| 2008 | 1564 | 77,6 | - |
| 2009 | 658,4 | 42,1 | 42,1 |
| 2010 | 814,5 | 123,7 | 52,0 |
| 2011 | 1117,2 | 137,2 | 71,4 |
| 2012 | 911,6 | 81,7 | 58,2 |
| 2013 | 914,4 | 100,3 | 58,3 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, განხილულ პერიოდში საქართველოში პრიდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი შემოდინება დაფიქსირდა 2007 წელს, როდესაც შემოვიდა 2014,8 მლნ აშშ დოლარი, ხოლო ყველაზე მცირე – 2009 წელს – 658,4 მლნ აშშ დოლარი. არც ამ ბოლო წლებშია უკეთესი მდგომარეობა. 2014-2015 წლების გასულ პერიოდში დოლარებში გამოხატულმა უცხოურმა ინევსტიციებმა იმ დოზით იკლო, რომ ეს კატასტროფულად დაეტყო ლარის კურსს დოლართან მიმართებაში. ამან გააძვირა საქონელი და ისედაც ღარიბი მოსახლეობა კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ამას დაემატა უცხოეთში დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში ფულადი გზავნილების შემცირებაც, რაც დასაქმების სირთულეებმა და იქ არსებულმა ფინანსურმა კრიზისმა გამოიწვია.

ასე რომ, ამჟამად საქართველოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით დიდი კრიზისი უდგას. მთავრობამ, კერძოდ, ეკონომიკის სამინისტრომ მიმდინარე წელს შეიმუშავა ღონისძიებათა სისტემა (მაგალითად, შეღავათიან ფასებში სახელმწიფო საკუთრების ობიექტების პრივატიზება და სხვა), რომლის გატარების შემდეგ საქართველოში საჭირო რაოდენობის ინვესტიციების შემოდინების იმედი ჩნდება. მაგრამ დადებითთან ერთად ამ საკითხს აქვს მეორე მხარეც. უცხოური ინვესტიციების მიმღები ქვეყნისთვის, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოსთვის, ეს მხარე არასახარბიელოა, მიუღებელია. მისი შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ უცხოელი ინვესტორი იმ სფეროში კი არ ახორციელებს ინვესტირებას, რომელიც საქართველოს განვითარებას ან იმპორტჩანაცვლებას სჭირდება, არამედ იგი თვითონ ირჩევს ობიექტებს და ეს ობიექტები, ძირითადად, უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობა, მიწა), სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებია (ელექტროსადგურები, წიაღისეულის საბადოები), საფინანსო სექტორი (ბანკების დაფუძნება) და ა. შ.

თუ რა დონის მსესხებელია ესა თუ ის ქვეყანა, ამას ანგარიშობენ კაპიტალის (ინვესტიცია) და დანაზოგების მთლიან შიდა პროდუქტთან პროცენტული მაჩვენებლების სხვაობით. როცა ინვესტიციები სჭარბობს დანაზოგებს, მათ შორის სხვაობით ქვეყა-

ნა მსესხებლად გვევლინება და – პირიქით. ცხრილი 2 გვიჩვენებს, რომ აშშ მსესხებელი ქვეყანაა. მისი წმინდა სესხი 3,6%-ია მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ. იაპონია პირიქით – გამსესხებელი ქვეყანაა (2,8% მთლიან შიდა პროდუქტთან). ევროკავშირიც გამსესხებელი ქვეყანაა.

**ცხრილი 2**

**საზღვარგარეთის ქვეყნების მაჩვენებლები მთლიან შიდა პროდუქტთან ინვესტიციების და დანაზოგების შეფარდებაზე (%) [3, გვ. 20]**

| ქვეყნები | ინვესტიცია | დანაზოგი | გადახრა (- წმინდა კრედიტია, + წმინდა სესხია) |
|---|---|---|---|
| აშშ | 18.8 | 15.2 | +3.6 |
| ევროკავშირი | 20.0 | 20.5 | -0.5 |
| იაპონია | 22.9 | 25.7 | -2.8 |
| განვითარებადი ქვეყნები | 26.5 | 26.9 | -0.4 |

რაც შეეხება საქართველოს, მისი მთლიანი კაპიტალი მთლიანი შიდა პროდუქტის 30,8%-ია, ხოლო დანაზოგი – 6,7%. მათ შორის სხვაობა – 24,1% არის წმინდა სესხი [1, გვ. 68], ე. ი. საქართველო მსესხებელი ქვეყანაა.

## 2. შიდა დანაზოგების დაგროვება საქართველოში

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველომ ორიენტაცია მხოლოდ უცხოურ ინვესტიციებზე კი არ უნდა აიღოს, არამედ უნდა გააძლიეროს მუშაობა იმისთვის, რომ გაიზარდოს შიდა დანაზოგებიას დაგროვება, ანუ შიდა ინვესტიცია. ამჟამად გლობალური კონკურენტუნარიანობის 2013-2014 წლების ანგარიშის მიხედვით, საქართველოს მთლიანი ეროვნული დანაზოგების კომპონენტში 98-ე ადგილი უკავია, ხოლო ადგილობრივი კაპიტალის ბაზრებზე ფინანსების ხელმისაწვდომის კომპონენტში – 126-ე ადგილი [1, გვ. 68]. რა თქმა უნდა, ეს ცუდი მაჩვენებლებია.

ინვესტიციებსა და დანაზოგებს შორის სხვაობის დასაფინანსებლად არ კმარა მხოლოდ უცხოური კაპიტალის შემოდინების წახალისება. პირიქით, მეტი აქცენტი შიდა დანაზოგების წახალისებაზე უნდა გაკეთდეს, მხედველობაში გვაქვს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დანაზოგები. სახელმწიფო დანაზოგების გაზრდის მიზნით საქართველოს ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს ფისკალური კონსოლიდაციის თანმიმდევრული პოლიტიკა. კლებადი და მდგრადი დეფიციტის უზრუნველყოფით სახელმწიფო შეძლებს დანაზოგების გაზრდას ქვეყანაში. რაც შეეხება კერძო დანაზოგებს, მათ ზრდას ხელს უშლის მოსახლეობის სიღარიბე, მაგრამ საქართველოში არის ფენა, რომელთაც ჭარბი კაპიტალი აქვთ, მაგრამ არ „ეტრფიან" ბანკებს ფულის შესანახად, რადგან დეპოზიტის პროცენტი საქართველოში ძალზე დაბალია (10-12% წელიწადში). სახელმწიფო უნდა ჩაერიოს კომერციული ბანკების საქმიანობაში და დაუწესოს დეპოზიტების პროცენტის ქვედა ზღვარი და კრედიტების პროცენტის ზედა ზღვარი. დეპოზიტის პროცენტის ქვედა ზღვარი წლიურად 18% მაინც უნდა იყოს. ასეთ შემთხვევაში არა თუ მოსახლეობის მდიდარი ფენა, არამედ საშუალო ფენაც კი შემოსავლის მიღების მიზნით, კერძო პირებზე კი არ გაასესხებს თავის დანაზოგს, არამედ განათავსებს ბანკში.

უფრო მეტად უნდა წახალისდეს გრძელი ვადით (10 და მეტი წელი) დეპოზიტის განთავსება ბანკებში. ჩვენი აზრით, მისი საპროცენტო განაკვეთი 20-22 პროცენტი უნდა იყოს წელიწადში. თუ ეს ღონისძიებები განხორციელდა, მაშინ ქვეყანაში გაიზრდება ინვესტიციების მოცულობა და შეიქმნება საფინანსო რესურსებზე ხელმისაწვდომობის გრძელვადიანი და სტაბილური ბაზა.

ადგილზე ინვესტიციების ბაზის გაფართოების კარგი წყაროა საფონდო ბაზრის (ბირჟის) განვითარება. საქმე ისაა, რომ საქართველოში ვერა და ვერ განვითარდა საფონდო ბირჟა. საქართველოში ბირჟა კი არსებობს, მაგრამ სუსტი, განუვითარებელი. იგი რომ განვითარებული იყოს და კომპანიები იქ ანთავსებდნენ ფასიან ქაღალდებს, მათ გამოუჩნდებოდათ მყიდველები, რის

შედეგადაც კომპანიებს აღარ დასჭირდებოდათ ბანკებიდან კრედიტების აღება. ამის გარდა, ამ ფასიან ქაღალდების მყიდველებსაც ამ კომპანიებიდან შემოუვიდოდათ დივიდენდი, რაც გაზრდიდა მათ დანაზოგებს.

ჩვენი აზრით, საქართველოში არსებობენ ისეთი პრესტიჟული კომპანიები, რომელთა აქციებს სიამოვნებით იყიდის მოსახლეობა. ასეთებია: „ნატახტარი", მარნეულის კომბინატი, „ზედაზენი", „ყაზბეგი", „კოკა-კოლა", „კუმისი XXI საუკუნე", „კულა" და სხვები. საქართველოს საფონდო ბირჟაზე გამართულ ვაჭრობებში მათ თავშეკავებას ვხსნით შემდეგი მიზეზით:

1. ბირჟისგან სარგებლობის ინფორმაციის დეფიციტი (გაუთვითცნობიერება);
2. ბირჟაზე შესვლის ბარიერების სირთულე;
3. გარიგებების მაღალი ღირებულება საბანკო გარიგებებთან შედარებით.
4. 90-იან წლებში საქართველოში ჩამოყალიბებული მსგავსი ბირჟების – კავკასიის ბირჟა, თბილისის ბირჟა და სხვები – მუშაობის ცუდი ისტორიული გამოცდილება.

ეს პრობლემები თავისით დროულად ვერ მოიხსნება, თუ სახელმწიფო მასში აქტიურად არ ჩაერევა. ასე რომ, ჩვენ ვაყენებთ წინადადებას, საქართველოს საფონდო ბირჟა არ იყოს მხოლოდ თვითრეგულირებადი სტრუქტურა. მას ამ ეტაპზე სახელმწიფო უნდა არეგულირებდეს. სახელმწიფომ უნდა გაამარტივოს ბირჟაზე შესვლის ბარიერები, სახელმწიფომ უნდა გააუმჯობესოს ფინანსური განათლება ქვეყანაში, აამაღლოს მათი ინფორმირებულობა როგორც ფასიანი ქაღალდების თავისებურებების, ისე აქციონერთა უფლებების შესახებ.

ამის გარდა, მიგვაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა ჩამოაყალიბოს საფონდო ვაჭრობის მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანო (როგორც აქვთ კომერციულ ბანკებს, ენერგეტიკას და სხვებს), რომელიც დაიცავს ბაზარს სპეკულაციური გარიგებებისგან. აქვე გვინდა დავამატოთ ამ საქმეში რეკლამის დიდი როლი. საქართველოს მოსახლეობა ფაქტიურად არ იცნობს ამ სტრუქტურას და მისგან მისაღებ პოტენციალურ

სიკეთეს. რეკლამა ძვირადღირებული სიამოვნებაა. როგორც ჩანს, თვით საფონდო ბირჟა, რომელიც ქ. თბილისში ფუნქციონირებს, ასეთ ხარჯებს ვერ ეწევა. ჩვენი აზრით, რადგან ეს საქვეყნო საქმეა, რეკლამის ხარჯები სახელმწიფომ უნდა აიღოს თავის თავზე. ეს არ იქნება ხანგრძლივვადიანი, როცა მოსახლეობაც და კომპანიებიც გაიგებენ საფონდო ვაჭრობის სიკეთეს, ისინი ჩაერთვებიან მასში და რეკლამაც აღარ იქნება საჭირო.

სარწმუნო წყაროს ცნობით, „ახალი, მდიდარი ქართველები“ საზღვარგარეთის საფონდო ბირჟებზე (ნიუ-იორკის, ლონდონის, ტოკიოს და სხვების) ვაჭრობენ, ანუ აბანდებენ ფულს ემიტენტი-ფირმების აქციებში იმ იმედით, რომ მათი კურსი აიწევს და მოგებას მიიღებენ. მტკიცედ გვჯერა, რომ ეს პიროვნებები სამამულო საფონდო ბირჟაზე თამაშისგანაც არ შეიკავებენ თავს თუ ბირჟა იქნება სანდო, ჯანსაღი გარიგებების და სტაბილური მომავლის მქონე. ამის გარანტი მხოლოდ სახელმწიფო უნდა იყოს. საქართველოს მოსახლეობამ იმდენი სიმწარე ნახა 90-იან წლებში შექმნილი ბირჟებისაგან, რომ იგი ამ საქმეში კერძო პირებს არ ენდობა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის მეშვეობით ფინანსებზე წვდომის მდგომარეობით საქართველო დღეს მსოფლიოში 126-ე ადგილზეა. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში – „საქართველო – 2020“ გათვალისწინებულია 2020 წლისთვის მისი 75-ე ადგილზე გადანაცვლება [1, გვ. 80]. ამაში, კომერციული ბანკების გარდა, დიდი როლი, იქნებ – უპირატესიც კი, საქართველოს საფონდო ბირჟამ უნდა შეასრულოს.

ვიმეორებთ, ეს მოხდება მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების აქტიურობით და ძალისხმევით.

## დასკვნა

ამრიგად, სტატიაში განხილულმა ინვესტიციური რესურსების მობილიზების საკითხმა საშუალება მოგვცა, გაგვეკეთებინა დასკვნა იმის შესახებ, რომ საქართველოს საჭირო ტემპით ეკო-

ნომიკური ზრდისთვის არა აქვს სათანადო რესურსები, კერძოდ, ინვესტიციები – უცხოური ინვესტიციების შემოდინებამ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მნიშვნელოვნად იკლო და დღესაც გრძელდება. ადგილობრივი ინვესტიციები კი ქვეყანას საკმარისი მოცულობით არც მანამდე ჰქონდა.

## ლიტერატურა:

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო – 2020, თბ., 2013.

2. www.Geostat.ge სტატისტიკური ინფორმაცია საგარეო ვაჭრობა და პირდაპირი ინვესტიციები.

3. ურუშაძე გ., უცხოური ინვესტიციები და საქართველოს ეკონომიკის განვითარების გზები, თბ., 2015.

## REFERENCES:

1. Socio-economic development strategy of Georgia – Georgia 2020, Tbilisi 2013. (In Georgian Language).

2.www.Geostat.ge statistic information foreign trade and direct investments. (In Georgian Language).

3.Urushadze G., Foreign investments and the ways of developing economy of Georgia, Tbilisi, 2012 (In Georgian Language).

# ECONOMY INCREASE NEEDS MOBILIZATION OF INVESTMENT RESOURCES

**Rusudan Papaskiri**
Sukhumi State University Associated Professor
**Bakar Beruashvili**
Undergraduate of Doctoral degree at Georgian Technical University

## RESUME

Everyone knows that development of economy from certain point of view needs certain expenditures.

These expenditures are made through local or foreign investments, when country has no local resources then it is entirely depended on external sources of investments.

The article shows that though Georgia has no own financial funds enough for stable development of economy but it has to rely upon foreign investments as well, because it has some gaps – foreign investors invest where Georgia does not need to have investments there but where they gain more.

Article shows those ways and means Government has to focus on for increasing local capital. One of such events is offered in the form of development of stock exchange market up to that level that Georgian companies become interested in placing securities so that population get chance to purchase them. Through this way will accumulate income and savings.

**Keywords:** Investment, Investor, Foreign Investment, Savings, Capital markets, Stock Exchange Market.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ – ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ

**რამაზ გახოკიძე,**
თსუ პროფესორი

**პაატა კოღუაშვილი,**
სტუ პროფესორი

## ᲠᲔᲖᲘᲣᲛᲔ

ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ კოლხეთი ეწეოდა რკინისა და ოქროს ექსპორტს. კოლხეთში ცნობილი ყოფილა აგრეთვე მრავალი ბუნებრივი ნედლეული. ანტიკურ ეპოქის მწერალ სტრაბონის ცნობით, კოლხეთში "მრავლად ამუშავებენ სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს". ანტიკური ხანის კოლხეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სელის ექსპორტსაც. სათანადო არგუმენტებით დასაბუთებულია, რომ კოლხეთში დიდი რაოდენობით მზადდებოდა აგრეთვე სელის ზეთი, რომელსაც სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა. კოლხეთი მთელ ანტიკურ სამყაროში ცნობილი იყო სამკურნალ წამლების დამზადების მხრივაც. ამაზე მეტყველებს ლეგენდა კოლხთა მეფის აიეტის ასულ მედეაზე, როგორც ჯადოსნურ წამალთა დამზადების დიდოსტატზე.

## ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚᲘ

უძველესი დროიდან იწყება ქართველი ერის ისტორია. დადგენილია, რომ ქართველი ტომები დასაბამიდან მოსახლეობდნენ დღევანდელ საქართველოს მიწაწყალზე, სადაც ათასეული წლების განმავლობაში მიმდინარეობდა მათი სოციალურ-ეკო-

ნომიკური და კულტურული განვითარების ხანგრძლივი და რთული პროცესი. საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი მრავალრიცხოვანი ძეგლების შესწავლამ ცხადყო, რომ ქართველი ხალხის წინაპრებმა თანმიმდევრულად გაიარეს ტექნიკის განვითარების ყველა ისტორიული საფეხური. პალეოლითს მოჰყვა ნეოლითი, მას ენეოლითი, შემდეგ ბრინჯაოს ადრინდელი, საშუალო და გვიანი პერიოდები, შემდგომ რკინის დამუშავება და სხვ. კულტურის ასეთი მიმდევრობა და განუწყვეტლობა ამ ტერიტორიაზე იმის მაუწყებელია, რომ აქ ყოველთვის ერთი და იგივე ტომი ცხოვრობდა და რომ მათი კულტურა უძველესი დროიდან თვითმყოფადია.

**საკვანძო სიტყვები**: მეტალურგიული კულტურა, ნეოლითური კულტურის ძეგლები, ბრინჯაოს ხანა, ოქროს მიღების ხერხი.

## ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ

აღსანიშნავია, რომ დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია პალეოლითის – ძველი ქვის ხანის – ერთ-ერთი ადრეული ეპოქის – აშელის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ძეგლი. საქართველოში აღმოჩენილია აშელური პერიოდის დამუშავებული კაჟის იარაღები, რაც აქაური დასახლების უდიდეს გეოლოგიურ სიძველეზე მიუთითებს.

ნეოლითური კულტურის ძეგლები მრავლადაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოში (მრავალფეროვანი სამიწათმოქმედო იარაღები, კერამიკა), რაც მიწათმოქმედების განვითარებაზე მიუთითებს.

ტექნიკური პროგრესის მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა მეთუნეობა. თიხის გამოწვის გამოგონებამ ადამიანს საშუალება მისცა, საკვები კერძი დაემზადებინა და შეენახა. საყურადღებოა, რომ მეთუნეობას უკვე ძვ.წ. VI ათასწლეულში იცნობენ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომები. მეთუნეობა მოითხოვს მასალათა, კერძოდ, თიხის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების ცოდნას. საქართველოს ტერიტორიაზე (კახეთი, ქართლი, იმერეთი, ძვ. წ. III ათასწეული) ნაპოვნი კერამიკული საგნები მიგვითითებს იმაზე, რომ ქართველი ხალხის წინაპრე-

ბმა შორეულ წარსულში დაიწყეს ფიზიკურ-ქიმიური პროცესების გამოყენება.

არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით ენეოლითის – სპილენძის და მისი დამუშავების – პერიოდის დასაწყისს საქართველოს ტერიტორიაზე მიაკუთვნებენ ძვ. წ. V-IV ათასწლეულებს. ამას ადასტურებს დღევანდელი აფხაზეთის და, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მონაპოვრები.

საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი სპილენძის საგნები თავისუფალი ჭედვით არის დამუშავებული. როგორც ვხედავთ, ადამიანმა შეიცნო სპილენძის პლასტიკური თვისებები, პლასტიკური დეფორმაცია და დაიწყო მისი გამოყენება – ცივი დამუშავება.

ნივთიერების (კერძოდ, სპილენძის) ფიზიკური თვისებების შეცნობა (დეფორმაციის, სირბილის) და მათი პრაქტიკული გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს ფიზიკურ ცოდნათა ელემენტების ჩასახვად ძველ ქართველ ხალხში.

საქართველო ითვლება მეტალურგიული კულტურის უძველეს კერად. საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა მნიშვნელოვნად გაამდიდრა ფაქტიური მასალა და ახალი თვალსაზრისით გააშუქა მეტალურგიის წარმოშობის საკითხი. საჩხერის და აფხაზეთის არქეოლოგიური მონაპოვრები ეკუთვნის მეტალურგიული კულტურის ადრეულ პერიოდს – ენეოლითს. უდავოა საქართველოში ლითონის კულტურის ხანგრძლივი პერიოდის არსებობა, რომლის დასაწყისი უნდა მიეწეროს ძვ. წ. IV-III ათასწლეულებს. არქეოლოგიურმა გათხრებმა თრიალეთში მთლიანად დაადასტურა ამ დებულების სისწორე.

ბრინჯაოს ხანის ადრინდელი პერიოდის არქეოლოგიური მონაპოვრები (ძვ. წ. III ათასწლეული - საჩხერე, ქართლი, აფხაზეთი) თვალსაჩინოდ მოწმობს ძველ საქართველოში ლითონის დამუშავების მაღალ დონესა და მეტალურგიის დაწინაურებას საერთოდ. ადრინდელი ბრინჯაო სპილენძის გარდა შეიცავდა მცირე რაოდენობით სტიბიუმს, ტყვიას, კალას, დარიშხანს. ამ დროს გამოიყენებოდა არა თვითმყოფადი, არამედ ლითონის ჟანგეულებიდან აღდგენილი სპილენძი, ე.ი. ძველი ქართველი ხალხი უკვე კარგად იცნობდა სითბურ პროცესებს, ფლობდა ბუნებრივი მად-

ნებისგან ლითონის გამოდნობის ხელოვნებას.

საქართველოში ადრინდელი ბრინჯაოს დამუშავებას ხელი შეუწყო ამ ტერიტორიაზე სპილენძის მადნების არსებობამ. ამ პერიოდში უკვე ხდება ლითონის ჭედვა ცხელ მდგომარეობაში.

ბრინჯაოს საშუალო პერიოდში ანუ თრიალეთის კულტურის პერიოდში (ძვ.წ. II ნახევარი) გაუმჯობესდა ტექნოლოგია, გაიზარდა შენადნობში კალის რაოდენობა 14%-მდე, სტიბიუმის – 24%-მდე (სამაჩაბლოს ხანჯლები), დარიშხანის – 19%-მდე (აფხაზური სამკაულები).

გვიანდელი ბრინჯაოს პერიოდის, ე.ი. კოლხიდის კულტურის პერიოდის დასაწყისის (ძვ.წ. I ათასწლეულის I ს) არქეოლოგიურ მონაპოვრებში (აფხაზეთი, რაჭა, მცხეთა) კალის რაოდენობა გაზრდილია 23%-მდე.

ქიმიის თვალსაზრისით, ბრინჯაოს პერიოდში საყურადღებოა მინარევების პროპორცია ბრინჯაოს თვისებების გაუმჯობესებისათვის. ამ დროს დადგინდა მინარევთა (კალა, სტიბიუმი, ტყვია) გარკვეული პროპორციები, შემუშავდა თავისებური რეცეპტი და რეჟიმი შენანდობის მისაღებად.

საყოველთაოდ ცნობილია ქართველი ტომების როლი მეტალურგიული კულტურის განვითარებაში და, კერძოდ, რკინის დამუშავების საქმეში. რკინის დამუშავებას საქართველოში ხელი შეუწყო ახლანდელი საქართველოს ტერიტორიაზე რკინის მადნების არსებობამ.

ძველ ქართველ ტომებში რკინის დამუშავება გამოწვეული იყო იმით, რომ რკინის იარაღები წარმატებით გამოიყენებოდა სოფლის მეურნეობაში და რკინისგან დამზადებული იარაღები აძლიერებდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას.

სამწუხაროდ, ზოგიერთ უცხოურ ლიტერატურაში უძველეს სახელმწიფოებს შორის, სადაც განვითარდა ლითონთა დამუშავების ტექნიკა, საქართველო არ იხსენიება. ცნობილი რუსი ქიმიის ისტორიკოსი ნ.ფიგუროვსკი აღნიშნავს: „ფოლადის წარმოების სამშობლოდ, როგორც ჩანს, უნდა ჩაითვალოს თანამედროვე სომხეთის ტერიტორია, სადაც უძველესი დროიდან რკინას ადნობდნენ მადნიდან. ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახ-

ლოებით 1000 წელს ამ რაიონში დასახლდნენ ხალიბები, რომლებმაც დაიპყრეს სომხები. მათ მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს რკინის და ფოლადის წარმოება". ავტორი, თავის მხრივ, ეყრდნობა მულთჰაუფის და ატჩისონის წიგნებს, რომელთა თანახმად, მეტალურგიული ტექნიკა წარმოიშვა თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე.

ჩვენი აზრით, აქ ორი სახის პრინციპულ უზუსტობას აქვს ადგილი.

ჯერ ერთი, საქართველოს არქეოლოგია და მისი უძველესი ხელოვნება არის უძველესი ხანის კავკასიის ხელოვნებისა და არქეოლოგიის უძველესი დარგი. ამას მოწმობს ისიც, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური ძიების შედეგად მოპოვებული მასალა და შემთხვევით ნაპოვნი ნივთები მეტად ენათესავება ამიერკავკასიის სხვა რაიონებში მოპოვებულ სიძველეებს.

მეორეც, ვინ არიან ხალიბები, რომლებმაც ნ.ფიგუროვსკის თანახმად, თითქოს სომხების დაპყრობის შემდგომ განავითარეს სომხეთის ტერიტორიაზე არსებული რკინისა და ფოლადის წარმოება? (ადრე კი თითქოს არ იცნობდნენ). გადავხედოთ ისტორიას. ესქილე, ქსენოფონტე, აპოლონ როდოსელი, ფსევდო არისტოტელე, სტრაბონი, ამიანე მარცელინი და სხვ. რკინას თვლიდნენ ქართველთა ტომის – ხალიბების ნაწარმოებად. როგორც ჩანს, ბერძნებმა მათგან გადაიღეს მაღალხარისხოვანი რკინის დამზადების ხერხი. ძველი ბერძნები ფოლადს უწოდებდნენ ხალიპსს – ქართველი ტომის სახელს. ჰეროდოტეს გადმოცემით, არგონავტების მითში აღწერილია ხალიბების საქმიანობა: "ისინი არ ხნავენ მიწას, არ რგავენ ნაყოფმსხმოიარე ხეებს, არ მწყემსავენ ფარებს მდელოებზე; ისინი მოიპოვებენ მადანსა და რკინას დაუმუშავებელი მიწისგან და ცვლიან საკვებზე. მათი დღე იწყება მძიმე შრომაში, ღამის წყვდიადში და სქელ კვამლში ატარებენ მთელ დღეს შრომაში". არისტოტელე ახსენებს ხალიბების მიერ ფოლადის მიღების ხერხს: ისინი რამდენჯერმე რეცხავდნენ მათი მდინარის ქვიშას (ამ პროცესს ამჟამად ფლოტაციას უწოდებენ), გამოყოფდნენ მადნიდან რკინის შემცველ ფრაქციას, უმატებდნენ რაღაც ცეცხლგამძლე ნივთიერებას და ალღობდნენ ღუმელ-

ში. ამ დროს მიიღებოდა მოვერცხლისფრო უჟანგავი მეტალი. ნედლეულად იყენებდნენ მაგნეტიტურ ქვიშას (რომელიც ახლაც გავრცელებულია ქ. ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე – მალთაყვაში, მაგნეტიტში, გრიგოლეთში, ნატანებში და სხვ.). ამგვარად, ხალიბებმა საფუძველი ჩაუყარეს მეტალურგიის განვითარებას.

უძველეს დროს რკინა ოქროზე ძვირად ფასობდა. სტრაბონის აღწერით, აფრიკელ ტომებს ერთ ფუნტ რკინაში აძლევდნენ ათ ფუნტ ოქროს. განსაკუთრებით ფართო გამოყენება რკინის ნაწარმმა ტროას ომის შემდეგ ჰპოვა და ბრინჯაოს ხანა შეცვალა რკინის ხანამ. ფართოდ გამოიყენებოდა რკინის ხმლები, შუბები, ნაჯახები და ლურსმნები. ჰომეროსის გადმოცემით, რკინის მადანს და ხის ნახშირს ერთად ახურებდნენ სპეციალურ ღუმელებში, რაც საფუძვლად უდევს თუჯის და ფოლადის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს.

ცნობილია, რომ მეტალთა სახელწოდებები ლითონთა დამუშავებით განთქმული ტომების და ადგილთა სახელებთანაა დაკავშირებული. ასე მაგალითად, ევროპაში სპილენძის მეტად გავრცელებული სახელწოდება დაკავშირებულია კუნძულ კვიპროსის სახელთან. “კალა” მრავალ სხვადასხვა ენაში (მათ შორის ქართულშიც) ქალაქ კალას სახელიდანაა ნაწარმოები. შუა საუკუნეებში ქართულში ფოლადის აღმნიშვნელი სიტყვა “ბასრი” ცნობილ ქალაქ ბასრას სახელიდანაა ნაწარმოები. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით “ფოლადი სხვათა ენაა, ქართულად ბასრი ჰქვან”.

ნ. მარის აზრით, ქართული ტერმინი რკინა ან კინა, წარმოადგენს ლაზებისა და ჭანების ტომობრივ სახელწოდებას, რაც აგრეთვე დასტურდება ბიბლიური ტომობრივი სახელწოდებით “თუბალკაინი”, რომელიც “იყო კვერით ხუროი მჭედლი რვალისა და რკინისა” (დაბადება, IV, 22).

რკინას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული მოდგმის ტომების მატერიალური კულტურის ისტორიაში და, განსაკუთრებით, კოსმიურ წარმოდგენათა ჩამოყალიბების სფეროში. ლაზებისა და ჭანების ენობრივი მასალების მიხედვით ქართული ტერმინი “რკინა” (ლაზური – რკინა, კინა, ჭანური – ერკინა) ნიშ-

ნავს ცას, სამშაბათს ჭანურ ენაზე ეწოდება ცის დღე (ერკინ-აშხა). რკინას ძველ სომხურად ეწოდება ერკატი (“ციდან ჩამოვარდნილი”), ხოლო ცის სომხური სახელწოდება “ერკინ” ემთხვევა ზემომოყვანილ ენობრივ მონაცემებს.

კაცობრიობის კულტურის ისტორიამ იცის კოსმოგონიის ის სისტემა, რომელიც გომოიმუშავა მესაპოტამიის სამხრეთ ნაწილის უძველესმა მოსახლეობამ – შუმერებმა და ასურელ-ბაბილონელებმა. იგი გენეტიკურად უკავშირდება “დაბადების” მოძღვრებას სამყაროს წარმოშობის შესახებ.

წარმოდგენა სამყაროს წარმოშობის შესახებ ქართველ ტომებს სხვა პირობებში შეუქმნიათ. ქართველი ტომებისთვის ლითონების, განსაკუთრებით, რკინის დამუშავება სამეურნეო ცხოვრების საფუძველს შეადგენდა: ამ ტომების რელიგიურ-მაგიური წესების შესწავლა, რომლებიც დაკავშირებულია სამჭედლო საქმესთან, გვიჩვენებს, რომ, თანახმად უძველესი ხანის მეტალურგების რწმენისა, სამყარო შექმნილი იყო იმ უზენაესი ღვთაების მიერ, რომელმაც რკინის კვერით გამოჭედა რკინის ზეცა. მისი ატრიბუტები უნდა იყოს სამჭედლო კვერი და მეხი, რომელიც, ხალხური წარმოდგენით, გავარვარებული რკინის ლახვარია. უნებლიეთ გვაგონდება ცისა და სინათლის, ქუხილისა და ელვის, გამანაყოფიერებელი წვიმის მცირე აზიის ღვთაება თეშუბ-თეშუფი, რომელიც წარმოადგენს ბუნების სტიქიური ძალების განსახიერებას და მაღალი მთების მწვერვალებზე ბინადრობს. ამ ღვთაებას მესოპოტამიის პანთეონში შეესაბამება ადადი; მისი კულტი შუამდინარეთში შეიჭრა დასავლეთიდან, ე.ი. იმ ქვეყნიდან, რომელიც უძველესი დროიდან ხეთებს ეკუთვნოდა. თეშუბ-თეშუფი ხშირად კლდის მწვერვალზე შემომდგარი გამოისახება.

არქეოლოგიური გათხრების დროს ბაბილონში აღმოჩენილ იყო თუშუბის რელიგიური ფიგურა, რომელიც, უდავოა, ჩამოტანილია ბაბილონების მიერ მცირე აზიიდან სამხედრო ნადავლის სახით. ახლა ეს ქანდაკება ინახება ბრიტანეთის მუზეუმში (ლონდონი). ღვთაება წარმოდგენილია პროფილში, მარცხენა ხელში მას უპყრია ბოძალი, რომელიც მეხს გამოხატავს, მარჯვენაში –

კვერი. თავზე მაღალი, ორმაგი მუზარადი ხურავს, წელზე აქვს ზემოაღწერილი სარტყელების მსგავსი ფართო სარტყელი და მოკლე მახვილი; ფეხებზე აცვია ე.წ. ხეთური ტიპის ფეხსაცმელი. ამ ღვთაების ატრიბუტები ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ მისი კულტი წარმოიშვა მთიან ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის მთავარ საქმიანობას შეადგენდა მადნის ამოღება-გამოდნობა და აგრეთვე მეტალის იარალისა და სამკაულების დამზადება. თეშუბ-თეშუფის კულტი ალბათ გავრცელებული იყო ქართველ ტომებში. ჩერქეზები რკინისა და იარაღების მფარველ ღვთაებას უწოდებენ ტლებშ, რაც ფონეტიკურად ენათესავება სიტყვას თეშუბ-თეშუფი.

აფხაზურ ენაზე სამჭედლოს ეწოდება – აჟრა, მჭედელს – აჟრუ, სიტყვა აჟან კი ნიშნავს ცას. ამ მაგალითზე ნათლად ჩანს ის მჭიდრო კავშირი, რომელიც ქართველი ტომებისა და მათი მონათესავე ტომის წარმოდგენაში არსებობდა რკინისა და ცის ცნებათა შორის.

როგორც ცნობილია, ძვ.წ. VI საუკუნისათვის დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბდება ძლიერი სახელმწიფოებრივი ერთეული, მთელ ანტიკურ სამყაროში ფართოდ ცნობილი კოლხეთის სამეფო. მისი საზღვრები იყო “დიოსკურიიდან ანუ სებასტოპოლისიდან მოკიდებული, ვიდრე აფსაროსამდე”, სადაც “ცხოვრობდა ხალხი, რომელიც კოლხებად იწოდებოდა, ხოლ შემდეგ ლაზებად” (ახ. წ. V საუკუნის ანონიმი ბერძენი გეოგრაფოსის ცნობა). კოლხეთის, როგორც ძლიერი სახელმწიფოს, შესახებ მოწმობს ახ. წ. VI ს. ბიზანტიელი მწერლის აგათის ცნობა: “ლაზები მრავალრიცხოვანი და მეომარი ხალხია. ისინი ბატონობენ სხვა მრავალ ტომზე. ლაზები ამაყობენ კოლხეთის ძველი სახელით და ზომაზე მეტად მოაქვთ თავი, შესაძლოა, არც თუ ისე უსაფუძვლოდ”.

უკანასკნელ წლებში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ გამოავლინა ძვ. წ. VI-IV სს. უმდიდრესი მასალა ნივთიერი კულტურის ისეთი დარგების დასახასიათებლად, როგორებიცაა კერამიკული წარმოება, რკინის დამუშავება და ოქრომჭედლობა. ბერძენი მწერლები მოგვითხრობენ კოლხეთში ოქროს მოპოვებისა და და-

მუშავების შესახებ და მას ოქროს საწმისის შესახებ ლეგენდას უკავშირებენ. სტრაბონის ცნობით, "კოლხეთში მდინარეებს ჩამოაქვთ ოქრო, რასაც ბარბაროსები დახვრეტილი ვარცლებითა და ტყავებით აგროვებენ. აქედან მომდინარეობს მითი ოქროს საწმისიან ტყავზე", ხოლო ახ. წ. II ს. მწერლის იპიანეს ცნობით, "კავკასიონიდან გამომდინარე მრავალ ნაკადულს ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. ადგილობრივი მცხოვრებლები მდინარეში სქელმატყლიანი ცხვრის ტყავებს დებენ და აგროვებენ ქვიშას, რომელიც ამ ტყავზე რჩება. ალბათ, ამგვარივე იყო აიეტის ოქროს საწმისიც".

ოქროს მოპოვების ზემოაღწერილი წესი თითქმის უკანასკნელ დრომდე შემონახული იყო სვანეთში, ე.ი. ისტორიული კოლხეთის მთიან რაიონებში. ოქროს მოპოვებას სვანები ცხვრის ტყავის დახმარებით ახერხებდნენ. ფიცარზე გაჭიმულსა თუ სხვაგვარი ხერხით გაშლილ ცხვრის ტყავს სათანადოდ დაამაგრებდნენ, რომ წყალს არ მოეტაცა, ტყავის ბეწვიანი მხარე ზემოთ ყოფილიყო მოქცეული. ბეწვი ოქროს დაიჭერდა და წყალი კი გაივლიდა. სველი ტყავი ოქროს კენჭებს მიიწებებდა; რადგან ოქრო უფრო მძიმეა, ვიდრე სილა, ამიტომ ქვიშა ზევით რჩება და ოქრო ძირს ჩადის. განსაზღვრული დროის შემდეგ ტყავს ამოიღებდნენ, გასაშრობად გაშლიდნენ. გაშრალ ტყავს დაბერტყავდნენ და "ოქროს კენჭებს" გადმოჰყრიდნენ.

ძნელია მოიძებნოს სხვა უფრო მჭევრმეტყველი დადასტურება კოლხეთის შესახებ ძველ ბერძენ მწერალთა ცნობებისა, რომლებიც ცდილობდნენ აეხსნათ ოქროს საწმისის შესახებ მითის წარმოშობა.

ახ. წ. II-III საუკუნეების მწერლის ხარაკს პერგამონელის მტკიცებით, "ოქროს საწმისი არის ეტრატებზე აღნუსხული ხერხი ოქროდამწერლობისა, რომლის გამოც, როგორც ღირსსარწმუნოა, მოეწყო "არგოს" ლაშქრობა, ხოლო სტრაბონი ირწმუნებოდა: "აქაური ქვეყნის (კოლხეთის) სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლით, რკინითა და სპილენძით გვიხსნის ლაშქრობის სწორ საბაბს".

ბერძნულ-ანტიკურ ლიტერატურაში კოლხეთი მოიხსენიება ოქროთი მდიდარ ("ოქრომრავალ") ქვეყნად. ეს შემდგომში დადა-

სტურდა არქეოლოგიური აღმოჩენებითაც (ვანის ნაქალაქარი).

უდავოა, რომ კოლხეთი მდიდარი ყოფილა ოქროს საბადოებით. შეიძლება დამტკიცებულად ჩავთვალოთ ისიც, რომ ოქროს დამუშავება ხდებოდა ადგილობრივად. ასე მაგალითად, ვანში ნაპოვნი ძვ. წ. V-VI სს. კოლხეთში გავრცელებული ე.წ. ბურთულებიანი ოქროს საყურეები და სასაფეთქლე რგოლები დამახასიათებელია მხოლოდ კოლხეთისათვის და არ გვხვდება ძველი საქართველოს ფარგლებს გარეთ.

1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილი წერდა: “ოქროს ნივთები, რომელნიც აქ იპოვებიან, ჩვენის აზრით, უმეტეს შემთხვევაში შორიდან მოტანილნი არ არიან, არამედ აქ ნაკეთები. არც მათი საკეთებელი ოქროა შორიდან მოტანილი. ძველი ვანის ნიადაგს ყოველგან ემჩნევა ოქროს სილა, მეტადრე ღელე საქვაბიაში, რომელიც ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით უვლის გორაკს. ხშირად აქ კარგა მოზრდილი მარცვლებიც შეგხვდებათ ოქროსი. ქალები და ბავშვები ზოგჯერ თითო მისხალსაც აგროვებენ აქ ოქროს სილას. თუ თქვენ ღელე საქვაბიის ნაწილს აყვებით, ქარხნების ნაშთებიდან, გვირაბებიდან, ქვებიდან და ზოგჯერ ნაპოვნ ტყვიის დაურჯაკებიდან ადვილად დარწმუნდებით, რომ ამ ღელეში ოქროს სილა უცრიათ და ურეცხიათ”.

ახლა უახლოესი აღმოჩენების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძვ. წ. V-IV სს. კოლხეთში არსებობდა პროფესიონალ ხელოსანთა ძლიერი სკოლა, რომელიც ურთულესი ტექნიკური ხერხების გამოყენებით (კვერვა-ჭედვა, რჩილვა, გავარსი, ტვიფრვა) საუკუნეების მანძილზე ქმნიდა მხატვრული ოქრომჭედლობის უბრწყინვალეს ნიმუშებს”.

არის მოსაზრება, რომ კოლხეთი ეწეოდა რკინისა და ოქროს ექსპორტს. კოლხეთში ცნობილი ყოფილა აგრეთვე მრავალი ბუნებრივი ნედლეული. ანტიკურ ეპოქის მწერალ სტრაბონის ცნობით, კოლხეთში “მრავლად ამუშავებენ სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს”. ანტიკური ხანის კოლხეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სელის ექსპორტსაც

კოლხეთში დიდი რაოდენობით მზადდებოდა აგრეთვე სელის ზეთი, რომელსაც სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა. აქვე უნდა

აღინიშნოს, რომ კოლხეთი მთელ ანტიკურ სამყაროში ცნობილი იყო სამკურნალ წამლების დამზადების მხრივაც. ამაზე მეტყველებს ლეგენდა კოლხთა მეფის აიეტის ასულ მედეაზე, როგორც ჯადოსნურ წამალთა დამზადების დიდოსტატზე.

ქართველი და გერმანელი მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემებით ბოლნისში, სოფელ კაზრეთთან, საყდრისის მთის ფერდობებზე აღმოჩენილი ოქროს უნიკალური მაღარო უძველესია მსოფლიოში. იგი ძველი წელთაღრიცხვით IV ათასწლეულით არის დათარიღებული და 5400 წლისაა. იქვე აღმოჩნდა ხის ნახშირი ნამარხებში, რომლის ასაკი ასევე აღმოჩნდა IV ათასწლეული ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ასეთი უნიკალური ექსპონატები ეგვიპტეშიც კი არ არის აღმოჩენილი. ბოლნისის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი ფლობდა მიწის ქვეშ არსებული ოქროს ადგილმდებარეობის მიკვლევისა და მოპოვების ურთულეს ტექნოლოგიებს, მაშინ როდესაც ეგვიპტელები ოქროს მდინარე ნილოსში რეცხვის გზით მოიპოვებდნენ. ასეთი ტექნოლოგია აფრიკაში 500 წლის შემდეგ გახდა ცნობილი, ხოლო საბერძნეთში – 1000 წლის შემდეგ.

ახლახან ფრანგმა ფიზიკოსებმა საყდრისის ოქროს და ბრინჯაოს ხანის (3500-4500წწ) 25 ოქროს ნაკეთობა საქართველოს მუზეუმიდან შეადარეს მეზობელი ქვეყნების ნიმუშებს ოქროს მიკროელემენტური შედგენილობით. ამისთვის ახდენდნენ ნაკეთობის ზედაპირიდან უწვრილესი ფენის აორთქლებას ლაზერით და ამოფრქვეულ იონებს ატარებდნენ მას-სპექტრომეტრში. ტყვიის, ოსმიუმის და სტიბიუმის შემცველობა დაემთხვა ქართულ ოქროს. არის ეჭვი, რომ ოქროს ნაკეთობანი მიკენის ზოგიერთ ნამარხში საბერძნეთის ტერიტორიაზე (3400 წლის წინათ) მოხვდა საქართველოდან. მაგრამ ამის დასადასტურებლად საჭიროა შემდგომი ანალიზები. დღესაც აღფრთოვანებას იწვევს ძველ ოსტატთა ხელოვნება, რომლებიც სრულყოფილად ფლობდნენ ლითონთა მიღებისა და დამუშავების ტექნიკას. ისტორიული თრიალეთის ტერიტორიაზე (ქვემო ქართლი) აღმოჩენილია მაღალი ხელოვნებით შესრულებული ოქროს თასი (ძვ. წ. აღ. XIX-XVIII სს.), მაშინ როცა ეგვიპტის ფარაონ ტუტანხამონის სარკოფაგი მიე-

კუთვნება ძვ. წ. აღ. XIV საუკუნეს.

როგორც ცნობილია, ქიმია ერთ-ერთი უძველესი მეცნიერებაა. მან ათასწლეულების განმავლობაში უდიდესი გავლენა იქონია ცივილიზაციის განვითარებაზე. IV საუკენეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე აზიის ქვეყნებში შეიქმნა ალქიმია – თანამედროვე ქიმიის წინაპარი. VII საუკუნეში ჩვენს ერაში ალქიმიამ ევროპაში შემოაღწია. არსებითი ბიძგი ქიმიის განვითარებას მისცა მეტალურგიისა და მედიცინის მიღწევებმა XVI საუკუნეში. XVI საუკუნის მიწურულს ქიმია ზუსტი მეცნიერება ხდება. როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ქიმიური ცოდნის ჩასახვა მოხდა უძველეს დროში, რამდენიმე ათასი წლის წინ ძველ საქართველოში, მაშინ როცა ალქიმიის ხსენებაც კი არ იყო. Aარის მოსაზრება, რომ ძველ საქართველოში ლითონის დამუშავების ხელოვნება ეფუძნებოდა ცოდნის სპეციალურ სისტემას, რომელსაც ქიმია შეარქვეს. ტერმინი ,,ქიმია" კოლხური წარმოშობისაა და იგი ლითონთა კეთებას ნიშნავს.

გეოლოგების მონაცემებით, სამწუხაროდ, საყდრისის ტერიტორიაზე კომპანიების მიერ წარმოების პროცესში განადგურდა სამთო წარმოების უამრავი უძველესი ადგილი. კომპანიები ბოლნისის რაიონის მრავალ ათეულ საბადოზე წიაღით სარგებლობის ლიცენზიას ფლობს. მხოლოდ 2009 წელს საზღვარგარეთ გაყიდული ოქროს ღირებულებამ 116 189 000 აშშ დოლარი შეადგინა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ოქროს საბადოს ტერიტორიაზე არსებული საგანგაშო ეკოლოგიური მდგომარეობა. გარემოს ტოქსიკური ლითონებით ინტენსიური გაბინძურება საბადოს დამუშავების გარდაუვალი პროცესია. გაბინძურებულ ნიადაგზე მოწეული პროდუქტები საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ნიადაგი პრაქტიკულად გამოუსადეგარია სოფლის მეურნეობისათვის. მადნეულის როგორც სპილენძშემცველი (სულფიდური), ისე ოქროს შემცველი საბადო, რომელიც ღია კარიერული წესით მუშავდება, მიეკუთვნება იმ მნიშვნელოვან ტექნოგენურ წყაროს, საიდანაც გარემოში ხდება მძიმე ლითონების გავრცელება. დაახლოებით 150 ჰექტარი ფართობი ძალზე გაბინძურებულია სპილენძით,

კადმიუმით, თუთიით, კობალტით, მანგანუმით და სხვა მძიმე მეტალებით.

ჩვენთან მადნის მოპოვება, ამერიკის შეერთებული შტატებისგან განსხვავებით, ღია წესით წარმოებს. მართალია, საბადოს დამუშავების ღია კარიერული მეთოდი იაფი და მომგებიანია, მაგრამ იგი მეტად მძიმედ მოქმედებს გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, წარმოიქმნება ასეული კუბური მეტრის ჩაღრმავებები. დროთა განმავლობაში კლიმატური პირობების შედეგად მათში წარმოიქმნება გუბეები, სადაც სულფიდები ატმოსფერული ჟანგბადით იჟანგება და გროვდება წყალში ხსნადი მძიმე ლითონთა სულფატები. ეს ხსნარი გადაიტუმბება კარიერის მიმდებარე ტერიტორიაზე, ე.წ. დამბაში, სადაც ხდება მისი დაგროვება და შემდეგ მადნეულის ფაბრიკაში მისი გაწმენდა. მძიმე ლითონების შემცველი ხსნარიდან ხდება სპილენძის ამოღება და გასუფთავება, ხოლო დანარჩენი მეტალების ამოღება არ მიმდინარეობს და ეს ტოქსიკური ხსნარი ჩაედინება მდინარე კაზრეთულაში და იწვევს ქიმიურ გაბინძურებას. მდინარე კაზრეთულა უერთდება მდინარე მაშავერას და მასაც აბინძურებს. მაშავერა ბოლნისის რაიონის ძირითადი სარწყავი ობიექტია. ამ წყლით ირწყვება რატევნის, ბოლნისის, რაჭის უბნის, მწყნეთის, ხიდისყურის, ნახიდურის და სხვა სოფლების სავარგულები, რაც აბინძურებს ამ სოფლების ნიადაგებს. აქ მოწეულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს მოიხმარს არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ იგი გადის სარეალიზაციოდ საქართველოს სხვა ტერიტორიებზე.

საბადოს ინტენსიური აფეთქების შედეგად ჰაერში გამოიყოფა მომწამლავი ნივთიერებები, რომლებიც იფანტება გარემოში, შემდეგ ილექება ნიადაგებში, საიდანაც ხვდება ჯერ მცენარეებში და ცხოველებში, შემდეგ ადამიანის ორგანიზმში.

ქართველმა და გერმანელმა მეცნიერებმა ჩაატარეს კვლევა: “მდინარე მაშავერას ხეობაში ნიადაგებისა და სასოფლო-სამეურნეო ნათესების დაბინძურება მძიმე ლითონებით”. კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, მდინარე მაშავერას ხეობის ნიადაგში სპილენძის რაოდენობა 49-ჯერ აღემატება

გერმანიაში მოქმედ ზღვრულად დასაშვებ ნორმას, თუთიისა – 18-ჯერ, ხოლო კადმიუმისა 12-ჯერ. მძიმე ლითონის ნიადაგიდან საკვებ ჯაჭვში გადადის და ასეთი საკვების ხანგრძლივმა მოხმარებამ, შესაძლოა, ადამიანის ორგანიზმში მთელი რიგი პათოლოგიური ცვლილებები (ნერვული სისტემის დაზიანება, ავთვისებიანი სიმსივნეები, სისხლნაკლებობა, ზრდის შეჩერება, უშვილობა) გამოიწვიოს. ადამიანის მძიმე ინტოქსიკაცია შეიძლება ასევე გამოიწვიოს გაბინძურებულ წყალში დაჭერილი თევზის მოხმარებამ. ადგილობრივ მოსახლეობას უნდა მიეწოდოს ზუსტი ინფორმაცია რეგიონის გაბინძურების მდგომარეობის შესახებ, რათა კიდევ უფრო არ გაიზარდოს მათი ჯანმრთელობის და სიცოცხლის რისკები.

ოქროს მიღების ერთადერთ მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს ციანიდური, ე.წ. ბაგრატიონის ხერხი, რომელიც მადნიდან ოქროს გამოყოფის საშუალებას იძლევა. გამოჩენილმა მეცნიერმა და გენერალმა პეტრე ბაგრატიონმა პირველმა აღმოაჩინა ოქროს, ვერცხლის და სპილენძის ხსნადობა ტუტე ლითონთა ციანიდების წყალხსნარებში. ამ აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი გამოიყენება ოქროს შემცველი მადნებისგან ოქროს მთლიანად გამოსაყოფად. მაგრამ ციანიდები უძლიერესი შხამებია, რომლებიც მადნის გადამუშავების შედეგად (კონცენტრირებულ მჟავებთან და ტუტეებთან ერთად) დიდი რაოდენობით ხვდება ატმოსფეროში, მიწისქვეშა და ზედაპირულ წყლებში და დიდ საშიშროებას წარმოადგენს გარემოსთვის და ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას ციანიდები იწვევს სუნთქვის პროცესში მონაწილე ფერმენტების ინჰიბირებას და ადამიანის მომენტალურ სიკვდილს.

ეკოლოგიური პრობლემები, რომელთაც ადრე ლოკალური ხასიათი ჰქონდათ, დღეს მსოფლიოს მომცველ გლობალურ პრობლემებად იქცა. ეკოლოგიური ინფორმაციის ნაკლებობას დიდი ზიანის მიყენება შეუძლია. საზოგადოებამ უნდა იცოდეს გარემოს ნამდვილი სურათი. ბუნების დაცვის სფეროში საიდუმლო არ უნდა არსებობდეს. ბუნების დაცვა – თითოეულის ვალია.

თანამედროვე ეკოლოგიური პრობლემების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია გარემოში მოხვედრილი მძიმე ლითონების დეტოქსიკაცია. ლითონების დეტოქსიკაციისათვის ძირითადად იყენებენ სხვადასხვა მიკროორგანიზმებს, მაგრამ ისინი შერჩევითი მეტალოფილურობით ხასიათდებიან და არააქვთ ზოგიერთი ძლიერ საშიში მძიმე ლითონისგან (მაგალითად, კადმიუმი) ნიადაგის გასუფთავების უნარი. რაც შეეხება მცენარეებს, ისინიც შერჩევითად აკუმულირებენ გარემოში არსებულ მძიმე ლითონებს. ამასთანავე მძიმე ლითონების კონცენტრაცია მათ ქსოვილებში მნიშვნელოვნად იზრდება.

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოორგანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტთან ერთად მუშავდება მძიმე ლითონებით დაბინძურებული ნიადაგის გაწმენდის იაფი ტექნოლოგია, რაც ხელს შეუწყობს ბოლნისის რაიონში, კერძოდ კაზრეთის ზონაში ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოყვანას. [1]

## დასასრულ

ჯორჯიის უნივერსიტეტის (აშშ) გეოლოგიის დეპარტამენტში ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე პროფესორმა ჰარი მილსმა, 2014 წლის 25 აპრილს ოფიციალური წერილით მიმართა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის და ეკონონიკისა

---

**1 ქ. დუბნის (რუსეთი) ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში უახლესი ტექნიკის გამოყენებით დაადგინეს, რომ პროფ. რ. გახოკიძის მიერ შექმნილი ბიოენერგოაქტივატორები და მის მიერ დამუშავებული ახალი აგრობიოორგანული ტექნოლოგია დაბინძურებულ ნიადაგებზეც კი იძლევა საშუალებას საკვებად ვარგისი მოსავლის მიღებისა, სადაც ნაყოფში მნიშვნელოვნადაა შემცირებული ნიტრატების, პესტიციდების, მძიმე ლითონებისა და რადიონუკლეიდების შემცველობა.**

**ბიოენერგოაქტივატორები და მათი გამოყენებით მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ავლენენ მაღალ ანტიმუტაგენურ და ანტიციტოტოქსიკურ ეფექტს. ისინი რამდენიმეჯერ ამცირებენ პესტიციდებისა და გარემოში არსებულ კანცეროგენურ ნივთიერებათა მიერ გამოწვეულ მუტაგენურ და ტოქსიკურ დარღვევებს, რითაც მკვეთრად ამცირებენ ონკოლოგიურ დაავადებათა განვითარების რისკს.**

და მდგრადი განვითარების სამინისტროებს: **„ბოლო ხანებში ჩვენი ყურადღება მიიპყრო საქართველოს მთავრობის მიერ საყდრისის ოქროს უძველესი მაღაროსათვის დამცავი სტატუსის მოხსნამ. ამას შედეგად მოჰყვება დიდი არქეოლოგიური ღირებულების მქონე ისტორიული ობიექტის განადგურება. ეს არა მხოლოდ ქართველი ხალხის, არამედ მსოფლიო არქეოლოგ-მეცნიერთა საზოგადოების დიდი დანაკარგი იქნება. ღია კარიერული წესით მოპოვება გაანადგურებს ქართული კულტურის შემორჩენილ, აღმოუჩენელ არტეფაქტებს და სამუდამოდ შეუძლებელს გახდის მომავალ სამეცნიერო აღმოჩენებს. მოვუწოდებთ ქართველ ხელისუფალთ, რომ შეაჩერონ მოპოვებითი სამუშაოები, ვიდრე არ შემუშავდება გეგმა, რომელიც ოქროს მოპოვებას შესაძლებელს გახდის უძველესი არტეფაქტებისა და მაღაროს კულტურული ღირებულების სრული განადგურების გარეშე. მსგავსი გადავადების შემთხვევაში ოქრო არსად დაიკარგება. განვითარებული ტექნოლოგიებისა და ფრთხილი გეგმის წყლობით კი შესაძლებელი გახდება ოქროს ამოღება ქართველი და მსოფლიო ხალხებისთვის კულტურული და არქეოლოგიური ღირებულების მქონე ობიექტის შენარჩუნების პირობებში. მადლობას გიხდით ყურადღებისთვის.”**

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია.

## ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:


1. L. Aitchison. A History of Metals, vol. I-II. London, 1960.
2. Н. Я. Марр. Яфетические элементы в языках Армении, I, ИАН, 1911.
3. ო. ლორთქიფანიძე. ძველი კოლხეთის კულტურა, 1972.
4. ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, ტფილისი, 1907.
5. ლ. მოლოდინი. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1963.

6. რ. გახოკიძე. ქართველ წინაპართა ფილოსოფიამდელი აზროვნება – მეტალურგიისა და ოქროს წარმოების საფუძველი. წიგნში: ფილოსოფიური ძიებანი, ტ. XIX, თბ., 2015.

7. პ. კოღუაშვილი. საქართველოს შეუძლია დაიწყოს ახალი მწვანე "ბიოორგანული რევოლუცია." თსუ II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, „.ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება", თბ., 2013.

**REFERENCES:**

1. L. Aitchison. A History of Metals, vol. I-II. London, 1960.

2. Н. Я. Марр. Яфетические элементы в языках Армении, I, ИАН, 1911.

3. O. Lortkipanidze-The Culture of Old Colchis, 1972 in Georgian Language.

4. E. Takaishvili . Archaeological journeys and notes, Tfilisi, 1907- in Georgian Language.

5. L. Molodini-From the History of Georgians' material Culture, 1963- in Georgian Language.

6. R. Gakhokidze- The Prephilosopical Thinking of the Georgian ancestors _ Metallurgy and gold production basis. Philosphical Researches., V. XIX, Tb. , 2015.

7. P. Koghuashvili. Georgia can begin a new green " Bioorganic revolution". TSU 2nd international Scientific Conference Materials, " Bioeconomy and Sustainable Deveopment of Agriculture", Tb., 2013.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ფსიქოლოგები მართვის პრობლემების მიმართ ინტერესს დიდხანს არ გამოხატავდნენ, რადგან ითვლებოდა რომ ხელმძღვანელებისთვის საკმარისი იყო კეთილსინდისიერად შეესრულებინათ მთავრობის გადწყვეტილებები. წარსულის გავლენათა წნეხის მნიშვნელოვანი შემცირება არის მომავლის მენეჯმენტის აუცილებელი პირობა.

1960-იანი წლების ბოლოდან მართვის პრობლემების ფსიქოლოგიური კვლევები დაიწყეს სამხედრო ფსიქოლოგებმა, რომლებიც შეისწავლიდნენ მეთაურის საქმიანობისა და ჯარის მართვის საკითხებს მშვიდობიან და ომის პერიოდში.

ერთიანი ფსიქოლოგიური კონცეფციები გამოჩნდა 1980 - იანი წლებიდან, რომლებიც აგებული იყო პიროვნებისა და შემოქმედების თეორიის საფუძველზე და ამიტომ იყო პროცესუალურ-შემოქმედებითი. მის დებულებებზე გავლენა მოახდინა - მართვის სტილზე ადმინისტრაციულ-ბრძანებითმა შეხედულებებმა, რაც ჭარბობდა იმ წლების მართვის პრაქტიკაში: ხელმძღვანელი აძლევს მითითებებს, ხოლო თანამშრომლები

მათ ასრულებენ. დღეს მენეჯმენტის წინაშე დგას საპირისპირო ამოცანა – ორგანიზაციები უნდა გახდნენ უფრო ადამიანური, დემოკრატიული და ჰუმანური.

ბოლო ორი ათეული წელია ლიტერატურაში, სადაც გაშუქებულია მართვის საკითხები, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საწარმოს, ფირმის, დაწესებულების ორგანიზაციულ კულტურას. მაგრამ, ეკონომიკისა და მენეჯმენტის შესახებ წიგნებში მას, არცთუ იშვიათად, ახასიათებენ მარტივად - როგორც ქცევებისა და ფასეულობების ნორმების ერთობლიობას, რომელიც ჩამოყალიბდა ორგანიზაციაში. საზღვარგარეთის პუბლიკაციებში მოცემულია უფრო მდიდარი განმარტება - ფილოსოფიური და იდეოლოგიური წარმოდგენები, ფასეულობები, მრწამსი, რწმენები, მოლოდინები, ქცევების ნორმები, რომლებიც კრავენ ორგანიზაციას ერთ მთლიანობაში და დანაწილებულია მისი წევრების მიერ [1].

## ძირითადი ნაწილი

**ორგანიზაციული კულტურის სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზი.**

ორგანიზაციული კულტურის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენის სირთულე და მნიშვნელობა სერიოზულ ამოცანებს აყენებს ცივილიზებული მენეჯმენტის განხორციელებაში. არ არის საკმარისი გამოაცხადო მიზნები და ამოცანები, მნიშვნელოვანია, რათა მათ შეაღწიონ ადამიანთა ცნობიერებაში, მათ ფსიქოლოგიასა და ქცევებში, წარმართონ მათი საქმიანობა. ასევე არ შეიძლება ორგანიზაციულ კულტურას პასიურად მოეპყრო, როგორც ისეთს, რაც ყალიბდება და მკვიდრდება საწარმოში სტიქიურად, ნათელია, რომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ჭეშმარიტი ორგანიზაციული კულტურის მიღწევა მოითხოვს აქტიურ, მიზანმიმართულ მუშაობას და მენეჯმენტის მიერ იმის ხელშეწყობას, რაც შეესაბამება ჭეშმარიტ ორგანიზაციულ კულტურას და იმის თავიდან აცილებას, რაც მას აფერხებს. ფსიქოლოგიური სირთულე საწარმოში, განისაზღვრება ადამიანთა მდგომარეობის გარჩევითაც - მე-

საკუთრისა და დაქირავებული მუშაკების, შემოსავლების არათანაბარზომიერი განაწილებით, ფუნქციების მოვალეობების, უფლებების განსხვავებით, მუშაკების ინდივიდუალური თავისებურებების მრავალსახეობით.

ორგანიზაციული კულტურისა და მისი მიღწევის გზების მთლიანობასა და კომპონენტების დახასიათებისთვის მეთოდოლოგიურად პრინციპული და გამჭოლია - **სისტემური მიდგომა.** ორგანიზაცია - სოციალურ-ფსიქოლოგიური გაერთიანებაა, ამიტომაც მასში უმნიშვნელოვანესია ყველაფერი, რაც აერთიანებს ადამიანებს და მოაწესრიგებს მათ ურთიერთქმედებებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მენეჯმენტში პრიორიტეტულია სოციალურ-ფსიქოლოგიური კანონზომიერებები, მექანიზმები და ფენომენები, რომლებიც განცალკევებულად მომუშავე ადამიანებს გარდაქმნის მეგობრულად, დარაზმულად და შეთანხმებულად მომუშავე მშრომელ ოჯახად.

მცდარია წარმოდგენა იმაზე, რომ საწარმოს მუშაობაში შესაძლებელია მაქსიმალური შედეგების მიღწევა, როდესაც მხოლოდ ცალ-ცალკე, ინდივიდუალურად უდგები თითოეულ მუშაკს და აიძულებ მათ სათანადოდ მუშაობას. სისტემას აქვს არა ნაწილები, არამედ ფუნქციურად ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტები. ამიტომ, ერთის ცვლილება რამდენადმე გავლენას ახდენს მეორეზე, ხოლო სხვების და მთელი სისტემის პირობების ცვლილება აისახება თითოეულზე. მართვაში არ არის ფსიქოლოგიური ანალიზის არავითარი ,,უჯრედები'', არავითარი ,,ერთეულები'', რომელიც შეიძლება იყოს ამოგდებული მართვის სისტემიდან და არ იყოს სრულყოფილი. მისი წარმატებისათვის საჭიროა, რომ მთელი პერსონალი მუშაობდეს ორგანიზებულად და მეგობრულად, რაც ქმნის სასურველ პირობებს თითოეული მუშაკის წარმატებისთვისაც. თითოეულის ფსიქოლოგია განიხილება არა ცალკე, არამედ საწამოს პერსონალის საერთო შრომით სისტემასთან კავშირში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მენეჯერებსა და მუშაკებს შორის შეთანხმებული ურთიერთობების აგების, მათთან ეთიკური ურთიერთობებისა და ქცევების დემოკრატიული

ნორმების დაცვის, მათი ინიციატივის ამაღლების, მათი რჩევებისა და ჩივილების გათვალისწინების, საქმიანად და ადამიანურად მათზე რეაგირების უნარი. მუშაკები, არა უბრალოდ მართვის ობიექტებია, არამედ პიროვნებებია, თვითმმართველობის სუბიექტებია და მათი ქცევა, მიუხედავად მენეჯერის ზემოქმედებისა, ბევრადაა დამოკიდებული საკუთარი შეგნების, ინტერესების, სურვილების, ცოდნის, ჩვევების, ჯგუფური ფაქტორებისა და სხვა ინდივიდუალურ თავისებურებებზე. ამ დამოკიდებულების მნიშვნელობა ისტორიულად სწრაფად იზრდება ფიზიკური შრომის წილის შემცირებისა და გონებრივ ზრდასთან მიმართებაში. გ. ემერსონი ამის შესახებ ჯერ კიდევ XX ს. წერდა: ,,ფიზიკური ძალის სტიმულირება შეიძლება მოახდინო ჯოხით, მაგრამ შეგნებული ქცევა, შემოქმედება, ჯოხით გარეკო წარმოუდგენელია. კუნთების დაჭიმვის დრო, ჯოხის დრო, სამუდამოდ წარსულს ჩაბარდა და მასთან ერთად ძველი მორალიც. ყველაზე მაღლა მდგომ ხელმძღვანელსაც კი არ შეუძლია მოითხოვოს უაზრო დამორჩილება მოსწავლე-შავი მუშისაგან"[2].

ცნობილია, რომ ადამიანები აღწევენ უფრო მეტს, როდესაც წყვეტენ ამოცანებს არა ძალდატანებით, არა დასჯის შიშით, არამედ სურვილით, საკუთარი მრწამსის მიხედვით, მოვალეობის გრძნობითა და პასუხისმგებლობის შეგნებით. ყველაზე მარტივი და იოლია აიძულო, ამისათვის არაა საჭირო მმართველობითი ოსტატობა. ეს რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს აუცილებლობას, რომ გარკვეულ პირობებში მენეჯერმა გამოამჟღავნოს სიმტკიცე, ნებისყოფა, კატეგორიული მოთხოვნა. მაგრამ არ შეიძლება გატაცება ადმინისტრირებით, კეთილსინდისიერი სამუშაოს მიმართ განწყობის შექმნა ფსიქოლოგიურად უფრო თავაზიანი საშუალებებითაა შესაძლებელი. ფსიქოლოგიის პოზიციიდან, საწარმოს ორგანიზაციულ კულტურაში, მენეჯმენტის ძირითადი ამოცანაა, ისეთი პირობების შექმნა, რომლის დროსაც თითოეულ მუშაკს ექნება კეთილსინდისიერი მუშაობისა და თავისი თავის მართვის სურვილი, სურვილი განახორციელოს თვითკონტროლი, თავისი თავის მიმართ მომ-

თხოვნელობა, თავისი სამუშაოს სრულყოფის გზების მოძიება.

**,,დიდი ხუთეულის მოდელი" - სა და მაიერს - ბრიგსის ტიპთა ინდიკატორი (MBTI).** ადამიანის ფსიქოლოგია და ადამიანთა ქცევა სხვადასხვაგვარია. ადამიანები - ორგანიზაციის ძირითადი ძალა, მისი განვითარებისა და აყვავების ძირითადი რესურსია. ორგანიზაციის წარმატებები იქ მომუშავე ადამიანთა დამსახურებაა, მათი შესაძლებლობებისა და გონიერების შედეგია. პიროვნების შესწავლა და მისი რესურსის ეფექტურად გამოყენება ნებისმიერი საწარმოს მიზანია , როდესაც უპირატესობა ენიჭება ცოდნას, გამოცდილებას, ინიციატივას, მიღწეულია ბალანსი გამოცდილებასა და ახალი იდეების განხორციელებას შორის - უკეთესი საბოლოო შედეგების მისაღწევად.

თანამედროვე მენეჯმენტი გულისხმობს დამძიმებულ სტრუქტურათა გადახედვას და დიდ ორგანიზაციათა მარტივ და მოქნილ ერთეულებად გარდაქმნას. მართვისადმი ახლებური მიდგომები მოითხოვენ ადამიანურ შესაძლებლობათა რადიკალურ მობილიზაციას. მართვა უნდა ხორციელდებოდეს მაღალი საზოგადოებრივი იდეების რეალიზებით, დიდი ყურადრება უნდა მიექცეს ხალხს, რომლებიც არიან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულები, განსხვავებულები სხვებისგან მათი ტალანტით, აქვთ იდეები, იღებენ პროგრესულ გადაწყვეტილებებს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

პიროვნების შესწავლისას ძირითადი აქცენტი ინდივიდუალური ნიშან-თვისებებისა და მახასითებლების გამოვლენაზე კეთდება. პიროვნების დასახასიათებლად ყველაზე ხშირად ე. წ. ,,დიდი ხუთეულის მოდელს" იყენებენ, რომელიც პიროვნებას ხუთი განზომილების მიხედვით აფასებს.

დიდი ხუთეულის მოდელი ერთ-ერთ ყველაზე ამომწურავ, ემპირიული კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით მიღებულ მოდელად ითვლება პიროვნების ფსიქოლოგიის ისტორიაში. ადამიანის პიროვნების ნიშნებისა სტრუქტურის იდენტიფიცირება ზოგადად ფსიქოლოგიის ყველაზე ფუნდამენტურ მიზნებს წარმოადგენს. ოთხ ათწლეულზე მეტხანს წარმოებული კვლევის განმავლობაში ეს ხუთი ფართო ფაქტორი თანდათანობით

აღმოაჩინა და განსაზღვრა მკვლევართა რამდენიმე დამოუკიდებელმა ჯგუფმა (Digman, 1990). ამ მკვლევარებმა პიროვნების ბაზისური, საფუძვლადმდებარე ფაქტორების კვლევა პიროვნების ყველა ცნობილი ნიშნის შესწავლით და ამ ნიშნების ასობით საზომის (თვითანგარიშისა და კითხვარების მონაცემებისა და ექსპერიმენტულ სიტუაციებში ობიქტური საზომების) ფაქტორული ანალიზით დაიწყეს.

ათწლეულების მანძილზე მკვლევართა, სულ მცირე, ოთხი ჯგუფი მუშაობდა ამ საკითხებზე და ყველა მათგანმა ერთი და იგივე ხუთი ფაქტორი გამოყო: ტუპესი და კრისტალი პირველები იყვნენ, მათ მოჰყვა გოლდბერგი (ორეგონის კვლევით ინსტიტიტუტში), კეტელი (ილინოისის უნივერსიტეტში) და კოსტა და მაკკრეი (ჯანმრთელობის ეროვნულ ინსტიტუტში). ხუთი ფაქტორის გამოსავლენად ეს ოთხი ჯგუფი გარკვეულწილად განსხვავებულ მეთოდებს იყენებდა და ამიტომ ხუთი ფაქტორის ყოველ ნაკრებს გარკვეულწილად განსხვავებული დასახელებები და განსაზღვრებები აქვს; თუმცა, ყველა მათგანს შორის არსებობს ძლიერი ინტერკორელაცია, რომელიც ფაქტორულ ანალიზზეა ორიენტირებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნიშნები პიროვნების ჩამოყალიბებას ყველაზე ზედა დონეზე ახდენენ, შესაბამისად, ისინი უზრუნველყოფენ კონცეპტუალურ ჩარჩოს ჩვეულებრივი, შედარებით ქვედა დონის ნიშნებისთვის. თუმცა, ვინაიდან დიდი ხუთეულის ნიშნები ასეთი ფართო და ყოვლისმომცველია, ისინი არც ისე კარგ პრედიქტორებსა და ამხსნელებს წარმოადგენენ კონკრეტული ქცევისთვის, როგორც უფრო მრავალრიცხოვანი ქვედა დონის ნიშნები. მრავალმა კვლევამ დაადასტურა, რომ რეალური ქცევის წინასწარმეტყველებისთვის უფრო მრავალრიცხოვანი მახასიათებლები ან პირველადი დონის ნიშნები უფრო ეფექტურია (მაგალითისთვის იხ. Mershon & Gorsuch,1988).

დიდი ხუთეულის ფაქტორებია *გამოცდილებისადმი ღიაობა* (Openness), *პატიოსნება* (Conscientiousness), *ექტრავერსია* (Extroversion), *თანხმობისათვის მზაობა* (Agreeableness) და

*ნეიროტიციზმი* (Neuroticism) **(OCEAN - აბრევიატურა).** ნეიროტიციზმის ფაქტორს ზოგჯერ ემოციური სტაბილობის ფაქტორსაც უწოდებენ ხოლმე. გარკვეული უთანხმოება არსებობს გამოცდილებისადმი ღიაობის ფაქტორის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რომელსაც ზოგჯერ ,,ინტელექტსაც'' უწოდებენ.

ხუთფაქტორიანი მოდელი პიროვნების წმინდად აღწერითი მოდელია. ფაქტორები შეიქმნა ნიშნების ტერმინთა კლასტერების სტატისტიკური ანალიზის შედეგად და არა თეორიის საფუძველზე, რომელიც ამბობდა: - ,,ეს არის ფაქტორები, რომლებიც უნდა არსებობდეს'', მაგრამ ხუთფაქტორიანი მოდელის მომხრე ფსიქოლოგებმა დაიწყეს ამ თეორიული დასაბუთების ძიება. მაგალითად, მათ სცადეს, ხუთი განზომილება ინტერაქციათა და თანმიმდევრულ ტიპებთან დაკავშირებით, რომლებიც ადამიანებს ჰქონდათ ერთნამეთთან და გარე სამყაროსთან კაცობრიობის ევოლუციის მანძილზე (გერიგი, ზიმბარდო, 2009).

ხუთფაქტორიანი მოდელის ფარგლებში გამოიყოფა ორი მიმართულება:

- ლექსიკური მიმართულება, რომელიც ლექსიკონის ანალიზს ეყრდნობა და უფრო ადრეულ შტოს წარმოდგენს - ოლპორტი, აიზენკი, კეტელი;
- კითხვარების მიმართულება, რომელიც ნიშნების გამოსავლენად კითხვარს ეყრდნობა.

ეს მეორე მიმართულება დღესდღეობით უფრო პოპულარული გახდა. მისი წარმომადგენლები არიან განვითარების ფსიქოლოგები მაკკრეი და კოსტა (ბალტიმორის კვლევითი ცენტრი, აშშ). მათ 1970 - იანი წლების ბოლოს შექმნეს კითხვარი NEO ( Neirotisism, Extraversion, Openness), რომელიც 1980 წელს გამოქვეყნდა. მაკკრეიმ და კოსტამ დიგმანი გერონტოლოგიის ცენტრში ლექციის წასაკითხად მიიწვიეს, სწორედ ამ კონფერენციაზე გაჩნდა იდეა, რომ NEO გამხდარიყო დიდი ხუთეულის საზომი. შესაბამისად, 1985 წელს შეიქმნა NEO–PI (Personality Inventory). თითოეულ ფაქტორში შედიოდა 6 ქვესკალა. 1992 გამოვიდა გადასინჯული კითხვარი NEO–PI–R. მაკ-

კრეიმ და კოსტამ დიდი ხუთეული სტანდარტული პიროვნულ კითხვარის სიბრტყეში გადაიტანა. გარდა ამისა, ავტორებმა აჩვენეს, რომ ეს ხუთი ფაქტორი უნივერსალურია და არ არის მიბმული ინგლისურ ენაზე. დიდ ხუთეულს შეიძლება თვალი მივადევნოთ პიროვნების საკვლევ ნებისმიერ კითხვარში (მაგალითად, MMPI – 2, CPI და ა.შ.).

ამჟამად არსებობს მოსაზრება, რომ ხუთი ფაქტორი არ არის საკმარისი პიროვნების აღსაწერად და საჭიროა დიდი ექვსეულის ან დიდი შვიდეულის შემოტანა, 1990 -იან წლებში ტელეგენის მიერ განხორციელებული კვლევები შვიდი ძირითადი განზომილების არსებობას ადასტურებს. ის არსებულ ხუთ ფაქტორს უმატებს კიდევ ორს, ესენია: Positive Valiancy (პოზიტიური გამბედაობა) და Negative Valoiancy (ნეგატიური გამბედაობა) [3].

თუმცა, არსებობს დიდი ხუთეულის მოდელის სხვა ვერსიაც, რომელიც გვთავაზობს პიროვნების დახასიათების შემდეგ ნიშნებს:

ექსტროვერსია-ინტროვერსია; ემოციური სტაბილობა; გამოცდილებისადმი ღიაობა; ორგანიზებულობა; კეთილგანწყობა [4].

არსებობს პიროვნების საკვლევი კითხვარი - **მაიერს-ბრიგსის ტიპთა ინდიკატორი (MBTI) - ს სახელწოდებით**, რომელიც შეიქმნა 1940-იან წლებში **კეტრინ ბრიგსის** და მისი ქალიშვილის **იზაბელ ბრიგს მაიერსის** მიერ. იგი ეფუძნება იუნგის თეორიულ მოდელს და იკვლევს პიროვნებას შემდეგი განზომილების მიხედვით:

- ექსტრავერსია - ინტრავერსია (E-I);
- შეგრძნება - ინტუიცია (S-N);
- გრძნობა - აზროვნება (F-T);
- განსჯა-პერცეფცია (J-P) [5

## დასკვნა

- ორგანიზაცია არის გაერთიანება, რომელიც თანამედროვე მენეჯმენტში პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარ-

ებული **სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით, ადამიანთა ინტერესებისა და სისტემური მიდგომის საშუალებით - ერთიან სისტემის სახითაა წარმოდგენილი.**

- თანამედროვე ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება რთულია. შეარჩიო, მართვის სასაურველი, ეფექტური და ხელშემწობი ფაქტორები, თავიდან აიცილო ის, რაც მას აფერხებს, გაითვალისწინო მომუშავეთა ინტერესები და კულტურული თავისებურებები - ეს დახვეწილი, მიზანმიმართული მენეჯმენტის საქმეა, რაც არც ისე იოლია, რადგან ადამიანთა ქცევა და ფსიქოლოგია სხვადასხვა გარემოში სხვადასხვაგვარია, მისი პროგნოზირება შეუძლებელია, თუმცა **წარმოდგენილი მოდელები, დაეხმარება მენეჯერებს პიროვნების ფსიქოლოგიის შესწავლასა და მენეჯმენტში სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებაში. თანამედროვე მენეჯმენტი - მენეჯმენტის ფსიქოლოგიის, როგორც შესწავლას, ასევე მის განხორციელებას გვთავაზობს, ამიტომ მართვის თანამედროვე მოდელის ფორმირებისათვის, სასურველი იქნება აღნიშნული (ან სხვა მსგავსი) მოდელების გამოყენების დანერგვა, რომელიც გამოავლენს პიროვნების ფსიქოლოგიურ მხარეს და დაეხმარება მეჯერებს, მართვის თანამედროვე და ეფექტური მოდელის ფორმირებაში.**

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ერიაშვილი ნ.დ., სტოლიარენკო ა. მ. მენეჯმენტის ფსიქოლოგია. თბ., 2014. გვ. 103 // Kilman R., Saxston M.J. & Serpa R. Issues in Understanding and Changing Culture// California Management Review. Winter, 1986,P. 89.

2. ერიაშვილი ნ.დ., სტოლიარენკო ა. მ. მენეჯმენტის ფსიქოლოგია. თბ., 2014. გვ. 108 // ემერსონი გ. მწარმოებლურობის 12 პრინციპი. მ., 1972. გვ. 10.

3.https://socpoli.files.wordpress.com/2011/06/e183aee183a3e18397e183a4e18390e183a5e183a2e1839de183a0e18398e18390e1839ce18398-e1839be1839de18393e18394e1839ae18398_-e183a4e183a11.pdf

4. http://myprofession.ge/article/1445

5.https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1-%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%92%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%97%E1%83%90_%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98

6. http://education.ge/index.php?do=definition/view&id=1168

**REFERENCES**:

1. Eriashvili N.D., Stoliarenko A.M. Psychology of Management. Tbilisi, 2014. -103p // Kilman R., Saxston M.J. & Serpa R. Issues in Understanding and Changing Culture// California Management Review. Winter, 1986,P. 89. (In Georgian Language).

2. Eriashvili N.D., Stoliarenko A.M. Psychology of Management. Tbilisi, 2014. -108// Emerson G 12 principles of productivity. Moscow, 1972. P. 10. (In Georgian Language).

3.https://socpoli.files.wordpress.com/2011/06/e183aee-183a3e18397e183a4e18390e183a5e183a2e1839de-183a0e18398e18390e1839ce18398-e1839be1839de18393e18394e1839ae18398_-e183a4e183a11.pdf

4. http://myprofession.ge/article/1445

5.https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1-%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%92%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%97%E1%83%90_%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98

6. http://education.ge/index.php?do=definition/view&id=1168

# TAKING INTO ACCOUNT OF THE PERSON'S SOCIAL- PSYCHOLOGICAL FACTORS IN ORGANIZATIONAL CULTURE AND MANAGEMENT

**Tamar Vanishvili,**
PHD in Business Administration,
David Aghmashenebeli National
Defence Academy of Georgia

**Resume**

There is considered the new, topical problem of modern management: a significant reduction of the pastimes influence pressure that is necessary for future management. The complexity and importance of socio-psychological phenomenon of organizational cultural rises the serious tasks for civilized management. In that management as a priority direction is accepted the synthesis of socio-psychological factors, humans' interest and systematic approach. Presented by "big fives model" and Myers - Briggs types indicator (MBTI), its application, will promote managers in study of person's psychology and in taking into account socio-psychological factors in management. The modern management – offers to study of management of psychology, as well as its implementation. Therefore for the formation of modern model of management it will be advisable the implementation of mentioned (or other similar) models that reveals the psychological side of a person and will promote managers in formation of modern and effective model of management.

**Keywords:** organizational culture, management, person's social-psychological factors, "the Big Five Model", Myers - Briggs types indicator (MBTI), system approach.

# კორპორაციული კონფლიქტების კლასიფიკაცია და მათი გადაჭრის გზები

**იულია თედეევი**
სტუ-ს დოქტორანტი

## რეზიუმე

ნაშრომში განხილულია, თუ რა და რა სახის კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას კორპორაციულ ურთიერთობებში, როგორია მათი კლასიფიკაცია და რა სახის კრიტერიუმებით ხდება ეს კლასიფიკაცია სხვადასხვა ავტორთან. სტატიაში ნაჩვენებია, კორპორაციული ურთიერთობების სუბიექტებს შორის ინტერესთა ბალანსის არარსებობა თუ როგორ შეიძლება გახდეს კონფლიქტის მიზეზი. კორპორაციულ კონფლიქტებს ზოგჯერ გამოუსწორებელი ზარალი მოაქვს კომპანიისთვის, საზოგადოებისთვის და შეიძლება სახელმწიფოსთვისაც.

ასევე მოცემულია კონფლიქტის მხარეების მრავალფეროვნებაც, რადგან, როგორც ვიცით, მასში შეიძლება ჩართული იყოს არა ორი, არამედ რამდენიმე მხარე, რომელთაგან თითოეულს თავისი მიზანი აქვს და ცდილობს ბოლომდე იბრძოლოს ამ მიზნის მისაღწევად. სტატიაში აღნიშნულია ისიც, რომ ყოველგვარი კონფლიქტი, წარმოშობილი კორპორაციული ურთიერთობების მონაწილე სუბიექტებს შორის სამართლებრივი მექანიზმებით უნდა დარეგულირდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ვიდრე საქმე კონფლიქტამდე მივა, შეძლებისდაგვარად უნდა მოხდეს მისი გამომწვევი მიზეზების წინასწარ განსაზღვრა და აღმოფხვრა.

**საკვანძო სიტყვები**: კონფლიქტი; კორპორაციული ინტერესები; კონფლიქტების კლასიფიკაცია; კონფლიქტის დარეგულირება.

## შესავალი

კონფლიქტი, როგორც წესი, ყველა ადამიანში იწვევს ნეგატიურ ასოციაციებს: მუქარა, გაუგებრობა, მტრობა, უშედეგო მცდელობები, დაამტკიცო შენი სიმართლე. შედეგად ჩამოყალიბდა

აზრი, რომ კონფლიქტი ყოველთვის უარყოფითი, არასასურველი მოვლენაა, განსაკუთრებით კი ხელმძღვანელებისთვის, მენეჯერებისთვის, რადგან ყველაზე მეტად მათ უხდებათ კონფლიქტთან შეჯახება.

## ძირითადი ნაწილი

ყოველი კონფლიქტის საფუძველში დევს სიტუაცია, რომელიც მოიცავს ან მხარეთა ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებს რაიმე საბაბით ან მოცემულ ვითარებაში მათი მიღწევის ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნებს ან საშუალებებს, ანდაც ინტერესებისა და სურვილების არათანხვედრას და სხვ. მაგრამ კონფლიქტი რომ განვითარდეს, აუცილებელია ინციდენტი, როდესაც ერთი მხარე იწყებს მოქმედებას, ლახავს მეორე მხარის ინტერესებს.

კონფლიქტები წარმოიშობა სხვადასხვა მიზეზით:

ინფორმაციული: დამახინჯება (ჭორები), უნებური დეზინფორმაცია, ფაქტები (არასრული, არასწორი), ექსპერტთა, მოწმეთა არასანდოობა, ინფორმაციისადმი ნდობის კრედიტის არარსებობა.

სტრუქტურული: განსხვავებული სტატუსის ან უფლების მოთხოვნის ნიადაგზე; ტრადიციული ჩვეულებების, ფასეულობების, შეხედულებების შეხლის ნიადაგზე; ნავაჭრის ფასისა და ხარისხის გამო; კონტრაქტების, ხელშეკრულებების გამო და სხვ.;

ფასეულობითი: ეთიკური ნორმების, მიღებული პროფესიონალური ან ორგანიზაციული ნორმების დარღვევა;

ურთიერთობების ფაქტორები: ურთიერთობებში ძალთა ბალანსის, თავსებადობის დარღვევა;

ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობა: ორგანიზაციის სხვადასხვა ჯგუფებს, წევრებს, ქვედანაყოფებს შორის ძალაუფლების, აღიარების, დაჯილდოებების უსამართლო განაწილება [1].

ნებისმიერი კონფლიქტის არსი შეიძლება განიმარტოს, როგორც მხარეებს შორის შეთანხმების არარსებობა. კორპორაციული ურთიერთობების სუბიექტებს შორის ინტერესთა ბალანსის არარსებობა შეიძლება გახდეს კორპორაციული კონფლიქტის

მიზეზი. ესაა აზრთა სხვადასხვაობა და დავა, რომელიც წარმოიშობა აქციონერებს შორის, აქციონერებსა და მენეჯერებს შორის, ინვესტორებსა (პოტენციურ აქციონერებს) და კორპორაციას შორის, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს ერთ-ერთ შემდეგ შედეგამდე:

- არსებული კანონმდებლობის, წესდების ან კორპორაციის შიდა დოკუმენტების ნორმების დარღვევა, აქციონერის ან აქციონერთა ჯგუფის უფლებების დარღვევა;
- კორპორაციის მიმართ, მისი მართვის ორგანოების მიმართ სარჩელი მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე;
- მართვის ორგანოებისთვის უფლებამოსილების ვადამდელი შეჩერება;
- აქციონერთა შემადგენლობაში არსებითი ცვლილებები [2].

კორპორაციული კონფლიქტების მონაწილეთა ინტერესების პოლარულობამ, მათი მიზნების განსხვავებულობამ, კორპორაციული კონფლიქტების გადაჭრის გზების მრავალფეროვნებამ მიგვიყვანა იქამდე, რომ კონფლიქტებს შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვაგვარი ხასიათი. სწორედ ამ მრავალფეროვნების გამო ჩვენს წინაშე მათი კლასიფიკაციის ამოცანა დადგა. სამეცნიერო ლიტერატურაში და სხვა ბეჭდურ გამოცემებში სხვადასხვა ავტორის მიერ შემოთავაზებულია კორპორაციული კონფლიქტების მრავალფეროვანი კლასიფიკაცია.

- გადაჭრის გზების მიხედვით კონფლიქტები იყოფა ანტაგონისტურად და კომპრომისულად;
- წარმოშობის ხასიათიდან გამომდინარე — სოციალური, ორგანიზაციული, ემოციონალური და პიროვნული;
- მოქმედების მიმართულების გათვალისწინებით კონფლიქტი შეიძლება იყოს ვერტიკალური და ჰორიზონტალური;
- გამოხატულობის ხარისხის მიხედვით — ღია და დახურული;
- კონფლიქტში ჩართული მონაწილეების რაოდენობის მიხედვით – შიდაპიროვნული, ჯგუფთაშორისი და პიროვნებათაშორისი.

პრაქტიკოსი მუშაკები სხვა კლასიფიკაციას გვთავაზობენ. მიზნობრივი ნიშნით ყველა კორპორაციული კონფლიქტი სამ ჯგუფად იყოფა:

1) კონფლიქტები, რომლებიც მონაწილეთა ამა თუ იმ ჯგუფის მიერ კომპანიაზე კონტროლის დამყარებისკენაა მიმართული;

2) "ტაქტიკური" კონფლიქტები, რომელიც დაკავშირებულია კომპანიის მართვის კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტისას კორპორაციის მონაწილეებს შორის მიმდინარე წინააღმდეგობების გადალახვისკენ;

3) კორპორაციული შანტაჟი [6].

ერთ-ერთი ავტორი [4. გვ.30] აღნიშნავს, რომ კორპორაციულ კონფლიქტში შეიძლება ოთხი სუბიექტი მონაწილეობდეს: კორპორაცია, მისი მართვის ორგანოები, კორპორაციის მონაწილეები და პოტენციური მონაწილეები. ამ ჩამონათვალში გარდა წმინდად შიდა სუბიექტებისა არის "გარე" სუბიექტიც — პოტენციური ინვესტორი, რომელმაც კორპორაციული კონფლიქტის მიმდინარეობისას შეიძლება მიიღოს კორპორაციის მონაწილის სტატუსი ანუ იყოს პრეტენდენტი საწესდებო კაპიტალის ნაწილზე მართვის უფლების მოპოვებაზე. ამგვარად შეიძლება გამოვყოთ შიდა და გარე კორპორაციული კონფლიქტი.

კონფლიქტები პირობითად შეიძლება შემდეგ ოთხ ტიპად დავაჯგუფოთ:

1. კონფლიქტი მსხვილ (მაჟორიტარულ) და წვრილ (მინორიტარულ) აქციონერებს შორის;

2. კონფლიქტი შიდა (ინსაიდერ) და გარე (აუტსაიდერ) აქციონრებს შორის;

3. კონფლიქტი მენეჯმენტსა (უაქციო ან აქციათა მცირე პაკეტით) და აქციონერებს შორის;

4. კონფლიქტი გარე არამეგობრულ მშთანმთქმელებსა და აქციონერებს შორის.

კორპორაციული კონფლიქტების განხილული ტიპების შიგნით კიდევ გამოიყოფა შემდეგი ნაირსახეობები:

- კანონმდებლობის ნორმების დარღვევა — დაკავშირებული კორპორაციული კანონმდებლობის ნორმებისა და პროცედურების გაუთვალისწინებელ დარღვევასთან, რომელიც აქციონერების მიერ მიიღება, როგორც მათი უფლებების ხელყოფა;
- შთანთქმა — კონფლიქტი, რომელიც წარმოიშობა აქ-

ციონერთა გარე ჯგუფის მიერ კომპანიაზე კონტროლის მოპოვების მცდელობის პროცესში;

- კონფლიქტი დივიდენდების თაობაზე — კონფლიქტი მსხვილ და წვრილ აქციონერებს შორის კომპანიის მოგების გამოყენებასთან დაკავშირებით;
- კონფლიქტი მენეჯერებთან — აქციონერებსა და მენეჯერებს შორის კომპანიის მართვის ეფექტიანობისა და მენეჯერთა კეთილსინდისიერ მოქმედებასთან დაკავშირებით;
- კონკურენცია — კონფლიქტები მიმართული კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და კონკურენტუნარიანობის დაცემისკენ;
- კორპორაციული შანტაჟი — კონფლიქტი მინორიტარი აქციონერების მონაწილეობით, რომელიც აიძულებს სააქციო საზოგადოებას ან მის მსხვილ აქციონერებს, გამოისყიდოს მინორიტარების კუთვნილი აქციათა პაკეტები საბაზროზე მაღალ ფასად, ანდაც გადაუხადონ თანხა კონფლიქტის შესაჩერებლად [2].

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არსებობს კონფლიქტის რამოდენიმე ტიპი, რომლებიც განსაკუთრებულ უარყოფით ზეგავლენას ახდენენ კომპანიის საქმიანობაზე.

პირველ როგში — ესაა კონფლიქტები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის მმართველთა ქმედებებთან, რომლებსაც აქციონერთა უფლებების დარღვევამდე მივყავართ. საკვანძო მომენტი აღნიშნული კონფლიქტების აღმოცენებაში არის მმართველთა საკუთარი მიზნები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის კომპანიის ინტერესებთან. მსგავსი კონფლიქტები ყველაზე ხშირად აღმოცენდება მრავალ აქციონერს შორის გაფანტული აქციების პირობებში. ესენი არიან ფიზიკური პირები, რომელთაც არა აქვთ საკმარისი ცოდნა აქციონერთა უფლებების შესახებ, როგორც კორპორაციული მართვის სუბიექტების შესახებ. რასაც პრაქტიკულად მივყავართ იქამდე, რომ აქციონერებს არა აქვთ რეალური შესაძლებლობა კორპორაციის მმართველების საქმიანობაზე განახორციელონ კონტროლი.

კონფლიქტის მეორე ტიპი — ესაა კონფლიქტი აქციათა მსხვილი (საკონტროლო) პაკეტების მფლობელებსა და მინორიტარულ

აქციონერებს შორის. პირველნი, მოქმედებენ რა თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილებები ისეთ გარიგებებზე, რომელიც ეწინააღმდეგება კომპანიის ინტერესებს, გადაწყვეტილებები დივიდენდების არგადახდაზე და სხვ.

კორპორაციულ კონფლიქტებს საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის გამოუსწორებელი მორალური და ეკონომიკური ზიანი მოაქვს. ყოველდღიურ პრაქტიკაში უკვე მიმდინარეობს მრავალრიცხოვანი სასამართლო განხილვები პროცედურული საკითხების დარღვევაზე აქციონერთა კრების ჩატარებისას, კომპანიის მმართველთა მიერ კანონსაწინააღმდეგო გარიგებებზე საწარმოს აქტივების გამოტანასთან დაკავშირებით, აქციონერებისათვის კომპანიის საქმიანობაზე ინფორმაციის არმიწოდების თაობაზე და სხვ.

სააქციო საზოგადოებებში, სადაც კორპორაციული ურთიერთობების ერთ-ერთი სუბიექტია სახელმწიფო, უფრო სრულადაა წარმოდგენილი კორპორაციული ურთიერთობების სუბიექტების ურთიერთსაწინააღმდეგო ეკონომიკური ინტერესების მთელი გამა.

კონფლიქტების რეგულირებაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტის მართვაში (განსაკუთრებით კორპორაციულის, რომლის საგანიცაა მართვის უფლება) უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამართლის ნორმებს, რომლებიც, როგორც სხვა სოციალურ ნორმები, ადამიანთა ქცევაზე რამდენიმე გზით ზემოქმედებენ.

ინფორმაციული ზემოქმედება — ნორმა ითვალისწინებს ქცევის ინდივიდუალურ ვარიანტს და აფრთხილებს ამა თუ იმ ქცევის შედეგზე;

ფასეულობითი ზემოქმედება — ნორმა ახდენს სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ აღიარებული ფასეულობების დეკლარირებას;

იძულებითი ზემოქმედება — ნორმა ფლობს იძულებით ძალას იმათთან მიმართებაში, ვინც მისი მოთხოვნების იგნორირებას ახდენს. ნორმის დარღვევის შემთხვევაში მოქმედებაში მოდის სამართლებრივი მექანიზმი.

ასევე მნიშვნელოვანი ასპექტია კორპორაციული კონფლიქ-

ტების თავიდან აცილება. ამის მიღწევა შემდეგი გზითაა შესაძლებელი:

- კანონმდებლობით გამკაცრდეს პასუხისმგებლობა კანონდარღვევაზე კორპორაციის მართვის სფეროში;
- კორპორაციული ურთიერთობების სუბიექტების სამართლებრივი კულტურის ამაღლება;
- კორპორაციული მართვის სფეროში სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმის სრულყოფა;
- სააქციო საზოგადოებების დირექტორთა საბჭოების შედეგიანი საქმიანობის ამაღლება;
- სააქციო კომპანიების მმართველი და დირექტორთა საბჭოს წევრების კადრების მომზადება;
- პროკურატურის თანამშრომლების, სამართალდამცავი ორგანოების ცოდნის ამაღლება კორპორაციული სამართლის სფეროში.

კორპორაციული კონფლიქტების თავიდან აცილების და რეგულირების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება კორპორაციული ქცევის კოდექსს [3. გვ.26].

იმისათვის, რომ კორპორაციამ ნორმალურად იფუნქციონიროს და შეასრულოს დასახული მიზნები, აუცილებელია კონფლიქტების წინასწარ განსაზღვრა და დარეგულირება. ეს, ერთის მხრივ, ხელს შეუწყობს აქციონერთა უფლებების დაცვას, ხოლო, მეორეს მხრივ, თავად კორპორაციის ქონებრივი ინტერესების დაცვას და საქმიანი რეპუტაციის შენარჩუნებას.

კონფლიქტების წინასწარ განსაზღვრას და დარეგულირებას ხელს უწყობს კომპანიის მიერ კანონმდებლობის უპირობო შესრულება, ასევე მისი კეთილსინდისიერი და გონიერი დამოკიდებულება აქციონერებთან. თუ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მოთხოვნებს გარკვეული სასამართლომდელი პროცედურების აუცილებელ შესრულებაზე კორპორაციული კონფლიქტების დარეგულირების მიზნით, მნიშვნელოვანწილად ამ პროცედურების გამოყენება დამოკიდებულია თავად სააქციო კომპანიის სურვილზე. ამ მხრივ შესაბამისი წესები შეიძლება ჩაიდოს წესდებაში ან სხვა შიდა დოკუმენტებში.

კომპანიის მუშაობის ეფექტიანობა კორპორაციული კონფლიქტების განსაზღვრისა და დარეგულირების მხრივ დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სწრაფად იქნება ისინი განხილული [5].

## დასკვნა

კორპორაციული კონფლიქტების თავიდან აცილება და აქციონერთა უფლებების დაცვა კარგი კორპორაციული მართვის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. კორპორაციული ურთიერთობების სუბიექტებს შორის ინტერესთა ბალანსის არარსებობა, სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრების ფასეულობებსა და ნორმებთან შეიძლება გახდეს კორპორაციული კონფლიქტის მიზეზი. კონფლიქტში შეიძლება ორი ან მეტი მხარე მონაწილეობდეს. თითოეული მათგანი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მხედველობაში იქნას მიღებული მისი აზრი ან მიზნები და ხელს უშლის სხვა მხარეს იმავე ქმედებებში. კონფლიქტების არა მხოლოდ დარეგულირება, არამედ მათი წინასწარ განსაზღვრა და თავიდან აცილება უნდა იყოს კორპორაციის სწორი და ეფექტიანი მართვის მთავარი ამოცანა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Глухова. Ю. С. Доклад на тему: «Типы корпоративных конфликтов, их урегулирование». Ижевск, 2012.

2. http://studopedia.org/5-3181.html

3. Корпоративное управление Учебное пособие / Под ред. Шихвердиева А.П. Издательство Академии Государственной службы при Главе Республики Коми, 2002г, 92с.

4. Е.В. Шимбарева. Виды, типы и формы корпоративных конфликтов. Журнал «Вопросы экономики и права». Москва, 2009, №7 стр. 29-36.

5. Гарипова В.В. Корпоративные конфликты и способы их разрешения // Российское предпринимательство. — 2007. — № 11 Вып. 2 (102). — с. 47-50.

http://old.creativeconomy.ru/articles/12268/

6. Данельян А.А. Классификация корпоративных конфликтов http://www.eurasialaw.ru/index.php?option=com_jcontentplus&view=article&id=2398:2011-09-22-07-04-00&catid=240:2011-09-22-06-13-24&Itemid=196

**REFERENCES:**

1. Glukhova S. Ю. Report on the topic: "The types of corporate conflicts and their regulation ", Izhevsk, 2012. (In Russian Language)

2. http://studopedia.org/5-3181.html

3. Corporate governance. Textbook ed. Shishverdieva A.P.// Publishing House of the academy public service at the Head of the Komi republic. 2002, 92p. (In Russian Language)

4. Shimbaraeva E.V. Types and forms of corporate conflict. Journal " Questions of economics and law". Moscow, 2009, №7 p. 29-36. (In Russian Language)

5. Garipova V.V.Corporate conflicts and their solutions . Russian entrepreneurship. — 2007. — № 11 ed. 2 (102). — c. 47-50. http://old.creativeconomy.ru/articles/12268/ (In Russian Language)

6. Danelian A.A. Classification of corporative conflicts.

http://www.eurasialaw.ru/index.php?option=com_jcontentplus&view=article&id=2398:2011-09-22-07-04-00&catid=240:2011-09-22-06-13-24&Itemid=196

# CLASSIFICATION OF CORPORATIVE CONFLICTS AND THEIR SOLUTION

**Iulia Tedeevi**
GTU, PHD Student

**Resume**

The paper discusses the origin of various types of conflict in corporative relations, their classification and criteria with different authors. The absence of interest balance between the subjects of corporative relations may become the reason of conflict. This question is clearly shown in this article. Sometimes this type of conflict gives irreparable damage for the company, society and may be for the country.

We shall also deal with the different sides of conflict. As we know the conflict may include not only two or three but several parties, each of them has its own goal and strives to achieve it. All arising conflict between corporate relations parties should be regulated by legal mechanisms. It is important to prevent the conflict by determining and elimination of the causing reasons.

**Key words**: conflict; corporation interests; classification of conflicts; regulation of conflicts.

# ეკონომიკური გლობალიზაციის გავლენა სამოქალაქო დაპირისპირებებზე

**ნესტან ჯაჭვლიანი,**
**ნანა ლობჟანიძე,**
**სალომე ლომსაძე,**
**ამზა ჩარგაზია**
თსუ ბაკალავრიატის
მე-2 კურსის სტუდენტები.

## რეზიუმე

გლობალიზაცია - ეს ის პროცესია, რომელიც დღეს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მოვლენებზე მნიშვნელოვნად მოქმედებს. მისი დადებითი როლი, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებზე, აშკარაა, მაგრამ, საპირისპიროდ, მოცემულ ნაშრომში გვსურს, ვაჩვენოთ გლობალიზაციის უარყოფითი ეფექტიც მოცემულ ქვეყნებში.

იმ დროს, როდესაც გლობალურ ბაზრებთან ინტეგრაციამ უნდა შეძლოს პრობლემების პრევენცია ქვეყნის შიგნით, ეს ყველაფერი პირიქით ხდება. სწორედ გლობალიზაციის პროცესსა და ქვეყნების გარკვეულ ჯგუფში განვითარებულ სამოქალაქო დაპირისპირებებს შორის არსებობს მიზეზშედეგობრივი კავშირი. ნაშრომში ნაჩვენები იქნება ლიბანის ქეისი, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი ეკონომიკის ზრდისა და, ამასთან, სამოქალაქო ომის 15-წლიანი გამოცდილებისა. სწორედ ეკონომიკური გლობალიზაცია გახდა ფაქტორი ომის გაღვივებისა და გახანგძლივებისა. ნაშრომის მიზანია, გვაჩვენოს ზოგადი მოცემულობა, ფაქტები და მათ შორის კავშირები, რაც დაამტკიცებს გლობალიზაციის პროცესის ეფექტებს ქვეყნის შიდა დაპირისპირებებზე.

**საკვანძო სიტყვები:** გლობალიზაცია, სამოქალაქო ომი, ბაზარი, ღიაობა, კონფლიქტი, კაუზალობა, ეკონომიკა

## შესავალი

მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სახელმწიფოთა ეკონომიკურ განვითარებაზე, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასა და სამოქალაქო ომებს შორის კი ყოველთვის არსებობდა გარკვეული დამოკიდებულება. აქედან გამომდინარე, დღეს აქტიურად მსჯელობენ იმის შესახებ, რომ ეკონომიკურ სფეროში მიმდინარე გლობალიზაციასა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ სამოქალაქო დაპირისპირებებს შორის გარკვეული კავშირი არსებობს.

## ძირითადი ტექსტი

გლობალური ეკონომიკური ინტეგრაცია გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, იწვევს ეკონომიკის ცვალებადობას, იცვლება ექსპორტისა და იმპორტის სექტორებს შორის არსებული კავშირები და შემოსავლები. ზოგადად, გლობალიზაცია ზრდის ეკონომიკურ ურთიერთობებს სახელმწიფოთა შორის, ხელს უწყობს კაპიტალის ინტერნაციონალიზაციას, იხსნება ბაზრები და უცხოური ფინანსური ნაკადები დიდი რაოდენობით შემოედინებიან ქვეყანაში. ეს უხვი ცვლილებები და სიახლეები კი, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს სახელმწიფოთა შიგნით არსებულ მდგომარეობაზე და მათ შორის შიდა კონფლიქტებზეც. ერთი რამ ცხადია - ეკონომიკური გლობალიზაციის სწრაფ ტემპებში გადასვლის პარალელურად სხვადასხვა სახელმწიფოებში კვლავ ხდება შიდა დაპირისპირებები და მათი რაოდენობა უფრო და უფრო იმატებს. სამოქალაქო დაძაბულობის კერები, რეალურად, ანტარქტიდის გარდა დედამიწის ყველა კონტინენტზე გვხვდება. განსაკუთრებით კონფლიქტების სიხშირით გამოირჩევიან აფრიკისა და აზიის სახელმწიფოები. მხოლოდ ამ ორ კონტინენტზე 1945-1999 წლებში 127 სამოქალაქო დაპირისპირება მოხდა. ყოველწლიურად ათასობით ადამიანი ეწირება სამოქალაქო კონფლიქტებს.[1]

1 Volker Krause and Susumu Suzuki. (2005) Causes of Civil War in Asia and

აქედან გამომდინარე, აღნიშნული საკითხის კვლევა ნამდვილად საინტერესოა.

ამ ნაშრომში განხილული იქნება 1975-1990 წლებში ლიბანში მიმდინარე სამოქალაქო ომი. დაპირისპირებაში კონფესიური ფაქტორი, მართალია, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, თუმცა მას მთლიანად კონფესიური ხასიათი არ ჰქონია. პოლიტიკურად მემარჯვენე მარიონეტები კონსერვატულად განწყობილ ბევრ მუსლიმთან ერთად მემარცხენე პალესტინელებს ებრძოდნენ, რომლებსაც სხვა მუსლიმი ლიბანელების მხარდაჭერა ჰქონდათ, განსაკუთრებით კი შიიტი მუსლიმების, რომლებიც ლიბანში, ისევე როგორც სხვა არაბულ ქვეყნებში, მოსახლეობის ყველაზე ღარიბ ფენას წარმოადგენენ. ლიბანის სამოქალაქო ომი ილუსტრირებას ახდენს კავშირისას ეკონომიკური დღის წესრიგისას, ძალისას და დაუცველობისას.[1]

ისმის კითხვა: რეალურად როგორ გავლენას ახდენს ეკონომიკური გლობალიზაცია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მომხდარ სამოქალაქო დაპირისპირებებზე? ხელს უწყობს, თუ პირიქით. ლიბანის სამოქალაქო ომის შემთხვევაში რა როლი შეასრულა ეკონომიკური გლობალიზაციის საფუძველზე მომხდარმა ცვლილებებმა?

ნაშრომის მიზანია მიზეზშედეგობრივი კავშირის წარმოჩენა ეკონომიკურ გლობალიზაციასა და სამოქალაქო კონფლიქტებს შორის, ლიბანის სამოქალაქო ომის განხილვის საფუძველზე ეკონომიკური გლობალიზაციის იმ ასპექტების გამოყოფა, რომელიც, შესაძლოა, გავლენას ახდენდეს სამოქალაქო ომების გაღვივებაზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

მეცნიერთა გარკვეული ჯგუფები, განსაკუთრებით ისინი, ვინც ნეოლიბერალურ იდეებს იზიარებენ, თვლიან, რომ ეკონომიკური ღიაობა მოიტანს სამოქალაქო ომების უფრო დაბალ რისკსა და სოციალურ ჰარმონიას. ეკონომიკური გლობალიზაცია მძლავრი დეტერმინანტია პოლიტიკური ძალადობის შესაჩერე-

**Sub-Saharan Africa: A Comparison. Social Science Quarterly 86(1): 167.**

**1 Marie-Joelle Zahar. (2000/2001) Is All the News Bad News for Peace? Economic Agendas in the Lebanese Civil War. International Journal 56(1): 119.**

ბლად. ლიბერალების აზრით, ბაზრების გაფართოება და გაღრმავება დადებითად იმოქმედებს მშვიდობასა და სოციალურ პროგრესზე.[1] შესაძლებლობა-ღირებულების პერსპექტივის გათვალისწინებით, ღია ეკონომიკის პირობებში ნაკლებად გროვდება სამოქალაქო აჯანყებისთვის საჭირო კაპიტალი, მაშინ, როცა დახურული ეკონომიკის არსებობის შემთხვევაში მეტი შესაძლებლობაა, ხორციელდებოდეს არალეგალური ეკონომიკური აქტივობები, რაც სუსტი სახელმწიფოს პირობებში გადაიქცევა ორგანიზებულ შეიარაღებულ საქმიანობაში.[2]

მკვლევართა გარკვეული ჯგუფი ხელმძღვანელობს ლიბანში ომის წინა პერიოდში არსებული ზოგადი ეკონომიკური მონაცემებით, როგორიც არის, მაგალითად, გაზრდილი მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, და აცხადებს, რომ ლიბანში ეკონომიკური გლობალიზაცია დადებითი შედეგების მომტანი იყო. ამ პერიოდში ღია ბაზრის პირობებში გაუმჯობესდა ეკონომიკური მაჩვენებლები.[3] შესაბამისად, არ არსებობს უარყოფითი კორელაცია სამოქალაქო ომსა და ქვეყნის გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში ჩართვას შორის. თუმცა, ამ შემთხვევაში მკვლევრები არ ითვალისწინებენ ქვეყნის შიგნით რეგიონების მიხედვით არსებულ მძიმე სიტუაციას. ასევე იმას, რომ ქვეყნის მოსახლეობა ორ პოლუსად იყო დაყოფილი ეკონომიკური კეთილდღეობის თვალსაზრისით: ძალიან მდიდრებად და უკიდურესად ღარიბებად.

განსხვავებით ნეოლიბერალებისაგან, ანტიგლობალისტების უმეტესობა, მათ შორის ნეომარქსისტები, მიიჩნევენ, რომ გლობალიზაცია სხვა არაფერია, თუ არა მდიდარი და ძლიერი ქვეყნების მიერ საკუთარი ძალაუფლების გავრცელება ექსპლუატატორი კაპიტალიზმის მეშვეობით და ეს არ იქნება მშვიდობის მომტანი. მხოლოდ საზოგადოების გარკვეული ფენები იღებენ სარგებელს, რის შედეგადაც ქვეყნის შიგნით გამოიყოფა მარ-

**1 Ranveig Drolsum Flaten and Indra de Soysa. (2012) Globalization and Political Violence, 1970-2008. International Interactions 38: 636.**

**2 Indra de Soysa and Hanne Fjelde. (2010) Is the Hidden Hand an Iron Fist? Capitalism and Civil Peace, 1970-2005. Journal of Peace Research 47(3): 292.**

**3 Samir Makdisi and Richard Sadaka. (2003) The Lebanese Civil War, 1975-1990. American University of Beirut Institute of Financial Economics 3: 15.**

გინალური ჯგუფები. ხელისუფლება ცდილობს მათ დახმარებას, მაგრამ ვერ ახერხებს, მის მიერ გატარებული ღონისძიებები არაეფექტურია. რადგან თავისუფალ ბაზრებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ პოლიტიკაზეც, მთავრობები დაკარგავენ კონტროლს გადასახადებზე, გადაწყვეტილების მიღებაზე, სახელმწიფოს როლის დაკნინების პირობებში გლობალიზაცია იქნება უხარისხობის და დაუცველობის მომტანი. სახელმწიფოები ველარ შეძლებენ, დაიცვან თავიანთი მოქალაქეები, მათი დემოკრატიული უფლებები. მსოფლიო ბანკს შეუძლია ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც დააზარალებს ჩვეულებრივ მოსახლეობას.[1]

არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც, რომელთა მიხედვითაც საერთაშორისო ვაჭრობა ეს ის მექანიზმია, რომელიც ორი ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით შეიძლება მოქმედებდეს სამოქალაქო კონფლიქტებზე. ერთი მხრივ, რადგან სამოქალაქო ომი ანგრევს ქვეყნის ეკონომიკასა და სავაჭრო მიღწევებს, სახელმწიფოს აქტიურმა ჩართვამ საერთაშორისო ვაჭრობაში და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდამ შეიძლება ითამაშოს შემაკავებელი როლი სამოქალაქო კონფლიქტებში, თუმცა, მეორე მხრივ, საერთაშორისო ბაზარს შეუძლია იმოქმედოს, როგორც ერთგვარმა დამზღვევმა და უზრუნველყოს ქვეყნის შიდა ბაზრის შეცვლა სამოქალაქო ომის პერიოდში.[2] საზოგადოებები, რომლებიც ეკონომიკურად ღიაა, ყოველთვის უფრო მშვიდობიანია, თუმცა, ამავდროულად, ეკონომიკის ლიბერალიზაცია სუსტად ზრდის არასტაბილურობის ხარისხს ქვეყანაში. ამ მხრივ, გლობალიზაცია არ უნდა განვიხილოთ, როგორც სრულიად უწყინარი პროცესი.

დღეს საკმაოდ ბევრი მკვლევარი მივიდა დასკვნამდე, რომ ზოგადი კვლევა ეკონომიკურ გლობალიზაციასა და სამოქალაქო ომებს შორის კავშირის დასადგენად სრულიად უსარგებლოა.

---

**1 Ranveig Drolsum Flaten and Indra de Soysa. (2012) Globalization and Political Violence, 1970-2008. International Interactions 38: 633.**

**2 Philippe Martin, Mathias Thoenig and Thierry Mayer. (2008) Civil Wars and International Trade. Journal of the European Economic Association 6 (2/3): 545.**

უფრო ზუსტი დასკვნების გასაკეთებლად, საჭიროა თითოეული სახელმწიფოს შემთხვევა ცალცალკე იქნას განხილული.[1] ეკონომიკური გლობალიზაციის გარკვეულმა ასპექტებმა ერთ ქვეყანაში, შესაძლოა, დაარღვიოს სამოქალაქო ჰარმონია, მეორეში კი პირიქით. უფრო მეტიც, ზოგიერთი მკვლევარი უპირატესობას ანიჭებს შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ამ ორ ცვლადს შორის არსებითი კავშირი არ არსებობს.[2]

51 შესწავლილი სამოქალაქო ომიდან, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ 35 ომში გლობალიზაციამ დადებითი გავლენა იქონია ომის დაწყებაზე, 14 შემთხვევაში შეამცირა ომის რისკები, 2 შემთხვევაში საკმარისი მონაცემების არქონის გამო შესაბამისი დასკვნების გაკეთება ვერ მოხერხდა.[3]

ლიბანის სამოქალაქო ომი დაიწყო 1975 წლის აპრილში, 29 წლის შემდეგ, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობის მოპოვება შეძლო ,საბოლოოდ იქნა გაყვანილი ტერიტორიიდან უცხოური ჯარები. სამოქალაქო ომი შეიძლება, დავყოთ სამ ფაზად. ომის აღნიშნული ფაზები ერთმანეთისგან შეიძლება, განვასხვაოთ სპეციფიური განვითარების საწყისებით, რომელიც ახასიათებდა თითოეულ მათგანს.

პირველი ფაზა მოიცავს 1975-1977 წლებს, რომლის დროსაც ძირითადი შეტაკებები მიმდინარეობდა დაპირისპირებულთა ორ ბანაკს შორის. ერთ ბანაკს წარმოადგენდნენ ტრადიციული ქრისტიანული გაერთიანებები ანუ მარიონეტების გაერთიანებები, რომლებიც იყვნენ მთავრობის მომხრეები, ხოლო მეორეს - ლიბანის პოლიტიკური პარტიების კოალიციის მხარდამჭერები ე.წ. PLO. PLO ეფექტურად აკონტროლებდა ქვეყნის დედაქალაქ ბეირუთის დასავლეთ ნაწილს, ხოლო ტრადიციული ქრისტიანუ-

**1 Margit Bussmann and Gerald Schneider. (2007) When Globalization Discontent Turns Violent: Foreign Economic Liberalization and Internal War. International Studies Quarterly 51 (1): 82.**

**2 Caroline A. Hartzell, Matthew Hoodie and Molly Bauer. (2010) Economic Liberalization via IMF Structural Adjustment: Sowing the Seeds of Civil War? International Organization 64 (02): 349.**

**3 Mark David Nieman. (2011) Shocks and Turbulence: Globalization and the Occurrence of Civil War. International Interactions, 37: 269.**

ლი გაერთიანებები აკონტროლებდნენ აღმოსავლეთ ბეირუთს. თუმცა, შემდეგ უკვე ჩაერივნენ საგარეო ძალები კონფლიქტში, განსაკუთრებით სირიის მხრიდან, რის შედეგადაც მოხერხდა ბეირუთის გაერთიანება. კონფლიქტის ეს პერიოდი მშვიდობის აღდგენით დასრულდა.

მეორე ფაზა კონფლიქტისა არის 1978-1982 წლები. ამ პერიოდში დაპირისპირებულ მხარეებს შორის ბრძოლა მიმდინარეობდა არა მხოლოდ ბეირუთში, არამედ ქვეყნის სხვა ნაწილებშიც. ისრაელიცა და სირიაც აქტიურად იყვნენ ჩართულნი სამხედრო მოქმედებებში. მთელი ქვეყანა გაყოფილი აღმოჩნდა: ნაწილს რეგიონებისას აკონტროლებდნენ სირიელები, ლიბანის არმია და მათი მომხრე ლიბანური დაჯგუფებები; მეორე ნაწილს აკონტროლებდა PLO და მისი მხარდამჭერი ლიბანური გაერთიანებები. ბეირუთი კვლავ აღმოჩნდა დაყოფილი დაპირისპირებულ მხარეთა შორის.

კონფლიქტის მესამე ფაზა 1982 წლის ივნისიდან 1990 წლის ოქტომბრამდე გრძელდებოდა. ამ ეტაპზე განსაკუთრებით მძიმე და სისხლისმღვრელი დაპირისპირებები მიმდინარეობდა. მხარეებმა დაიწყეს კონფლიქტის მოგვარებაზე ფიქრი, თუმცა რეალურად ეს ვერ ხორციელდებოდა. ომის მოცემულ ხანგრძლივობას თუ გავითვალისწინებთ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ 1982-1990 წლებში სწრაფად უარესდებოდა ეკონომიკური და სოციალური პირობები, რაც განპირობებული იყო ფინანსური მდგომარეობის გაუარესებით და დაჩქარებული ემიგრაციის ტემპებით. 1984 წლიდან ლიბანურმა ფუნტმა დაიწყო სწრაფი გაუფასურება. ეს იყო პერიოდი ბიუჯეტის მზარდი დეფიციტისა და ინფლაციის მაღალი დონისა.

სამოქალაქო ომი დამთავრდა 1989 წლის ოქტომბერში, მას შემდეგ, რაც არაბთა დახმარებით ქალაქ ტაიფში, საუდის არაბეთში, მოხერხდა ეროვნული შერიგება. ეს შეთანხმება ცნობილია, როგორც ტაიფის შერიგება და იგი რატიფიცირებულ იქნა იმავე თვეს ლიბანის პარლამენტის მიერ. თუმცაღა ქვეყნის ტერიტორიაზე მიმდინარე ბრძოლები სრულად 1990 წლის ოქტომბრამდე არ დასრულებულა.

ეს სამოქალაქო ომი ლიბანს ძალიან ძვირად დაუჯდა. ქვეყანამ 144 000-ზე მეტი ადამიანი დაკარგა, რაც მთლიანი მოსახლეობის 5 პროცენტი იყო. ასევე ქვეყნის ეკონომიკამ განიცადა უზარმაზარი დანაკარგები. [1]

მარქსისტი და ზოგიერთი რეალისტი თეორეტიკოსი თვლის, რომ ურთიერთდამოკიდებულება გაზრდის კონფლიქტის შესაძლებლობას, დაიწყება კამათი, როგორ უნდა გადანაწილდეს სარგებელი, უფრო მეტად ასიმეტრიული გახდება ეკონომიკური ურთიერთობები. ბაზრის ღიაობა გავლენას ახდენს საშინაო განხეთქილებებზე, რადგან ის წარმოშობს დამარცხებულებს და გამარჯვებულებს და ცვლის ძალთა ბალანსს შიდა ჯგუფებისთვის.[2] ეს ყველაფერი ლიბანის შემთხვევაშიც ნათლად დადასტურდა.

ლიბანში 1946-1975 წლებში ეკონომიკა სწრაფ აღმავლობას განიცდიდა. კერძო სექტორი თამაშობდა დომინანტურ როლს ეკონომიკურ განვითარებაში. ქვეყნის კერძო სექტორს, ტრადიციულად, სამეწარმეო ხასიათი ჰქონდა. სამთავრობო პოლიტიკა უმეტესწილად იყო არაინტერვენცისტული და მხარს უჭერდა კერძო სექტორის ინიციატივებს. ქვეყნის შიგნით კონსერვატიული ფისკალური პოლიტიკა გრძელდებოდა. მონეტარულმა პოლიტიკამ მნიშვნელოვანი როლის თამაში დაიწყო მხოლოდ ომის დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე. ეკონომიკური საწარმოების საჯარო სექტორის მართვა შემოიფარგლებოდა რამდენიმე კომუნალური გადასახადით. რაც შეეხება საგარეო სფეროს, თავისუფალი უცხოური მიმოცვლის სისტემა 1950-იანი წლებიდან დაიწყო, რათა კერძო სექტორი თავისუფლად ინტეგრირებულიყო დანარჩენ სამყაროსთან.

მთავრობა ომის წინა პერიოდში ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად ყველაფერს აკეთებდა. ლიბანელები აქტიურად ჩაერთვნენ გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში. ისინი

---

**1 Samir Makdisi and Richard Sadaka. (2003) The Lebanese Civil War, 1975-1990. American University of Beirut Institute of Financial Economics 3: 13.**

**2 Ryan D. Griffiths and Ivan Savić. (2009) Globalization and Separatism: The Influence of Internal and External Inerdependence on the Strategies of Separatism. PGDT 8: 436**

მოიხიბლნენ უცხოური კაპიტალით. ასევე ქვეყანაში აქტიურად დაიწყო ფულის შემოდენა ლიბანური დიასპორის წარმომადგენელი ემიგრანტებისგან, განსაკუთრებით მათგან, ვინც აშშ-სა და სამხრეთ ამერიკაში ცხოვრობდნენ. ყოველწლიური საშუალო ეკონომიკური ზრდა 1950 წლიდან 1974 წლამდე დაახლოებით 7% იყო. ყოველწლიური ინფლაციის მაჩვენებელი 1971 წლამდე იყო დაახლოებით 2-დან 3 პროცენტამდე. შემდეგ მან დაიწყო სწრაფი ზრდა და ომის დაწყებამდე ბოლო სამი წლის განმავლობაში დაახლოებით 8 პროცენტს შეადგენდა. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად გაიზადრა ერთ სულ მოსახლეზე არსებული შემოსავალი ქვეყანაში. 1974 წლის მონაცემით, აღნიშნული მაჩვენებელი ქვეყანაში დაახლოებით $1,200 იყო, რაც წარმოადგენდა იმ პერიოდში ერთ-ერთ ყველაზე მაღალ მაჩვენებელს განვითარებად ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ ლიბანში საგანმანათლებლო სტანდარტებიც საკმაოდ მაღალი იყო: იმავე წელს სკოლაში ჩარიცხულთა რაოდენობა პირველ და მეორე საფეხურზე 74 პროცენტს წარმოადგენდა. არსებული მაჩვენებელი კვლავ მაღალი იყო მეზობელ არაბულ ქვეყნებში არსებულ სიტუაციასთან, ასევე სხვა ბევრ განვითარებად ქვეყანასთან მიმართებაში.

მიუხედავად ძლიერი ეკონომიკური ზრდისა, ქვეყანაში მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა არსებობდა. ლიბანში შექმნილმა სიტუაციამ დაადასტურა ანტიგლობალისტების შეხედულებები: ბაზრის ღიაობა გავლენას ახდენს საშინაო განხეთქილებებზე, რადგან ის წარმოშობს დამარცხებულებსა და გამარჯვებულებს და ცვლის ძალთა ბალანსს შიდა ჯგუფებისთვის. ამ თეორიის მიხედვით, გლობალური ინტეგრაცია არის ასოცირებული სამოქალაქო ომების რისკის ზრდასთან.

გლობალიზაციას აქვს ძალიან ბევრი მიმზიდველი თვისება, რის გამოც სახელმწიფოებს სურთ გლობალურ სისტემაში ინტეგრირება. მათ სურთ მატერიალური სიმდიდრე, მაგრამ აღნიშნულ პროცესს ბევრი უარყოფითი შედეგიც ახლავს თან, რომლებიც ნათელს ხდიან, რატომ არ არის კარგი ბაზრის გახსნილობა.

განვაგრძოთ ლიბანის სამოქალაქო ომის მაგალითის განხილვა. ეკონომიკური ღიაობის პირობებში საოცრად არათანაბარი განვი-

თარების დონე იყო ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში და მიღწეული შეზღუდული პროგრესი რეალურად ქმნიდა უფსკრულს მაღალი და დაბალი შემოსავლის მქონე ჯგუფებს შორის. 70-იანი წლების შუა პერიოდში ჩატარებული კვლევა მიუთითებს, რომ 1973-1974 წლებში ლიბანის მოსახლეობის 54% მაინც კლასიფიცირდებოდა, როგორც ღარიბი ან შედარებით ღარიბი; 25% იყო საშუალო კლასის წარმომადგენელი, ხოლო დარჩენილი 21% მდიდარი ან ძალიან მდიდარი იყო. სხვა განვითარებად ქვეყნებთან შედარებით, ეს უთანასწორობა არ იყო მკვეთრად გამოხატული, თუმცა ეს ყველაფერი კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რეგიონული უთანასწორობისა და კონფესიური ჯგუფების ზომების კუთხით. მაგალითად, საშუალო კლასის პოზიციები განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ბეირუთში (დომინირებდნენ სუნიტი მუსლიმები და ქრისტიანები) და ცენტრალურ მთიან რეგიონში (დომინირებდნენ ქრისტიანები); ვიდრე ისეთ რეგიონებში, როგორიც არის სამხრეთი, ბექა, უკიდურესი ჩრდილოეთი და აკკარი ჩრდილოეთში, სადაც დომინირებდნენ შიიტი და სუნიტი მუსლიმები. ამ დაჩაგრულ რეგიონებში მიწის დიდ ნაკვეთებზე საერთო მფლობელობა და კლასებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არსებობდა. ეს სურათი ნათელ წარმოდგენას ქმნიდა იმისა, რომ კონფესიების მიხედვით არათანაბრად ნაწილდებოდა შემოსავალი, განსაკუთრებით შიიტური საზოგადოების მიმართ.[1]

ეკონომიკური პროცესების შედეგად შესაძლებელია სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ფსიქოლოგიური დისტანციის გაზრდა. ასეთი გაუცხოებული ჯგუფები პოლიტიკური და მატერიალური დახმარების მოპოვების მიზნით შეიძლება მიემხრონ სხვებსაც, რომლებთანაც უფრო ახდენენ საკუთარი თავის იდენტიფიცირებას და ავლენენ ფსიქოლოგიურ სიახლოვეს. ზოგადად, ბევრი მიიჩნევს, რომ ლიბანის პოლიტიკური სისტემა აუცილებლად უნდა შეცვლილიყო, რადგან აქ იყო კორუფციის მაღალი დონე, არაეფექტური, არასტაბილური და ერთ-ერთი ჯგუფის სასარგებლოდ ორიენტირებული სიტუაცია სუფევდა.

**1 Samir Makdisi and Richard Sadaka. (2003) The Lebanese Civil War, 1975-1990. American University of Beirut Institute of Financial Economics 3: 42.**

გარდა ამისა, ამბოხი უფრო მიმზიდველი და შესაძლებელია, თუ დაფინანსების წყაროები არის ხელმისაწვდომი და ამის შესაძლებლობა კიდევ უფრო იზრდება ღია საზღვრების არსებობის პირობებში. გაზრდილი დონე გლობალიზაციისა შესაძლებლობას აძლევს აჯანყებულ ჯგუფებს, მიიღონ საგარეო მხარდაჭერა შიდა ხელისუფლებასთან დაპირისპირების დროს. ასევე გლობალიზაცია უადვილებს უცხოელ მხარდამჭერებსაც, აღმოუჩინონ დახმარება აჯანყებულ მოსახლეობას სურვილის შემთხვევაში. ხშირად ესენი არიან ქვეყნის დიასპორის წარმომადგენლები საზღვარგარეთიდან. მათი დახმარება შეიძლება იყოს გამოხატული ფინანსური სახით, იარაღის მიწოდებით ან საკუთარ მთავრობებზე ზეწოლით და მათგან აჯანყებულთათვის დახმარების მოთხოვნით.

ლიბანში საგარეო ფაქტორებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ომის პროვოცირებაში, მის ხანგრძლივობასა და შემდეგ დასასრულშიც. სირია და ისრაელი თავიდანვე აქტიურად იყვნენ ჩართულნი ლიბანის სამოქალაქო კონფლიქტის მსვლელობაში. მთლიანობაში 30 მილიარდი დოლარი შევიდა გარე დაფინანსებიდან ქვეყანაში სამოქალაქო ომის პერიოდში.[1]

ამასთანავე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, ქვეყანა თავად ერთვება თუ არა საერთაშორისო ბაზარში, არამედ მისი მეზობელი ქვეყნებიც რამდენად არიან ამ სისტემის წევრი. ლიბანის შემთხვევაში მის მეზობელ სახელმწიფოებს ჩაკეტილი ეკონომიკური სისტემა ჰქონდათ შენარჩუნებული და ნაკლებად იყვნენ ჩართულნი გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში. მკვეთრად საპირისპიროდ მეზობელმა ქვეყნებმა დაიწყეს კონტროლი მიმოცვლაზე და მისცეს საჯარო სექტორს წამყვანი როლის თამაშის უფლება ეკონომიკის განვითარებაში.

გლობალიზაციამ სახელმწიფოებზე სხვადასხვა სახის გავლენა შეიძლება მოახდინოს. ის შეიძლება დიდი ეკონომიკური მიღწევების საფუძველი გახდეს. თუმცა სახელმწიფოებმა სუსტი ინსტიტუტებით ნაკლებად შეიძლება, გაუძლონ გლობალიზა-

**1 Samir Makdisi and Richard Sadaka. (2003) The Lebanese Civil War, 1975-1990. American University of Beirut Institute of Financial Economics 3: 31.**

ციის მღელვარე ბუნებას. ამ ყველაფერმა შეიძლება, გამოიწვიოს სახელმწიფოს შიდა ინსტიტუტების შესუსტება. საერთაშორისო სისტემაში ინტეგრირებას თან სდევს მთელი რიგი შოკები, გლობალიზაციის მოულოდნელი შოკი დიდი ალბათობით უფრო გამოიწვევს დესტაბილიზაციას, ვიდრე ქვეყნის აღზევებას. სწორედ მსგავსი რამ მოხდა ლიბანის შემთხვევაში. ახალჩამოყალიბებულმა და თან მულტიკონფესიურმა სახელმწიფომ ვერ გაუძლო ეკონომიკური გლობალიზაციის გამოწვევებს.

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური გლობალიზაცია ფართოდ გავრცელებული და ყოვლისმომცველი პროცესია, აქედან გამომდინარე აუცილებელია მისი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეების დეტალური გაანალიზება. მნიშვნელოვანია, განისაზღვროს ის ზეგავლენა, რომელიც ბაზრების გახსნამ შეიძლება იქონიოს სამოქალაქო ომების გაღვივებაზე. აღნიშნულ საკითხზე მკვლევარებს შორის არსებობს თეორიული დაპირისპირება.

მოცემულ ნაშრომში ლიბანის სამოქალაქო ომის მაგალითზე სხვადასხვა ფაქტების გაანალიზებითა და კაუზალური კავშირების დამყარებით ნათელი ხდება, რომ ეკონომიკურმა გლობალიზაციამ ხელი შეუწყო აღნიშნული კონფლიქტის გაღვივებასა და განვითარებას.

გლობალიზაცია, ეჭვგარეშედ, ზრდის მსოფლიო მწარმოებლურობას და ეხმარება მილიონობით ადამიანს სიღარიბის დაძლევაში, ასევე აძლიერებს თანამედროვე სახელმწიფო სტრუქტურის ზოგიერთ ასპექტებს. თუმცაღა, იგივე მექანიზმებმა, რომლებიც იწვევენ კეთილდღეობას, შეიძლება, გამოიწვიონ არც თუ სასიამოვნო ცვლილებები, შეცვალონ ტრადიციული კონცეფცია მსოფლიოში, გავრცელებული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ურთიერთობები. როდესაც გლობალიზაციის ზრდის ტემპები იმდენად დიდია, რომ სახელმწიფოს აღარ შეუძლია მასთან გამკლავება, ამ ყველაფერმა შეიძლება სამოქალაქო ომიც გამოიწვიოს.

ლიბანის სამოქალაქო ომი არის ერთ-ერთი თვალნათელი მაგალითი ყოველივე ამისა. რა თქმა უნდა, ერთი კონკრეტული ქეისის

შედეგების საყოველთაოდ გაზიარება და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მომხდარ ყველა სამოქალაქო ომზე მისი განზოგადება არ იქნება მართებული, მაგრამ აღნიშნულ კვლევას დიდი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს. მას თავისი წვლილი შეაქვს ეკონომიკური გლობალიზაციის სამოქალაქო ომებზე უარყოფითი გავლენის გამოაშკარავებასა და გაანალიზებაში.

**REFERENCES:**

1. Bussmann, Margit and Gerald Schneider. (2007) When Globalization Discontent Turns Violent: Foreign Economic Liberalization and Internal War. *International Studies Quarterly* 51 (1):79-97.

2. de Soysa, Indra, and Hanne Fjelde. (2010) Is the hidden hand an iron fist? Capitalism and Civil Peace, 1970-2005. *Journal of Peace Research* 47 (3): 287-298.

3. Flaten, Ranveig Drolsum, and Indra de Soysa. (2012) Globalization and Political Violence, 1970-2008. *International Interactions* 38:622-646.

4. Griffiths, Ryan D. and Ivan Savić. (2009) Globalization and Separatism: The Influence of Internal and External Interdependence on the Strategies of Separatism**.** *PGDT* 8: 429-454

5. Hartzell, Caroline A.; Hoddie, Matthew and Molly Bauer. (2010) Economic Liberalization via IMF Structural Adjustment: Sowing the Seeds of Civil War? *International Organization* 64 (02): 339-356.

6. Krause, Volker and Susumu Suzuki. (2005) Causes of Civil War in Asia and Sub-Saharan Africa: A Comparison. *Social Science Quarterly* 86(1):160-177

7. Makdisi, Samir and Richard Sadaka. (2003) The Lebanese Civil War, 1975-1990. *American University of Beirut Institute of Financial Economics* 3:1-53

8. Martin, Philippe; Thoenig, Mathias and Thierry Mayer. (2008) Civil Wars and International Trade. *Journal of the European Economic Association* 6 (2/3): 541-550.

9. Nieman, Mark David. (2011) Shocks and Turbulence: Globalization and the Occurrence of Civil War. *International Interactions*, 37:263–292

10. Zahar, Marie-Joelle.(2000/2001) Is All the News Bad News for Peace? Economic Agendas in the Lebanese Civil War. *International Journal* 56(1):115-128

## THE INFLUENCE OF ECONOMIC GLOBALIZATION ON CIVIL CONFLICTS

**Nestan Jachvliani, Nana Lobjanidze,**
**Salome Lomsadze, Amza Chargazia**
Bachelor Students of TSU, Second Course.

**Resume**

Globalization - this is a process which has an important influence on political and economic events worldwide. There is no doubt that it plays a positive role, especially in the developing countries, but, on the other hand, we want to show the negative effects of globalization on this countries. When the integration with global market is supposed to prevent the list of problems in the country, it all happens otherwise. There is a causal link between the process of globalization and the process of coming into civil conflicts. In this work there will be shown the case of Lebanon, as one of the best examples of the economic growth and as one of the most experienced countries in civil wars (15 years from 1975 to 1990). The economic globalization became the main factor of provoking and lengthening this war. The main purpose of this work is showing the general situation, facts and connections between them. That will prove the effects of globalization process on country's inner confrontations.

**Keywords:** globalization, negative effects, civil wars, economy, global market, causality, conflicts.

# BREXIT- ბრიტანეთის შესაძლო გამოსვლა ევროკავშირიდან: ეკონომიკის გაძლიერება თუ მისი სტაგნაცია

**გუგა ბერძენიშვილი,**
თსუ სტუდენტი

## რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ის სავარაუდო შედეგები, რაც შეიძლება ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვებით იქნეს გამოწვეული და გააანალიზებულია ამ „ბორკილებიდან გათავისუფლების" შედეგები ბრიტანეთისთვის, როგორც ამას BREXIT-ის მომხრეები მოითხოვენ. აქედან გამომდინარეობს საკვლევი კითხვაც: რა შედეგების მომტანი იქნება ბრიტანეთისათვის ევროკავშირის დატოვება და რას გამოიწვევს ის: ეკონომიკის გაძლიერებას თუ პირიქით - მის სტაგნაციას. ამისათვის მიმოვიხილავთ ბრიტანეთის ეკონომიკის თითოეულ შემადგენელ ასპექტს და განვიხილავთ მას როგორც დამოუკიდებელ ვითარებაში, აგრეთვე ევროკავშირში ყოფნის პირობებშიც, რათა უფრო ნათლად შევძლოთ განსხვავებების დანახვა და მოვახდინოთ შედეგების შედარება და სპეკულაცია.

**საკვანძო სიტყვები:** დიდი ბრიტანეთი, ევროკავშირი, ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ეკონომიკის სიძლიერე, ეკონომიკის სტაგნაცია.

## შესავალი

ბოლო პერიოდში გააქტიურებულია საუბრები და დებატები ბრიტანეთის ევროკავშირიდან შესაძლო გამოსვლასთან დაკავშირებით. 2013 წელს, დევიდ კემერონმა წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში პირობა დადო, რომ თუ კონსერვატიული პარტია გაიმარჯვებდა 2015 წლის საპარლამენტო არჩევნებში, ის არაუგვიანეს 2017 წლისა ჩაატარებდა რეფერენდუმს ევროკავშირიდან გამოსვლა/დარჩენასთან დაკავშირებით. როგორც არჩევნებმა გვიჩვენა, გამარჯვებული სწორედ რომ კოსერვა-

ტიული პარტია და დევიდ კემერონი გამოცხადდნენ და რეფერენდუმის ჩატარების ბედიც პრაქტიკულად გადაწყვეტილია. მეტიც, მოსალოდნელია რომ რეფერენდუმი შეპირებულზე ადრე, 2016 წელსაც კი გაიმართოს. ეს ხაზს უსვამს კემერონის სურვილს, გადახედოს ურთიერთობებს კონტინენტურ ევროპასთან მიმართებაში. მნიშვნელოვანია, რომ ჯერ კიდევ 2010 წლიდან მოყოლებული, მოსახლეობა ორად არის გაყოფილი ევროკავშირში დარჩენასთან დაკავშირებით, ამას ადასტურებს ის ყველაზე მასშტაბური გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა 20000 ადამიანმა მიიღო და რომლის მიხედვითაც 41% მხარს უჭერს ევროკავშირში დარჩენას, 41% ევროკავშირის დატოვებას, ხოლო 18%-ს არ დაუფიქსირებია საკუთარი ხმა (Manifesto, 30). გარდა კონსერვატიული პარტიისა, სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალები, ისეთები როგორებიც არიან ლეიბორისტული პარტია და ლიბერალ-დემოკრატები, სკეპტიკურად უყურებენ რეფერენდუმს და მის ჩატარებას მხოლოდ სუვერენიტეტის უფრო დიდი მასშტაბებეით დაკარგვის შემთხვევაში ემხრობიან (Williamson, 2015).

## ძირითადი ტექსტი

**ლიტერატურის მიმოხილვა.** პირველ რიგში, ლიტერატურის მიმოხილვიდან ვნახავთ თუ რას ფიქრობენ დარგის ექსპერტები ამ საკითხთან დაკავშირებით, რათა უფრო ღრმად ჩავწვდეთ საკითხის არსს და კომპეტენტური ანალიზის გაკეთება შევძლოთ.

კონკურენციისა და ეკონომიკური საკითხების ექსპერტი მულტინაციონალური იურიდიული ფირმიდან „Hogan Lovells“, სუზან ბრაიტი აცხადებს, რომ ევროკავშირის დატოვების შემთხვევაში, ბრიტანეთის ბიზნეს სექტორს მოუწევს გადახედოს იმ გზას ,რომლითაც ის აქამდე ფუნქციონირებდა. მათ ასევე მოუწევთ ახალი იურიდიული კანონმდებლობის შემოღება ვაჭრობის ეფექტურად განხორციელებისთვის, რაც, რა თქმა უნდა, საწყის პირობებში ზედმეტი თავისტკივილია და სრულ

ადაპტაციამდე შესაძლოა მცირე შეფერხებები გამოიწვიოს (Hogan Lovells, 2015). გერმანიის ერთ-ერთი წამყვანი კვლევითი ფონდი - „The Bertelsmann Foundation" ამტკიცებს, რომ ბრიტანეთის გამოსვლას გრძელვადიანი ნეგატიური შედეგები ექნება ქვეყნის ზრდის დინამიურობასა და ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობაზე. მისი ზარალი გაცილებით დიდი იქნება, ვიდრე მაგალითად გერმანიისა და დანარჩენი ქვეყნების, მაგრამ მთავარი ისაა, რომ როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკური თვალსაზრისითაც, ყველა ჩართული მხარე წააგებს (The Bertelsmann Foundation, 2015). მკვლევარი დევიდ მარკანდიც ნეგატიური შედეგების მომტანად აფასებს ბრიტანეთის გასვლას ევროკავშირიდან და ეკონომიკური ფაქტორების ანალიზის მაგივრად, ამტკიცებს რომ ეს მოვლენა უარყოფითად იმოქმედებს ქვეყნის შესაძლებლობაზე შეინარჩუნოს სოციალური დემოკრატია (Marquand, 2013, 26). განსხვავებულ იდეას აყენებს ევროსკეპტიკი ეკონომისტი როჯერ ბუტლი, რომელიც ამტკიცებს, რომ ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვება გადასახადის გადამხდელებს მილიარდებს დაუზოგავს, მოაწესრიგებს იმიგრაციის საკითხს და გაათავისუფლებს ქვეყანას ზედმეტი ეკონომიკური „ტვირთისაგან". „მხოლოდ 2012 წელს, ბრიტანეთმა გადაიხადა £16.4 მილიარდი, მაშინ როდესაც მიიღო მხოლოდ £6.9 მილიარდი. ანუ ბრიტანეთმა გააკეთა სუფთა კონტრიბუცია £9.5 მილიარდის სახით, რაც ქვეყნის ნომინალური მშპ-ის 0.6%-ს წარმოადგენს", ამბობს ბუტლი. აქედან გამომდინარე მისი თქმით ეს ინსტიტუცია მისი ეკონომიკისთვის წამგებიანია და იგი ემხრობა ევროკავშირის დატოვების იდეას (CapitalEconomics).

ამონარიდებიდანაც კარგად ჩანს, რომ ხმები იყოფა. თუ ზოგიერთი მათგანი ბრიტანეთის ეკონომიკისთვის ნეგატიურად აფასებს მომავალში მის შესაძლო გამოსვლას ევროკავშირიდან, სხვანი ამტკიცებენ რომ ბრიტანეთის სწორედ ახლანდელი მდგომარეობაა წამგებიანი და საჭიროა ცვლილებები ევროკავშირთან ურთიერთობის მხრივ. ახლა შესაძლებელია უკვე ღრმა ანალიზის დაწყება და ქვეყნის ეკონომიკის თითოეული

შემადგენელი ნაწილის მეტნაკლები სიზუსტით დაკვირვება და იმის დადგენა, თუ როგორ შეიცვლებიან ისინი დამოუკიდებლად მოქმედების პირობებში, რა განსხვავებებს მოგვცემს არსებულ მდგომარეობასთან შედარებით და მოგვცემს დასკვნის გაკეთების საშუალებას იმის თაობაზე ,თუ რომელი უფრო მომგებიანი იქნება ბრიტანეთისთვის მომავალში: ევროკავშირში დარჩენა თუ მისი დატოვება.

**ისტორიული რაკურსი.** ზოგადად აღსანიშნავია ბრიტანეთის განსაკუთრებულობა და მისთვის დამახასიათებელი, განსხვავებული ურთიერთობა ევროკავშირთან. მხოლოდ ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, დიდმა ბრიტანეთმა ევროგაერთიანების წევრობის სურვილი ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდანვე გამოთქვა, მაგრამ მის აპლიკაციას ორჯერ ვეტო საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა დაადო, ჯერ 1961 წელს, ხოლო მეორედ - 1967 წელს. საბოლოოდ ბრიტანეთი ევროგაერთიანების წევრი პირველი გაფართოების შედეგად გახდა 1973 წელს და ეს განპირობებული იყო საფრანგეთის მმართველობის შეცვლით (CVCE, 2012). მიუხედავად ამდენი მცდელობისა, გაწევრიანების შემდეგ ორ წელიწადში ბრიტანეთმა რეფერენდუმი ჩაატარა ევროგაერთიანებაში დარჩენასთან დაკავშირებით. გარდა ამ ისტორიული რაკურსისა, ბრიტანეთის განსაკუთრებულობა სხვა ასპექტებითაც გამოიხატება. იყო და არის ბრალდებები რომ ბრიტანეთი არ არის „ნამდვილი ევროპული“ სახელმწიფო, შარლ დე გოლის თქმით ის იყო ამერიკული იმპერიალიზმის ტროას ცხენი. არის რა კუნძულოვანი სახელმწიფო, იგი არასდროს გამოირჩეოდა ევროპული ინტეგრაციის მაღალი ხარისხით. მიუხედავად ევროკავშირის წევრობისა, იგი არ არის არა მხოლოდ ევროზონის, არამედ შენგენის წევრი სახელმწიფოც.

მიუხედავად მისი განსაკუთრებულობისა და კონტინენტურ ევროპის ქვეყნებთან არსებული განსხვავებებისა, არ შეიძლება დარწმუნებით განისაზღვროს მომავალი რეფერენდუმის ბედი და გადაწყვეტით ვიწინასწარმეტყველოთ ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვება. ევროკავშირში დარჩენის მომ-

ხრეებისთვის რთულია იმის გაგება, თუ როგორ გადაუხვია კემერონმა კონსერვატორების ისტორიას. მხედველობაშია 1975 წლის ბრიტანეთის რეფერენდუმი ევროგაერთიანების დატოვებასთან დაკავშირებით. იმ დროს BREXIT-ის საკითხი უფრო მწვავედ იდგა, მაგრამ საბოლოოდ 67%-მა დარჩენას დაუჭირა მხარი და ამაში დიდი წვლილი სწორედ მაშინდელი კონსერვატიული პარტიისა და ოპოზიციის ლიდერს მარგარეტ ტეტჩერს მიუძღვის. კიდევ ერთი მიზეზი, თუ რატომ არ შეიძლება წინასწარი ვარაუდი ბრიტანეთის ევროკავშირის დატოვებასთან დაკავშირებით არის 2014 წლის სექტემბერში ჩატარებული შოტლანდიის რეფერენდუმი დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. მოსახლეობის 55%-მა მხარი სწორედ დიდ ბრიტანეთში დარჩენას დაუჭირა და ეს ძირითადად განპირობებული იყო ალტერნატივის ბუნდოვანებასა და გაურკვევლობაში. სწორედ იგივე ფაქტორებმა შეიძლება ითამაშონ თავიანთი როლი მოსალოდნელ რეფერენდუმშიც, როდესაც საქმე ევროკავშირის დატოვებასა და დამოუკიდებლად მოქმედების დაწყებასთან გვექნება საქმე (MacShane, 2015). ეს ყველაფერი სწორედ ზუსტად ასახავს იმ გამოკითხვის შედეგებს, რომელზეც ზევით ვისაუბრეთ და რომელშიც მოსახლეობის ხმები ორად გაიყო.

**ეკონომიკა.** მიმდინარე ცვლილებების გაანალიზებისთვის მეტად საინტერესოა თუ რა ურთიერთობა ექნებათ ბრიტანეთსა და ევროკავშირს გამოყოფის შემთხვევაში. ოპტიმისტური ხედვის თანახმად, თუ ბრიტანეთი მოახერხებს ევროკავშირთან შვეიცარიის სტატუსის მიღებას და მასთან თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (FTA) შენარჩუნებას, მისი შემოსავალი დაიკლებს მთლიანი მშპ-ის 2.2%, ხოლო იზოლაციის პირობებში მისი შემოსავალი დაეცემა მშპ-ის 6.3%-დან 9.5%-მდე. ხოლო 2030 წლისათვის, ანუ ევროკავშირის მოსალოდნელი დატოვებიდან 13 წელიწადში, როდესაც ნეგატიური ეფექტები ბოლომდე იქნება გამოვლენილი, ვარდნა 14%-ს მიაღწევს(TheGuardian).

**ვაჭრობა.** ევროკავშირიდან გამოსვლა გაზრდის ვაჭრობის ხარჯებს ევროკავშირსა და ბრიტანეთს შორის. ქიმიური და მექანიკური ინჟინერია, აგრეთვე საავტომობილო ინდუსტრია

ასევე დიდ დანაკარგს მოიტანს დამატებითი ღირებულების გადახდის გამო, რადგან ამჟამად ისინი მჭიდროდ არიან ჩაბმული ევროკავშირის საერთო ღირებულებათა ჯაჭვში. ყველაზე დიდ დარტყმას - 11%-ს ქიმიური ინდუსტრია მიიღებს. გარდა ამისა, ბრიტანეთის ათი მთავარი საექსპორტო სავაჭრო პარტნიორიდან შვიდი სწორედ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოა და მათთან დამატებითი რეგულაციების არსებობა ,რა თქმა უნდა, წამგებიანია (The Guardian). რაც შეეხება „ბრიტანეთის ვაჭრობის პალატის" ინფორმაციას, გამოკითხვების თანახმად, ბიზნეს სექტორის წარმომადგენელთა 57% მიიჩნევს, რომ საჭიროა ევროკავშირში დარჩენა და მხოლოდ 13% უჭერს მხარს ევროკავშირის დატოვებას. დარჩენილი 30%-იც კი, მიუხედავად ევროკავშირის დატოვების სურვილისა, მოითხოვს მასთან თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შენარჩუნებას, რაც ევროკავშირის დატოვების შემთხვევაში სულაც არ აქვს ქვეყანას გარანტირებული.

**სამუშაო ადგილები.** ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის წევრების განცხადებით, რომლებიც ევროკავშირში დარჩენის მომხრენი არიან, აცხადებენ, რომ ევროკავშირზეა დამოკიდებული ქვეყნის 3 მლნ სამუშაო ადგილი. ეს განპირობებულია იმით, რომ ევროკავშირი გზას უხსნის ბრიტანეთს 500 მლნ მომხმარებლის ბაზარზე. განსაკუთრებითი დატვირთვა მოდის საავტომობილო ინდუსტრიაზე, რომელშიც დასაქმებულია 700000 ადამიანი და მშპ-ს 3%-ს ჰქმნის. „საავტომობილო წარმოების საზოგადოების" თქმით, ბრიტანეთის საავტომობილო წარმოების წარმატების ფუნდამენტური საფუძველი სწორედ ევროპის კონტინენტი და მასთან მჭიდრო კავშირია.

**იმიგრაცია.** როდესაც ევროკავშირის დატოვებაზეა საუბარი, ერთ-ერთი დადებით ფაქტორად ევროსკეპტიკები იმიგრაციული პოლიტიკის მოწესრიგებას განიხილავენ და ამტკიცებენ, რომ საბოლოოდ შეძლებს ბრიტანეთი საკუთარი საზღვრების გაკონტროლებას, მაგრამ საგულისხმოა სტატისტიკა: 2014 წელს ბრიტანეთში 624000 ადამიანის იმიგრაცია მოხდა, აქედან 40% იყო ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან. დარჩენილი 60% - ევროკავშირის მიღმა ტერიტორიიდან იყო შემოსული. აქედან

შეიძლება დავასკვნათ, რომ იმიგრაციული პოლიტიკის დარეგულირებას, ასეთის სურვილის შემთხვევაში, ევროკავშირთან არსებული შედარებით რბილი სავიზო რეგულაციები ხელს სულაც არ უშლის, რადგან იმიგრანტთა პროცენტულად უფრო მეტი რაოდენობა სხვა ტერიტორიიდან არის.

## დასკვნა

ზემოთ მოყვანილ ქვეთავებს თუ დავუკვირდებით, დავინახავთ რომ მომავალზე გათვლილ პერსპექტივაში ქვეყნისთვის ევროკავშირის დატოვება უარყოფით შედეგებთან არის დაკავშირებული. კიდევ ერთხელ არის აღსანიშნავი ის ფაქტი, რომ უცნობია ორგანიზაციის დატოვების შემთხვევაში რა სახის ურთიერთობა დამყარდება ამ ორ აქტორს შორის. სრული იზოლაციისა და ევროპის ეკონომიკური ზონის (EEA), მსოფლიოს ყველაზე დიდი სავაჭრო ბლოკის დატოვების შემთხვევაში ბრიტანეთს შეეზღუდება ის სიკეთეები, რითიც მასში შემავალი ქვეყნები სარგებლობენ. ესაა საბაჟო ტარიფების განულება, საქონლის, მუშახელის, სერვისისა და კაპიტალის შეუფერხებლად გადაადგილება და ქუოტებისა და დამატებითი რეგულაციების გაუქმება.

გარდა ეკონომიკური დაღმასვლისა, რაც გამოხატულია ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან, ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვება ზოგადად ევროპის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი აქტორის როლის დაკნინების განმაპირობებელი ფაქტორი შეიძლება იყოს, და რაც მთავარია არა მხოლოდ ევროპის, არამედ თვით ბრიტანეთისაც. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ევროკავშირის დატოვება კი არ გაზრდის თვით ამ სახელმწიფოს წონას საერთაშორისო პოლიტიკაში, არამედ პირიქით მის დაცემას გამოიწვევს, რადგან მისი სიძლიერე სწორედ ევროპის როგორც წამყვან სახელმწიფოში ძევს და არა მის გარეთ, დამოუკიდებლად არსებობაში.

აქედან გამომდინარე, მოახლოებულ რეფერენდუმზე ბრიტანელებს სწორი არჩევანის გაკეთება მართებთ, რისი ამოსავ-

ალი წერტილიც მათი სახელმწიფოს კეთილდღეობა უნდა იყოს. კეთილდღეობა კი როგორც ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან და წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს უფრო დიდი ალბათობით ევროკავშირში დარჩენით უფრო გამოიხატება, ვიდრე მისი დატოვებით. საწყის ეტაპზე დასმულ საკვლევ კითხვასაც თუ დავუბრუნდებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროკავშირის დატოვება ბრიტანეთის ეკონომიკის სტაგნაციას შეუწყობს ხელს, რომ არაფერი ვთქვათ როგორც მისი, ასევე კონტინენტური ევროპის პოლიტიკური როლის შემცირებაზე.

**ბიბლიოგრაფია**

1. The Conservative Party Manifesto, 2015.

https://s3-eu-west-1.amazonaws.com/manifesto2015/Conservative-Manifesto2015.pdf; Retrieved: May 16, 2015.

2. Williamson, Adrian. “The Case of Brexit: Lessons from the 1960s and 1970s”. *History and Policy.* (2015).

3. Centre Virtuel de la Connaissance sur l’Europe (CVCE). “The New European Parliament”. 2012. http://www.cvce.eu/obj/the_new_european_parliament-en-e40aba1b-45f1-43bf-bbd1-a34bb52f15db.html; Retrieved: May 17, 2015.

4. MacShane, Denis. “The Brexit Dilemma”. *Rowman & Littlefield.* (2015).

5. Hogan Lovells. 2015. *Start Assessing the Brexit Effect.* Washington, D.C.: Targeted News Service.

6. The Bertelsmann Foundation. 2015. *Brexit could be Expensive - Especially for the United Kingdom.* Washington, D.C.: Targeted News Service. http://ezproxy.iliauni.edu.ge:2089/docview/1676060796/39EA69BE7B224A22PQ/7?accountid=143042

7. Marquand, David. “First Brexit, Then Break-up”. *New Statesman.* Vol.142. No5177 (2013): 26-31.

8. CapitalEconomics. 2015. “The Trouble with Europe”. CapitalEconomics online. https://www.capitaleconomics.com/staff/roger-bootle/the-trouble-with-europe.html; Retrieved: May 17, 2015.

9. The Guardian. 2015. "British Exit from European Union Would Cost UK Billions". The Guardian online. http://www.theguardian.com/business/2015/apr/27/british-exit-brexit-eu-would-cost-uk-billions-german-study; Retrieved: May 17, 2015.

10. The Guardian. 2015. "Brexit – What Would Happen if Britain Left the EU". The Guardian online. http://www.theguardian.com/politics/2015/may/14/brexit-what-would-happen-if-britain-left-eu-european-union-referendum-uk; Retrieved: May 19, 2015.

## BRITAIN'S POSSIBLE EXIT FROM EU: ECONOMIC STRENGTHENING OR ITS STAGNATION?

**Guga Berdzenishvili,**
TSU Student

**Resume**

As far as our topic is concerned, we will discuss the possible consequences that may be caused by Britain's exit from the European Union and analyze if this will release the country from the "EU handcuffs" as demanded by the "BREXIT" supporters; or it will trigger the deterioration of its economics by losing the policies that are offered by the EU and its single market. This leads to our research question: what results will bring the Britain's exit from the EU for the country and what it will provoke: strengthening of the economics or – its stagnation. For this reason we will consider each aspect of the Britain's economics in both conditions: as independent and as part of the EU. This will enable us to notice the comparisons and speculate the results.

**Keywords:** Great Britain, European Union, Economic Independence, Economic Strength, Economics Stagnation.

# გლობალიზაცია და ენობრივი პროცესები

**ნინო ფუტკარაძე**
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო
აკადემიის დოქტორანტი

**რეზიუმე**

კვლევის მიზანს წარმოადგენს გლობალიზაციის პირობებში ენობრივი პროცესები და ახალი უცხო ლექსიკური ერთეულები, რომლებიც უხვი რაოდენობით არის წარმოდგენილი ქართულ დარგობრივ ტერმინოლოგიებში. ეს ახალი უცხო ლექსიკური ერთეულები შემოდის იმავე ფორმით, როგორითაც საწყის ენაში გვხვდება. ანუ უცხო წარმომავლობის ტერმინები ექვემდებარება ქართულ ფონეტიკურ და მორფოლოგიურ წესებს და ამ გზით ხდება მათი ადაპტირება.

თანამედროვე ქართულ ენაში ანგლოციზმების სიუხვე შეიმჩნევა ყველა დარგის ტერმინოლოგიურ სისტემებში.

ინგლისური ენის გლობალიზაცია მსოფლიოს მასშტაბებით მიმდინარეობს. ენის პოპულარიზაციას ხელს უწყობს საინფორმაციო ტექნოლოგიების ზრდა, ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ინგლისური - ტექნოლოგიების ენაა. უცხო ტერმინთა ლექსიკური ერთეულების ზრდა ხელს უწყობს ენის, როგორ დინამიკურ ფენომენის განვითარებას, მაგრამ უცხო ტერმინების იმ ინტენსივობით მიღება, რომელიც ასე ნათლად იკვეთება, სცილდება დასაშვებ ნორმებს.

**საკვანძო სიტყვები:** ენობრივი პროცესები ,უცხო ლექსიკური ერთეულები, ქართული დარგობრივი ტერმინოლოგია, ანგლოციზმები, ენობრივი გლობალიზაციის პროცესები.

**შესავალი**

XXI საუკუნეში – გლობალიზაციისა და მაღალი ტექნოლოგიების ეპოქაში ენა, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენა, მწვავე პრობლემების წინაშე დგას. ქართული ენის სრულფასოვანი ფუნქციონირებისა და განვითარების თვალსაზრისით,

მნიშვნელოვანია სპეციალური დარგობრივი ტერმინოლოგიური მუშაობის დაგეგმვა, მართვა-კონტროლი ყველა სფეროში. აუცილებელია ერთიანი ტერმინოლოგიური სისტემის შექმნა, რომელიც შეესაბამება როგორც საერთაშორისო სტანდარტებს, ასევე ქართული ენის ნორმებს.

ტერმინები სამეცნიერო ენის ხერხემალია, სამეცნიერო ენას, მის განვითარებას კი დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. ,,ტერმინი განსაკუთრებული ენობრივი ნიშანია, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალისტებს შორის ურთიერთგაგებას გარკვეული დარგის ფარგლებში.

## ძირითადი ნაწილი

ლექსიკა ყველაზე ცვალებადი კომპონენტია ენისა. ენის განვითარება სხვა ენებთან ურთიერთობის დადებითი შედეგია, კომუნიკაციის სფეროში გლობალიზაციის პროცესს ხელს უწყობს ციფრული ტექნოლოგიები, სატელეფონო კავშირების და ელექტრონული საშუალებების განვითარება. ამ კონტექსტში ეროვნული იდენტობის დაცვა-შენარჩუნებისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ენას, რომელშიც გარე ენობრივი ,,გლობალური'' მიმდინარე ცვლილებები თავისებურად აისახება. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ენის ლექსიკურ ფონდს, რომელიც თანამედროვე გლობალურ-ტექნიკური პროგრესის სისწრაფეს ასეთივე სისწრაფით ვერ ეწევა, და ენის ლექსიკური ფონდი ვერ ასახავს ამ პროცესებს სინქრონიულ რეჟიმში. შესაბამისად, დომინანტი ენიდან შემოდის ლექსიკური ერთეულები იმავე ფორმით, როგორითაც საწყის ენაში გვხდება, ამის შედეგად მკვიდრდება ეს უცხო ერთეულები, რომელთა შესატყვისი ლექსიკური ერთეულების ფორმირებისათვის, ფაქტობრივად დრო არ რჩება.

გლობალიზაციის ტენდენციათა გათვალისწინებით თანამედროვე ქართულ ენას მჭიდრო ურთიერთობა უწევს დღეს მსოფლიო დომინანტ ,,lingua franca''-დ წოდებულ ინგლისურთან. (Lingua franca-იტალიური სიტყვაა. ფრანკების ენა, რომე-

ლიც ერთხანს ხმელთაშუა ზღვის საპორტო ქალაქების საერთაშორისო ენა იყო). თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში ქართულ ენაში უხვად მკვიდრდებოდა რუსიციზმები. თანამედროვე ქართულ ენაში კი ანგლიციზმების სიუხვე შეიმჩნევა ყველა დარგის ტერმინოლოგიურ სისტემებში. ბრიტანელი ლინგვისტი დევიდ კრისტალი მიიჩნევს, რომ ინგლისური ენა ერთადერთია როგორც პერსპექტიული ენა და გამოკვეთს ინგლისური ენის შესაძლო გლობალურ ენად გადაქცევის პერსპექტივებს. ინგლისური ენა დომინირებს როგორც ოფიციალური, სამუშაო ენა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში, (გაერო, ევროსაბჭო, ეუთო) ხოლო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე ძირითად სამუშაო ენად ითვლება.

ინგლისური ენის გლობალიზაცია მსოფლიოს მასშტაბებით მიმდინარეობს. ინგლისური, როგორც საერთაშორისო ენა უკანასკნელი წლებში ფართოდ გავრცელდა და მისი ზეგავლენა საქართველოშიც იგრძნობა. ,,ანგლიზაცია'' ,უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს ქართულ დარგობრივ ტერმინოლოგიებში. ბოლო დროს მომრავლებული უცხო ენობრივი ერთეულების დამკვიდრებას ეკონომიკური და ტექნიკური ევოლუცია განაპირობებს. ტექნიკის განვითარების კვალდაკვალ იქმნება ახალი ტერმინები. ინგლისური ენის პოპულარიზაციას ხელი შეუწყო ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების ზრდამაც, ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ინგლისური - ტექნოლოგიების ენაა. მსოფლიოს იმ ქვეყნებში, რომლებშიც წარმოებული ტექნიკა შედის, ინფორმაცია ინგლისურ ენაზე უფრო ადვილად აღიქმება, ვიდრე სხვა ენებზე, მაგალითად, ჩინურად ან გერმანულად. ინფორმაციულ ეპოქაში მნიშვნელოვანი ხდება სწორედ ის ენა, რომელზეც ვრცელდება ინფორმაცია, შეიძლება ითქვას რომ ინგლისური ენა, მსოფლიო ენის სტატუსითაც სარგებლობს, ის ორი, სხვადასხვა ენის მატარებელი მოსაუბრეთა სასაუბრო ურთიერთობის დამყარების საუკეთესო საშუალებაა.

დარგობრივი ტერმინოლოგია წარმოადგენს სპეციალურ დარგობრივ ლექსიკურ ფონდს, რომელშიც თავმოყრილია ამა თუ იმ დარგის ძირითადი ცნებები. თანამედროვე რეალობ-

აში ქართულ დარგობრივ ტერმინოლოგიის საკითხი პრობლემურია, რადგან დღეს მრავალი ახალი ტერმინი დამკვიდრდა ენაში იმ ჟღერადობით და ხშირად იმავე ფორმით, როგორც ისინი ჟღერს საწყის ენაში, უცხო სიტყვების ასეთი მოზღვავება შეიძლება აიხსნას იმით, რომ არ არსებობს სრულყოფილი ორენოვანი დარგობრივი ლექსიკონი და უამრავ ტერმინს არ აქვს ექვივალენტი ქართულ ენაში, ან ერთი უცხო სიტყვის გამოყენება უფრო მარტივია ვიდრე მშობლიურ ენაზე მისი განმარტებითი მნიშვნელობის გამოყენება, ასევე ლინგვისტიკაში გამოიყენება ტერმინი ენობრივი პრესტიჟი (ფრანგული სიტყვაა-PRESTIGE), რაც გულისხმობს იმას, რომ მოსაუბრე საუბრის დროს შეგნებულად ირჩევს ამა თუ იმ ენობრივ ვარიანტს, ეს ძირითადად გავლენას ახდენს ახალგაზრდა თაობაზე და ასუსტებს მათ მიერ მშობლიური ენის სრულყოფილად ათვისების პროცესს. მაგალითად: ინკლუზივი – ჩათვლით -INCLUSIVE; მანუალი – ხელის – MANUAL; მენეჯერი – მმართველი – MANAGER; მერჩენდაიზერი – მყიდველი – გამყიდველი – MERCHANDISER; დილერი – ვაჭარი – DEALER; ბილინგი – ანგარიშფაქტურა – BILLING; გრითერი – სტუმრების მიმღები პირი - GREETER; მესიჯი – შეტყობინება MESSAGE; კოგნიტიური – შემეცნებითი – COGNITIVE; კრეატიული – შემოქმედებითი – CREATIVE; ლაიქი – მოწონება – LIKE; ჩექ ინი – სასტუმროში გაჩერება – CHECK INN; ფრენდი – მეგობარი – FRIEND; მარკეტინგი – საწარმოო გამსაღებელი საქმიანობის მართვის თანამედროვე სისტემა-MARKETING; სუპერვაიზერი – ზედამხედველი, მეთვალყურე – SUPERVISER.

შედეგად ჩანს, რომ ამ შემთხვევაში თითოეულ ზემოთმოყვანილ ტერმინს მოეძებნება მისი ქართული ექვივალენტი, თუმცა ისინი თანამედროვე რეალობაში პოპულარობით არ სარგებლობენ. დღეს ქართველი იშვიათად იტყვის ,,გამოვხატავ, გამოვთქვამ გამოვკვეთ'' - თითოეულის ნაცვლად გამოიყენება ,,ვაფიქსირებ''. ჩვენ თვალწინ იქმნება უცხო სიტყვები, რომლებსაც ,,საერთაშორისო ქართული'' შეიძლება ვუწოდოთ. ყველა ენას მოეპოვება საკუთარი საშუალებანი, რომლის დახ-

მარებითაც იქმნება ახალი ლექსიკური ერთეული, ქართული ენა ამ მიზნით აფიქსებს იყენებს. აფიქსაციის დახმარებით ხერხდება ტერმინის შეფუთვა ენის ლექსიკურ ფონდში. (ა. ღლონტი, „ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები“, 1988). მაგალითად: ჩეთ-ი – CHAT; ბლანკ-ი – BLANK; ბალანს-ი- BALANCE; ფაქს-ი – FAX; ფაილ-ი – FILE; პრინტერ-ი PRINTER; ტესტ-ი TEST; კაბელ-ი – CABLE; კაპიტალ-ი – CAPITAL.

უცხო წარმომავლობის ტერმინი ექვემდებარება ქართულ ფონეტიკურ და მორფოლოგიურ წესებს და ამ გზით ხდება მისი ადაპტირება. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას ,რომ უცხო ტერმინთა ლექსიკური ერთეულების რიცხვი უფრო და უფრო იზრდება. ეს ხელს უწყობს ენის ,როგორც დინამიკურ ფენომენის განვითარებას, მაგრამ უცხო ტერმინების იმ ინტენსივობით მიღება ,რომელიც ასე ნათლად იკვეთება ,სცილდება დასაშვებ ნორმებს.

## დასკვნა

ლინგვისტიკაში გლობალიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს საფრთხედ, შეგვიძლია მივიჩნიოთ ,,ენათა გაქრობა'', ეროვნული ენის გაურკვევლობა. დღეს, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება ქართული სამეცნიერო ენის დახვეწა, გამართვა, განვითარება. ენაზე ზრუნვა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი საკითხი უნდა იყოს. მაგრამ მისი მხრიდან უფრო პრიორიტეტული საკითხი არის ეკონომიკური და სოციალური განვითარება და არა ენის დაცვა და გადარჩენა, ენობრივი პოლიტიკის გატარება. აუცილებელია შეიქმნას ტერმინები რამდენიმე ახალი დარგისთვის (ეკონომიკა, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, მარკეტინგი, ლოგისტიკა, მედიცინა, ინფორმატიკა და სხვა). ტერმინთშემოქმედების მართვა სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკის საკითხია. როგორც ცნობილი ყირგიზი მწერალი ჩინგიზ აიტმატოვი ამბობს ,,Бессмертие народа в его языке''.

**REFERENCE:**

1. A Glonti „Georgian lexicology“,1988

2.R.Gambashidze „Georgian terminology and main principles of creating new terms “1986

4. Antrushina G.B. „English Lexicology”2000.

5. David Crystal „The consequences of Global English”.

6. Jones. G. „English for specific purposes” 1990.

7. Vinogradov. S. „Introduction to theory of translation “ 2001.

## GLOBALIZATION AND LANGUAGE PROCESSES

**Nino Putkaradze,** Phd student,
Batumi State Maritime Academy.

**Resume**

The article focuses on the use of English words in present-day Georgian language, and modern Georgian lexical fund.Lexical fund is the most changeable part of the language,new technical achievements stimulate the process of creating new terms in the language.New terms are transferred to Georgian language with its own form or they get new formulation by adding affixes.The most of the English words have equivalents in Georgian language ,but in spite of this anglicisms are more popular.In the process of globalization,enormous technological and cultural changes,every living language needs to gain new notions.English Language has become the lingua franca within trade ,tourism, science, technology etc.It is growing in importance as a global language.The Georgian language is exposed to some kind of threat.Thus,nowadays there exists special need in correct Georgian terminology,correct scientific language.

**Key words:** Globalization, terminology, new notions, anglicism , terminological borrowings.

# ღვაწლმოსილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ლეო ჩიქავა

ქართულმა ეკონომიკურმა მეცნიერებამ უდიდესი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერ-ეკონომისტი, დემოგრაფი, საზოგადო მოღვაწე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ლეო ჩიქავა.

დაიბადა 1928 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ასევე წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და ასპირანტურა პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობით. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ხელმძღვანელობით 1954 წელს ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1968 წელს სადოქტორო დისერტაციები. 40 წლის ასაკში მოპოვებული ჰქონდა პროფესორის სამეცნიერო წოდება. სხავდასხვა დროს მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უფროს-მასწავლებლად, დოცენტად, პროფესორად, კათედრის გამგედ, უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგედ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინ-

სტიტუტის დირექტორის მოადგილედ, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორად, პაატა გუგუშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორად, სახელმწიფო სამსახურის მართვის, მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის უფროსად. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალების და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის პროფესორად.

პროფესორილეოჩიქავააქტიურპედაგოგიურმოღვაწეობას წარმატებით უთავსებდა ნაყოფიერ მეცნიერულ კვლევა-ძიებას. იყო 200-ზე მეტი გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომის ავტორი. მათ შორის ცალკე წიგნადაა გამოშვებული 40-მდე მონოგრაფიული გამოკვლევა,სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო და ბროშურა ეკონომიკური თეორიის და დემოგრაფიის აქტუალურ პრობლემებზე. მისი მრავალმხირვი მეცნიერული კვლევის შედეგები ფართოდაა ასახული არა მარტო ქართულ, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში. იგი საინტერესო და მწვავე მეცნიერული პრობლემების შემცველი მოხსენებებით წარსდგა საერთაშორისო კონფერენციებზე იტალიაში, გერმანიაში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, რუმინეთში, უნგრეთსა და რუსეთში. მისი ხემლძღვანელობით დაცულია 30-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. იყო მრავალი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და წევრი. პროფ. ლ. ჩიქავა იყო ქართულ ენაზე გამომავალი ეკონომიკური პროფილის თითქმის ყველა საერთაშორისო ჟურნალის, მათ შორის ჟურნალ “ეკონომიკის”,აგრეთვე უცხოური ჟურნალების სარედაქციო კოლეგიების აქტიური წევრი. მისი რედაქტორობით გამოიცა ათეულობით ნაშრომი. ასევე იყო სწავლულ ექსპერტთა საბჭოსთან არსებული ეკონომიკის დარგობრივი სექციის საკოორდინაციო საბჭოს წევრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ბიუროს თავმჯდომარე, მთიანეთის შემსწავლელი და ჰუმანიტარულ მეცნეირებათა კომისიის წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი.

პროფესორი ლეო ჩიქავა ეწეოდა მრავალმხრივ საზოგადოებრივ საქმიანობას. იყო სხვადასხვა სამთავრობო კომისიის, სამეცნიერო ასოციაციის და საზოგადოების წევრი, არჩეული იყო ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესიის დემოგრაფიის და მიგრაციის პალატის თავმჯდომარედ. მთავრობას წარედგინა მისი არაერთი მოხსენებითი ბარათი ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებზე.

ლ. ჩიქავა ღირსეული მოწაფე იყო თავისი მასწავლებლის — აკადემიკოსი პაატა გუგუშვილის, რომელმაც საფუძველი დაუდო საქართველოში დემოგრაფიულ მეცნიერებას. პროფ. ლ. ჩიქავამ შემდგომი განვითარება მისცა ამ მამულიშვილურ საქმეს — მისი ინიციატივით და ძალისხმევით დაარსდა დემოგრაფიის და სოციოლოგიური კვლევითი ინსტიტუტი, იყო მისი დირექტორი. სიცოცხლის ბოლომდე უძღვებოდა მისივე ინიციატივით დაარსებულ ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიას როგორც პრეზიდენტი.

პროფესორი ლეო ჩიქავა არჩეული იყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატად. მისი ხელმოწერა ამშვენებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

პროფესორი ლეო ჩიქავა მრავალი სამთავრობო ჯილდოს კავალერი იყო. მისმა ნაშრომებმა მრავალგზის დაიმსახურეს პრესტიჟული სახელობითი პრემიები.

წავიდა ჩვენგან მაღალი კულტურის, შესანიშნავი ერუდიციის, გამორჩეული ორატორული ოსტატობისა და არასტანდარტული აზროვნების, მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო

მოღვაწე. მძიმეა ეს დანაკლისი ქართული საზოგადოებრიობისათვის და განსაკუთრებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის, სადაც მან გაატარა ახალგაზრდობისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობის ოცდაოთხი წელიწადი.

ვემშვიდობებით მრავალმხრივ განათლებულ, ინტელიგენტურობით და აკადემიური დახვეწილობით გამორჩეულ, ახალგაზრდობისათვის, კოლეგებისთვის, მეგობრებისათვის, უსაყვარლეს ადამიანს.

უფალმა ნათელში დაუმკვიდროს მას სასუფეველი.

**ჟურნალ „ეკონომიკის“**
**სარედაქციო კოლეგია**

შპს ჟურნალი ,,ეკონომიკა‘‘
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი
გადაეცა ასაწყობად 28.08.2015წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 03.09.2015 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,5